ბრძოლა საუბნო საარჩევნო კომისიებისთვის A2

რა კავშირია ორ გატაცებას შორის? A2

TV პროგრამა A8

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

სამშაბათი, 30 სექტემბერი, 2003 წელი. №259 (471)

ფასი 30 თეთრი

ნინო ბურჯანაძე: "რუსეთთან მეგობრობას აფხაზეთის ხარჯზე არ ვაპირებთ"

რუსუდან ნიკურაძე
საკ. კორ. მოსკოვში

მოსკოვში ნინო ბურჯანაძის ორდღიანი სამუშაო ვიზიტისათვის ფონი არც ამჯერად დამთბარა. ვალერი ლოშჩინინთან შეხვედრაზეც ახალი არაფერი თქმულა.

რუსეთის დედაქალაქი მასპინძლობს კავკასიური ოთხეულის შეხვედრას, რომელიც დახურულ ფორმატში ჩაივლის. მაგრამ რუს დიპლომატებთან კიდევ ერთხელ შეხვედრა და რუსული მხარისათვის კიდევ ერთხელ საქართველოს პოზიციის შეხსენება არც ერთ მხარეს არ აწყენდა.

გაერო-ში რუსეთის მიერ არ უნდა დაიბლოკოს ის რეზოლუციები, რაც აფხაზეთის კონფლიქტის გადაჭრის კონკრეტიკას შეიცავს; რუსეთმა უნდა შეიტანოს პოზიტივი ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირებაში; სწორედ რუსეთმა უნდა გადადგას პირველი ქმედითი ნაბიჯები დარეგულირებაში იმ უბრალო მიზეზით, რომ მას ხელთ ძლიერი ბერკეტები უპყრია - ეს სამი მთავარი პუნქტი შეახსენა ნინო ბურჯანაძემ ვალერი ლოშჩინინს. რა უპასუხა ჩვენს სპიკერს ბატონმა სტატს-მდივანმა, ქართველი ჟურნალისტებისათვის უცნობი დარჩა, რადგანაც, შეხვედრაზე ჟურნალისტების დასწრების ცუდად ორგანიზებამ პრესის წარმომადგენელთა ქუჩაში გაყრა მოიტანა შედეგად, მოგვიანებით კი არც შეხვედრიდან გამოსული ბურჯანაძე სიტყვამრავლობდა.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს კარგად ინფორმირებული წყაროების ცნობით, ლოშჩინინი-ბურჯანაძის საუბარი იყო მეტად მწვავე და პრაქტიკულად უნაყოფო. ეს მოულოდნელი არ ყოფილა იმდენად, რამდენადაც ქართული მხარის მკაცრ განცხადებებს პასუხად ამჯერადაც პოლიტკონიუნქტურის ყრუ კედელი დახვდა.

როგორც ამბობენ, ბურჯანაძე კატეგორიული იყო და ლოშჩინინს განუცხადა, რომ რუსეთთან კეთილმეგობრობას საქართველო აფხაზეთისა და "სამხრეთ ოსეთის" დათმობის ხარჯზე არ აპირებს.

ნინო ბურჯანაძე: **"ჩვენ დავაფიქსირეთ ჩვენი პოზიცია, რომ აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირებაში რუსეთის შუამავლობას არავითარი აზრი არ აქვს, სანამ იგი გარკვეულ პოზიტივს არ შეიტანს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირებაში. იმის მიუხედავად, რომ ჩვენ რუსეთს უფრო კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა შევთავაზეთ, რეალურად ვხედავთ, რომ განცხადებებს რეალური ნაბიჯები არ მოჰყვება ხოლმე."**

ამინდი

თბილისი	22
ქუთაისი	25
ბათუმი	23
სოხუმი	22
ფოთი	23
თელავი	21
ზუგდიდი	25
გორი	19
ახმეტა	22
ჭიათურა	22

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.1130
ევრო	2.4103
გირვანქა სტერლ.	3.4915
რუბლი	0.0690

ცოცხალი კლასიკოსი სამშობლოში

ფესტივალს ოთარ იოსელიანის ფილმი გახსნის

"ორშაბათის დილა"-ში იოსელიანი მსახიობადაც გვევლინება

სალომე კიკალეიშვილი

ქართული კინოფესტივალი "პრომეთე", რომელიც უკვე მეოთხედ აღნიშნავს თავის არსებობას, მიხეილ კალატოზიშვილის ფოტოგამოფენით და "ცოცხალი კლასიკოსის" (როგორც მას დასავლურმა პრესამ შეარქვა) ოთარ იოსელიანის ბოლო ნამუშევრით - "ორშაბათის დილა" - დღეს კინოთეატრ "ამირანში" საზეიმოდ გაიხსნება. ბატონ ოთარს წარდგენა არ სჭირდება. უბრალოდ, გთავაზობთ მასთან ინტერვიუს:

- ბატონო ოთარ, თუ არ ვცდები, თქვენი თბილისში ჩამოსვლა კინოფესტივალ "პრომეთეს" უკავშირდება?

გაგრძელება A7 გვერდზე

დავით გამყრელიძე ამხელს და ნანობს

"ახალი მემარჯვენეების" ლიდერი დავით გამყრელიძე სახელისუფლებო ძალების ბოლოდროინდელი ქმედებებით ძალიან არის შეშფოთებული. ბოლნისსა და ვანში მომხდარი შემთხვევები აიძულებს მას, გამოვიდეს ინიციატივით მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ, რომელიც მსგავს ფაქტებს პოლიტიკურ შეფასებებს მისცემს. გამყრელიძის თქმით, ამ ჯგუფში უნდა შევიდნენ მასმედიის, არასამთავრობო ორგანიზაციების, სამეცნიერო წრეების მიუკერძოებელი წარმომადგენლები, ხოლო სათავეში დავით უსუფაშვილი ჩაუდგეს.

გიორგი ასანიშვილი

"ახლების" ხელმძღვანელი აცხადებს, რომ მმართველმა ძალამ იძულებისა და რეპრესიების მექანიზმი აამუშავა, როგორც თავის შიგნით, ისე ოპოზიციის მიმართ.

"გამგებლებს პირდაპირ ავალებენ ხმების 50-70 პროცენტის მოტანას, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ არჩევნების მეორე დღესვე თანამდებობიდან გადაყენებით ემუქრებიან," - აღნიშნა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე დავით გამყრელიძემ.

გაგრძელება A3 გვერდზე

გრიშა აბაშიძის ფოტო

დავით გამყრელიძეს ვერ წარმოუდგენია, როგორ შეძლებს გაყალბების გარეშე სახელისუფლებო ბლოკი 90 ადგილის მოპოვებას

შალვა ნათელაშვილის არაჩვეულებრივი გამოფენა

"ხელისუფლებამ ხალხისთვის გამოყოფილი თურქული კრედიტით უნიტაზები შეიძინა, ვერ გაყიდა (ვის რაში სჭირდება უნიტაზი - ხალხს საჭმელი არ აქვს...) და ახლა ის უნიტაზები ფონიჭალის ბაზროზაზე აწყვია. 2 ნოემბრის არჩევნების შემდეგ იმ უნიტაზების გამოფენას მოვაწყობ," - ლეიბორისტული პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი ხელისუფლებაში მოსვლით და არაჩვეულებრივზე არაჩვეულებრივი გამოფენის მოწყობით იმუქრება.

ვერიკო თევზაძე

გუშინ ლეიბორისტულმა პარტიამ მთაწმინდელებს თავიანთი მაჟორიტარი კანდიდატი რეზო ჩხიკვიშვილი წარუდგინა. გერმანიიდან ახლად დაბრუნებული მსახიობი მთაწმინდელებს **"სულის, გულის, კაცობის, გვერდში დგომის და ტკივილის გაზიარების გარდა"**, დაჰპირდა, რომ აქტიურად იღვაწებს განათლების სფეროში, დააარსებს ქართულ-გერმანულ ფონდს და ხელს შეუწყობს ორი ქვეყნის კულტურათა დაახლოებას.

გაგრძელება A3 გვერდზე

ვაშინგტონში სკანდალი მწიფდება

ლევან ღირსიაშვილი

ამასთან დაკავშირებით, აშშ-ს პრეზიდენტის მრჩეველმა ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში კონდოლიზა რაისმა განაცხადა, რომ ერაყში ომის დაწყებამდე ამერიკულმა დაზვერვამ მოიპოვა ახალი საიდუმლო მასალები ბაღდადში მასობრივი განადგურების იარაღის არსებობის შესახებ. **"1998 წლის შემდეგ, სადაზვერვო მონაცემები უფრო გამრავლდა, რამაც ომამდე მიგვიყვანა,"** - განუცხადა რაისმა "ფოქს ნიუსის" კორესპონდენტს. მისი თქმით, არავითარი ინფორმაცია არ არსებობდა იმის შესახებ, რომ სადამ ჰუსეინი მასობრივი განადგურების იარაღის პროგრამის შეწყვეტას ცდილობდა ან აპირებდა. **"უკვე ცხადი იყო, რომ ეს პროცესი გაგრძელდებოდა და, შესაბამისად, საფრთხეც გაიზრდებოდა,"** - დასძინა კონდოლიზა რაისმა. **"დიახ, ჩვენ მივიღეთ ახალი ინფორმაცია, რაც, რასაკვირველია, ამ საქმეს აღნიშნული მიმართულებით დაემატა,"** - აცხადებს აშშ-ს პრეზიდენტის მრჩეველი.

მან ასევე განაცხადა, რომ არ ეთანხმება წერილს, რომელიც სენატის დაზვერვის კომიტეტის თავმჯდომარემ პორტერ გროსმა და კალიფორნიელმა დემოკრატმა სენატორმა ჯეინ ჰერმანმა ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს დირექტორს ჯორჯ ტენეტს გაუგზავნეს. **"შეფასებები, რომ ერაყი ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის პროგრამების შექმნას აგრძელებდა, ათი წლის მანძილზე მუდმივი და სტატიკური იყო,"** - ნათქვამია სენატორების წერილში, რომელიც სააგენტო "როიტერმა" მოიპოვა. სენატორები აცხადებენ, რომ ისევე, როგორც ერაყის ყოფილი პრეზიდენტის გეგმების და განზრახვების, ასევე ერაყის მასობრივი განადგურების პროგრამების და შესაძლებლობების და "ალ-ქაიდასთან" ერაყის რეჟიმის კავშირების შესახებ მოპოვებული ინფორმაცია არასაკმარისი და არასპეციფიური იყო.

გაგრძელება A5 გვერდზე

REUTERS

კონდოლიზა რაისი ამტკიცებს, რომ ერაყზე მათ დამატებითი ინფორმაცია ჰქონდათ მოპოვებული.

მთავრობა ცაიტნოტშია

დღეს მთავრობას 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტის პარლამენტში შეტანის კონსტიტუციური ვადა ეწურება. ფინანსთა მინისტრის მოადგილე ვასილ გიგოლაშვილი იმედოვნებს, რომ კონსტიტუცია არ დაირღვევა და პროექტი პარლამენტში დღეს საღამომდე აუცილებლად მოხვდება.

მაია ურუშაძე

საბიუჯეტო აჟიოტაჟი გრძელდება. მიუხედავად იმისა, რომ შემოსავლებსა და ხარჯებს შორის 120-მილიონიანი სხვაობის გამო მთავრობას ქვეყნის ძირითადი ეკონომიკური დოკუმენტი დაუწუნეს, ეკონომიკურმა გუნდმა გამოსავალი მაინც იპოვა და სხვაობა, შემოსავლების გაზრდის ხარჯზე, 30 მილიონამდე შეამცირა. შედეგად, მომავალი წლის ბიუჯეტის კანონპროექტში საგადასახადო შემოსავლების ზრდა 15,5 პროცენტით დაიგეგმა, რაც ნიშნავს, რომ გაისად საბაჟოსა და საგადასახადოს მილიარდნახევარი ლარის გამოძებნა მოუწევთ. ამას ეჭვის თვალით უყურებს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელი რომან გოცირიძე და დოკუმენტს, რომელიც ხვალ საღამომდე მთავრობამ პარლამენტს უნდა წარუდგინოს, არარეალურს უწოდებს.

"ბიუჯეტის პირველი პროექტი, რომელიც მთავრობამ ივლისში წარმოადგინა, მეტ-ნაკლებად ახლოს იყო რეალურ ციფრებთან. ახლა კი ციფრები უკვე აშკარად გაბერილია. შედეგად იმას მივიღებთ, რომ, ტრადიციულად, ეს ბიუჯეტიც ერთ თვეში – უკვე მომავალი წლის თებერვალშივე გაირღვევა. როგორც წესი, გარღვევა 150-200 მილიონ ლარს აღწევს ხოლმე," – ასეთია გოცირიძის პროგნოზი.

გაგრძელება A2 გვერდზე

მამალაძე შინ და გარეთ საფრთხეებს ხედავს

ქვემო ქართლის ყოფილ გუბერნატორს, თურმე, მრავალი აღშფოთებული მოქალაქე მიმართავს თხოვნით, რომ პოლიტიკური პარტიები გონს მოეგონ, უზრუნველყონ ხალხის სიმშვიდე და არჩევნებს ფართომასშტაბიან სამოქალაქო დესტაბილიზაციაში ნუ გადაზრდიან. ლევან მამალაძე მოქალაქეებს თხოვნას უსრულებს და აფუძნებს საერთო სახალხო მოძრაობას "მშვიდობიანი არჩევნები". ბლოკ "ახალი საქართველოსთვის" ლიდერი ამ მოძრაობაში ოპოზიციურ პარტიებსაც ეპატიჟება, თუმცა მათი მხარდაჭერის იმედი არ აქვს.

სოფო ბუკია

"არჩევნებმა კონფრონტაციისა და პოლიტიკური ექსტრემიზმის გარეშე უნდა ჩაიაროს. საქართველოს ხელისუფლებამ საერთაშორისო საზოგადოების წინაშე არჩევნების სამართლიანად და დემოკრატიულად ჩატარების ვალდებულება აიღო. საერთო პასუხისმგებლობა, რა თქმა უნდა, ხელისუფლებას პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელი რომან გოცირიძე და დოკუმენტს, რომელიც ხვალ საღამომდე მთავრობამ პარლამენტს უნდა წარუდგინოს, არარეალურს უწოდებს.

"ბიუჯეტის პირველი პროექტი, რომელიც მთავრობამ ივლისში წარმოადგინა, მეტ-ნაკლებად ახლოს იყო რეალურ ციფრებთან. ახლა კი ციფრები უკვე აშკარად გაბერილია. შედეგად იმას მივიღებთ, რომ, ტრადიციულად, ეს ბიუჯეტიც ერთ თვეში – უკვე მომავალი წლის თებერვალშივე გაირღვევა. როგორც წესი, გარღვევა 150-200 მილიონ ლარს აღწევს ხოლმე," – ასეთია გოცირიძის პროგნოზი.

გაგრძელება A3 გვერდზე

ალვირახსნილი კოლონა, უსუსური პოლიცია და ჭამი ძვათა სროლისა

მაია მოსიაშვილი

გასულ კვირას ქვემო ქართლის პოლიციამ სხვა დანაშაულებთან ერთად ერთი ასეთი კრიმინალური ფაქტიც დააფიქსირა:

"24. 09. გარდაბანში, ალმაშენებლის ქუჩაზე მცხოვრები, 1992 წელს დაბადებული სარხან ჯაფაროვი საკუთარ ეზოში მდგარ კაკლის ხეზე ავიდა, საიდანაც ჩამოვარდა და მიიღო სხეულის დაზიანება.

მოკვლევას აწარმოებს გარდაბნის შს რაიგანყოფილება."

აი, როგორი პოლიცია ჰყავს ქვემო ქართლს, მისი შიშით ხიდან ბავშვიც კი ვერ ჩამოვარდნილა და "ნაციონალ" სააკაშვილს რისი იმედი ჰქონდა, როცა ბოლნისში "შეიარაღებული ყაჩაღები და ბანდიტები" ჩაჰყავდა, საკვირველია.

"შეიარაღებული ყაჩაღები და ბანდიტები ყაჩაღურად დაესხნენ თავს მშვიდობიან მოსახლეობას," - ასე შეაფასა 26 სექტემბერს ბოლნისის რაიონში მომხდარი ინციდენტი ქვემო ქართლის ახალმა გუბერნატორმა ზურაბ კობიაშვილმა და მისი ხმის ჟღერადობა ლევიტანისას არ ჩამოუვარდებოდა.

"ასეთი უსუსური პოლიცია თუ გვყვავდა, ვერ წარმოვიდგენდი. სხვას თავი დაანებეთ, საკუთარი თავიც კი ვერ დაიცვეს. რა მოხდა, ეს რა ვნახეთ! გალახეს გამგებელი, გამორჩეული ყველა გამგებელს შორის, ზურაბ ჯაფაროძე. მართალია, მისი განცხადებები და შეძახილები ძალიან შეუფერებელი და არასწორი იყო, ეს დასაგმობია და თვითონაც ნანობს. აფექტის მდგომარეობაში მყოფ კაცს, ალბათ, რაღაცნაირად მიეტევება ასეთი

გაგრძელება A3 გვერდზე

საკაშვილი პრეზიდენტის ბრალდებებს უარყოფს

"ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ლიდერი მიხეილ სააკაშვილი პრეზიდენტის შეფასებებს ეხმაურება და აცხადებს, რომ ედუარდ შევარდნაძის მიერ გუშინ დილით რადიოინტერვიუში "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მიმართ გამოთქმული ბრალდებები, თითქოს ქვემო ქართლის მცხოვრებთა პასპორტები ყალბი იყო, სიცრუეა. "თუ ერთი პასპორტი მაინც აღმოჩნდება ყალბი, მზად ვარ, ჩემი სიტყვები უკან წავიღო," - განაცხადა სააკაშვილმა.

მიხეილ სააკაშვილი ასევე უარყოფს პრეზიდენტის ბრალდებას, თითქოს "ნაციონალურ მოძრაობას" შექმნილი აქვს გასამხედროებული ფორმირება. „ჩვენ ჯერ კიდევ შარშან ვთხოვეთ პრეზიდენტს, გამოეყო ჩვენთვის დაცვა, რაზეც უარი მივიღეთ და დღეს იგი ბრალს გვდებს გასამხედროებული ფორმირების ჩამოყალიბებაში, როდესაც მე მხოლოდ არასაუწყებო დაცვის სამი თანამშრომელი მიცავს," — განაცხადა "ნაციონალების" კრწანისის რაიონულ ოფისში გამართულ ბრიფინგზე "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ლიდერმა მიხეილ სააკაშვილმა. იგი არ აპირებს, 26 სექტემბერს ბოლნისის რაიონში მომხდარი ინციდენტის შესახებ ჩვენება მისცეს პროკურატურას და ქვემო ქართლის სამხარეო პროკურორს სიმონ მაჭავარიანს „ჯიბის პროკურორს“ უწოდებს.

გუშინ ქვემო ქართლის სამხარეო პროკურორი სიმონ მაჭავარიანი "ნაციონალურ მოძრაობას" 26 სექტემბერს ბოლნისის რაიონში მომხდარი ინციდენტის გამოძიების მიზნით პირადად ეწვია. პროკურორის თქმით, 26 სექტემბერს ბოლნისის რაიონში მომხდარ ინციდენტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, რომელსაც პირადად ქვემო ქართლის სამხარეო პროკურორი იძიებს. რაც შეეხება დაკავებულ პასპორტებს, სიმონ მაჭავარიანის თქმით, აღნიშნული პასპორტები მფლობელებს მხოლოდ მათი დაკითხვის შემდეგ დაუბრუნდებათ.

24 საათი

რა კავშირია ორ გატაცებას შორის?

გუშინ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში, მთელი დღის განმავლობაში გაძლიერებული იყო ტრანსპორტის მიმოსვლაზე კონტროლი. ზუგდიდიდან ენგურის ხიდამდე რუსი სამშვიდობოები თითქმის ყველა გამვლელ ავტომანქანას აჩერებდნენ და ჩხრეკდნენ (სხვათა შორის, სამშვიდობოების მანდატი ყველა გამვლელი ავტომანქანის ჩხრეკის უფლებას არ ითვალისწინებს). კონფლიქტის ზონაში განლაგებული რუსი სამშვიდობოების გააქტიურება გამოიწვია ორი დღის წინ ერთ-ერთი რიგითი ჯარისკაცის - გრეგორი დერევიანისის გაუჩინარებამ. გუშინ საკმაოდ დაძაბული სიტუაცია იყო ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში. რუსმა სამშვიდობოებმა ზუგდიდის რაიონის სოფლებში სამხედრო ტექნიკა შეიყვანეს, რის გამოც ქართველი სამართალდამცველები მათ წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას აპირებენ.

ხათუნა ჯანგირაშვილი

იმ დროს, როცა რუსი ჯარისკაცები გამვლელ ავტომანქანებს მონდომებით ჩხრეკდნენ, გაერო-ს ზუგდიდის ოფისთან შიმშილობის აქცია დაიწყეს რუსი ჯარისკაცის გაუჩინარებამდე რამდენიმე დღით ადრე სოფელ დარჩელიდან გატაცებული როლანდ ჩანგელიას ოჯახის წევრებმა და ახლობლებმა. შეგახსენებთ, გატაცებული ჩანგელია აჭარის ლიდერთან დაპირისპირებული ლევან ქიძინიძის მიერ დაფუძნებული "დემოკრატიული სამართლის პარტიის" საბჭოს წევრი გახლავთ.

"მე თან მაქვს ოთხი ლიტრი ბენზინით სავსე ჭურჭელი და აქვე, ყველას თვალწინ დავიწვავ თავს, თუკი ჩემს შვილს არ დააბრუნებენ," - აცხადებდა გატაცებულის დედა. როლანდ ჩანგელიას ახლობლები გუშინ გაერო-ს ადგილობრივი ოფისის ხელმძღვანელობას დახმარებას სთხოვდნენ. **"გთხოვთ, აქტიურად ჩაერიოთ გატაცებულის დაბრუნების საქმეში,"** - ასეთი გახლდათ აქციის მონაწილეთა მოთხოვნა.

აფხაზი ბიოლოგიკის - ვალერი ბუთბას სახელმა, რომელსაც ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში მომხდარი თითქმის ყველა გატაცება-დაყაჩაღების დროს ახსენებენ ხოლმე, გუშინ კიდევ ერთხელ გაიგიერა. როლანდ ჩანგელიას ახლობლები დარწმუნებულები არიან, რომ გატაცებული აფხაზეთის ტერიტორიაზე იმყოფება და გატაცება სწორედ ბუთბას დავალებით მოხდა.

ჩანგელიას მეუღლის - ლამზირა ჩანგელიას თქმით, მას მხოლოდ ერთხელ ჰქონდა სატელეფონო საუბარი გატაცებულ მეუღლესთან. **"თუ 80 ათას დოლარს არ გადაიხდით, ცოცხალს ვეღარ მნახავთ,"** - მხოლოდ ეს სიტყვები უთქვამს გატაცებულს მეუღლისთვის.

"დემოკრატიული სამართლის პარტიის" საბჭოს წევრის ახლობლების მტკიცების მიუხედავად, რომ ჩანგელიასა და რუსი ჯარისკაცის გატაცებებს შორის არანაირი კავშირი არ არსებობს, გუშინ გავრცელებული ინფორმაციების მიხედვით, უკვე აშკარაა, რომ ეს ორი გატაცება ერთმანეთს უკავშირდება.

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, რუსი ჯარისკაცის - გრეგორი დერევიანისის გატაცებიდან რამდენიმე საათის შემდეგ გამტაცებლები სამშვიდობო ძალების წარმომადგენლებს დაუკავშირდნენ და დერევიანისის გათავისუფლების სანაცვლოდ მძევლად მყოფი როლანდ ჩანგელიას გათავისუფლება მოითხოვეს.

შეგახსენებთ, რომ როლანდ ჩანგელია 24 სექტემბერს სოფელ დარჩელიდან გაიტაცეს. უცნობებმა იგი იძულებით ჩასვეს ავტომანქანაში და გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს. რაც შეეხება გრეგორი დერევიანისს, ის ჩანგელიას გატაცებიდან ორი დღის შემდეგ გაუჩინარდა ზუგდიდის ცენტრში მდებარე საკოლმეურნეო ბაზრის ტერიტორიიდან.

თავდაპირველად, სამართალდამცველები ეჭვობდნენ, რომ ჯარისკაცმა, რომელიც უკვე ერთი წელია, საკონტრაქტო პირობებით მსახურობს სამშვიდობო ძალების გალის რაიონის ჩრდილოეთ ზონაში, თვითნებურად მიატოვა სამხედრო სამსახური.

როგორც დერევიანისის თანმხლები ჯარისკაცები განმარტავენ, ისინი ზუგდიდის ბაზარში პროდუქტების შესაძენად იყვნენ ჩასულნი. დერევიანისი მათ ავტომანქანაში, ბაზრის შესასვლელთან ელოდებოდათ და როცა გარეთ გამოვიდნენ, იგი იქ აღარ დახვდათ.

გუშინ, მთელი დღის განმავლობაში ამ ორ გატაცებასთან დაკავშირებით ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციები ვრცელდებოდა.

"სიტუაცია ყოველ წუთს იცვლება. რა ინტრიგაა ჩადებული რუსი ჯარისკაცისა და ჩანგელიას გატაცებებში, ნინასწარ ძნელი სათქმელია. უკვე გარკვეული მონაცემები გაგვაჩნია, რისი გამყლავნებაც, ჯერჯერობით, არ შეგვიძლია. იმედი გვაქვს, ყველაფერი უახლოეს დღეებში გაირკვევა," - განაცხადა ჩვენთან საუბრისას სამეგრელო-ზემო სვანეთის პროკურორის მოადგილემ მებრძოლი ჭკადუამ.

გავრცელებული ინფორმაციით, რუსი ჯარისკაცის გაუჩინარებასთან დაკავშირებით რუს მშვიდობისმყოფელთა სარდალი, გენერალ-ლეიტენანტი ალექსანდრ ევტეევი და შტაბის ოფიცერთა ჯგუფი გუშინ სოხუმიდან კონფლიქტის ზონაში განლაგებული სამშვიდობოების შტაბში გაემგზავრა. სარდალი აპირებს, ადგილზე გაარკვიოს დეტალები. გუშინვე, არაოფიციალური ინფორმაციის მიხედვით, ცნობილი გახდა, რომ გრიგორი დერევიანისი "კავშირზე გამოვიდა" და მის ჯგანმრთელობას არაფერი ემუქრება.

ქართველ სამართალდამცველებსა და რუს სამშვიდობოებს მომხდართან დაკავშირებით გარკვეული ვერსიები გააჩნიათ, თუმცა ამ ორი გატაცების დეტალები, ჯერჯერობით, მკაცრად გასაიდუმლოებულია.

ბრძოლა საუბნო საარჩევნო კომისიებისთვის

თამარ მჭედლიშვილი

ცენტრალური საარჩევნო კომისიის გუშინდელმა სხდომამ უკვე საშკარაოზე გამოიტანა ის დაპირისპირება, რომელიც კომისიის წევრთა შორის არსებობს. თანაც, გუშინ ცესკო-ს სხდომაზე სწორედ ის საკითხები იხილებოდა, რომელიც ყველა საარჩევნო სუბიექტისათვის ძალზე აქტუალურია და რომელიც საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტებას და ადგილებზე პოლიტიკურ ძალთა გადანაწილებას ეხება. სწორედ ამით იყო განპირობებული ის დაძაბული ფონი, რომელიც გუშინ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში იყო შექმნილი და ის პოლიტიკური დაპირისპირება, რომლის დაფარვას ცესკო-ს წევრები არც კი ცდილობდნენ.

ცესკო-ში დაპირისპირება ზედაპირზე ამოდის.

ბესო გელაშვილის ფოტო

საგულისხმოა, რომ ბრძოლა საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებისთვის ძალზე დაძაბულად მიმდინარეობს და ადგილებზე ვითარება საკმაოდ შემაშფოთებელია. ცენტრალური საარჩევნო კომისიის ის წევრები, რომლებიც სახელისუფლებო ბლოკს ღიად თუ ფარულად გულშემატკივრობენ, ძალ-ღონეს არ იშურებენ, რათა ქვედა დონის საარჩევნო კომისიებიდან მათთვის არასასურველი წევრები მოიშორონ. როგორც არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები აცხადებენ, ძნელია, გამოყო რომელიმე საარჩევნო ოლქი, რომელიც, ამ თვალსაზრისით, გამონაკლისს წარმოადგენდეს.

თავის მხრივ, პოლიტიკოსები საარჩევნო კომისიებში გაბატონებულ ორხელისუფლებიანობაზე საუბრობენ და აცხადებენ, რომ პოზიციისა და ოპოზიციის ადგილობრივი წარმომადგენლები ერთმანეთს ანგარიშს არ უწევენ, რაც წინასაარჩევნო სამზადისს აფერხებს. ასე მაგალითად, ცესკო-ში საარჩევნო ბლოკ "ბურჯანაძე-დემოკრატების" წრმუნებულის ხათუნა გოგორიშვილის მტკიცებით, **"ძალზე ხშირად საოლქო კომისიების წევრები შეგნებულად უცხადებენ ბოიკოტს სხდომებს. ეს კი განსაკუთრებით იმ ოლქებში ხდება, სადაც კომისიების თავმჯდომარეები ოპოზიციონერების გულშემატკივრობაში არიან მხილებულნი."**

ხელისუფლების მხარდამჭერებიც და ოპოზიციონერებიც შექმნილ ვითარებაზე პასუხისმგებლობას ერთმანეთს აკისრებენ და აცხადებენ, რომ მოწინააღმდეგე მხარეს არჩევნების ჩაშლა სურს.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის გუშინდელი სხდომა სწორედ ასეთ ტონალობაში მიმდინარეობდა. თანაც, საგულისხმოა, რომ გუშინდელი სხდომის ორი საკითხი, რომელიც უშუალოდ საოლქო საარჩევნო კომისიებში შექმნილ ვითარებას ეხებოდა, სახელისუფლებო ბლოკის ცესკო-ელმა გულშემატკივრებმა დღის წესრიგის პროექტში ზუსტად სხდომის დაწყების წინ შეიტანეს, რასაც "გაერთიანებული დემოკრატებისა" და "ახლების" პროტესტი მოჰყვა. პირველი საკითხი ყვარლის, თელავის და სენაკის საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეების იმ დაგადწყვეტილებების გაუქმებას ეხებოდა, რომლის წყალობითაც ამ რაიონებში საუბნო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეები დაინიშნენ, ხოლო მეორე - ყვარლის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობიდან გათავისუფლებას ითვალისწინებდა.

ხათუნა გოგორიშვილის საკმაოდ აქტიური პროტესტის "წყალობით", ყვარლის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის საკითხი დღის წესრიგიდან ამოიღეს. გოგორიშვილის მტკიცებით, კომისიის თავმჯდომარისადმი ცესკო-ს ასეთი ყურადღება მხოლოდ ერთი გარემოებით იყო განპირობებული: საქმე ის არის, რომ იგი ამ პოსტზე "ქრისტიან-კონსერვატორების", "ახლებისა" და "ნაციონალების" პროტექციის წყალობით დაინიშნა.

თავის მხრივ, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ნანა დევდარიანი აცხადებს, რომ მისთვის სულერთია, რომელ პარტიას გულშემატკივრობს კომისიის თავმჯდომარე. **"მთავარია, მან საარჩევნო პროცესი არ ჩაშალოს. ამ ადამიანზე კი ცესკო-ში საკმაოდ ბევრი საჩივარია შემოსული. კომისიის სხდომები არ იმართება. კომისიის საქმიანობა, ფაქტობრივად, ჩაშლილია,"** – ასეთი პასუხი გასცა დევდარიანმა გოგორიშვილს, თუმცა საბოლოოდ გადაწყდა, რომ ამ კონკრეტული საკითხის განხილვა დღეს მოხდება.

რაც შეეხება ყვარელში, თელავსა და სენაკში შექმნილ ვითარებას: ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრები, რომლებიც სახელისუფლებო ბლოკს წარმოადგენდნენ, დაჟინებით ითხოვდნენ იმ გადაწყვეტილების გაუქმებას, რომლითაც საუბნო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეები დაინიშნენ. თუმცა, საკმაოდ ხანგრძლივი კამათის შედეგად გადაწყდა, რომ ცესკო-ს სხდომაზე გამოცხადდებოდა შესვენება და პოზიციისა და ოპოზიციის წარმომადგენლები უკვე დახურულ კარს მიღმა გამართავდნენ კონსულტაციებს.

საათნახევრიანი შესვენების შემდგომ საკითხის განხილვა გაგრძელდა და ცესკო-მ ორივე მხარისთვის მეტ-ნაკლებად მისაღები გადაწყვეტილება მიიღო – ზოგან საუბნო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეები თანამდებობებზე დატოვა, ზოგან – შეცვალა. როგორც კულუარებში ამბობენ, კონსენსუსის მიღწევა ოპოზიციასთან გარიგების წყალობით გახდა შესაძლებელი.

და კიდევ, გუშინ ცესკო-მ ორი დღით გადაწია ამომრჩეველთა ერთიანი სიების საოლქო საარჩევნო კომისიებისთვის გადაცემის პროცესი.

გაუმარჯოს გამჭვირვალობას!

ჩემი პროგრამა შენსას სჯობია! - დაახლოებით ასეთი განწყობა აქვთ წინასაარჩევნოდ პარტიებს, ასეთი განწყობა ჰქონდათ მათ გუშინ ანტიკორუფციულ ბიუროშიც, მიუხედავად იმისა, რომ ზოგი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელმა კონკრეტული ანტიკორუფციული პროგრამის წარმოდგენა, რბილად რომ ვთქვათ, ვერ შეძლო.

ლელა მჭედლიძე

"პასუხი კითხვაზე - რამდენია ორჯერ ორი - სხვადასხვანაირი ვერ იქნება", - ასე ახასიათებდა კორუფციის წინააღმდეგ შეშუშავებულ ღონისძიებებს "დემოკრატი" მიხეილ მაჭავარიანი. მიუხედავად ამისა, ანტიკორუფციული ბიუროს თავმჯდომარე გუშინ სხვადასხვა პარტიებს შორის აშკარა დებატების მოლოდინში იყო. კახა უგულავას ამ მხრივ იმედები ოდნავ გაუცრუვდა, თუმცა შეხვედრას იგი, საბოლოოდ, უშედეგოდ მაინც არ მიიჩნევს.

ზოგი პარტიის წარმომადგენელმა კონკრეტული ანტიკორუფციული გამოსავლის შეთავაზებას პოლიტიკური განცხადებებით ფონს გასცა ამჯობინა. ასე მოიქცა ფრაქცია XXI საუკუნის წარმომადგენელი ჯემალ გამახარია, რომლისთვისაც **"შევარდნაძის მმართველობის პერიოდში ყველანაირ ანტიკორუფციულ ღონისძიებას აზრი დაკარგული აქვს."** "საშინაო დავალება" მომზადებული არც "ლეიბორისტების" წარმომადგენელს აღმოაჩნდა, თუმცა, გიორგი სიგუა ერთბაშად რამდენიმე ინიციატივით გამოვიდა: პოლიტიკური პარტიების სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების, ანტიკორუფციული ბიუროსთვის უფლებების გაფართოების, მისთვის წინასაარჩევნო პერიოდში საარჩევნო დარღვევების შეფასებისა და მათზე რეაგირების უფლების მინიჭების და ა.შ. საბოლოოდ, ნათელაშვილის ახალგაზრდა თანამებრძოლმა ისიც გვამცნო, რომ **"კუკიის სასაფლაოზე პოლიცია დამკრძალავი ბიუროსგან პასპორტების ამოღებით არის დაკავებული, რომელიც, გასაგებია, წინასაარჩევნოდ რისთვის დასჭირდებათ."**

გუშინ, სახელისუფლებო ბლოკის წარმომადგენლებით დაწყებული და"დემოკრატებით" დამთავრებული, ყველა კორუფციის წინააღმდეგ ლაშქრობაზე საუბრობდა. "სოციალისტი" ქუცნაშვილი გამოსავალს კორუფციასთან მებრძოლი მოხელეების დაცვასა და სასჯელის გარდუვალობაში ხედავს. "ნაციონალები" სახელმწიფო ბიუჯეტის მაქსიმალურად გაკონტროლების, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღებისა და ლიცენზირების წესის გამარტივების მომხრენი არიან. "დემოკრატები" სახელმწიფო უწყებებში გენერალური ინსპექციის ამუშავებას, კონტროლის პალატისთვის უფლებების გაფართოებასა და თვითმართველობის სისტემის რეფორმის ბოლომდე მიყვანას უჭერენ მხარს. სხვათა შორის, მიხეილ მაჭავარიანი შეკრების ყველაზე მომზადებული მონაწილე აღმოჩნდა. "მემარჯვენე" დავით კოღუაშვილმა ეროვნული, ანტიკორუფციული უსაფრთხოება პირდაპირ დაუკავშირა "საბიუჯეტო უსაფრთხოებას". პარტიების, სახელმწიფო მოხელეების და ა.შ. ქონებრივი დეკლარაციების, შემოსავლების მაქსიმალური კონტროლი და გამჭვირვალობა - ასეთია "ახლების" პოზიცია.

"მრეწველები" რჩეულებს ასახელებენ

"მრეწველები" კატეგორიულად არ ეთანხმებიან რიგი სოციოლოგიური სამსახურების პროგნოზს იმის თაობაზე, რომ 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში გოგი თოფაძის გუნდს წარუმატებლობა ელის. მეტიც, "ბიზნესპარტიის" ლიდერთა ვარაუდით, ისინი მომავალ საკანონმდებლო ორგანოში დეპუტატთა უფრო მეტი რაოდენობით იქნებიან წარმოდგენილნი. "იმას, რაც ამ პარლამენტში ჩვენი მცირერიცხოვნობის გამო ვერ გავაკეთეთ, 2 ნოემბრის შემდეგ გავაკეთებთ. ამ განცხადების საფუძველს ის გარემოება მაძლევს, რომ ხელისუფლებაში დიდი გუნდით ვაპირებთ მოსვლას", - კარსმომდგარ გამარჯვებაში ეჭვი არ ეპარება გოგი თოფაძეს. მის ოპტიმიზმს, ძირითადად, 2002 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში "მრეწველების" მიერ ნაჩვენები მაღალი შედეგები განაპირობებს. "დღეს ჩვენ ყველაზე მეტი დეპუტატი გვყავს მთელი საქართველოს წარმომადგენლობითი ორგანოების მასშტაბით," - წარსულის ტკბილი მოგონებით ნეტარებს მთავარი "მრეწველი".

გოგი თოფაძის "ლაშქარი".

ბესო გელაშვილის ფოტო

გიორგი ასანიშვილი

პარტიის საარჩევნო შტაბში გოგი თოფაძემ გუშინ ის გუნდი წარმოადგინა, რომლისაც მას 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში ეიმედება. "მრეწველთა" ლიდერის თქმით, პარტიული საარჩევნო სია ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ დაზუსტებული ("რაღაც-რაღაცა სირთულეები არსებობს") და საზოგადოებისთვის ორსამ დღეში გახდება ცნობილი. სამაგიეროდ, თოფაძე უკვე ასახელებს იმ პიროვნებებს, რომლებიც მაჟორიტარი დეპუტატობისთვის "მრეწველთა" სახელით იბრძოლებენ.

"მრეწველების" საარჩევნო "რაზმი" ასე გამოიყურება: ასპინძის რაიონი - ზვიად ბერიძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალის რექტორი; ბორჯომის რაიონი - რევაზ აიწურაძე, თბილისის საკრებულოს წევრი; ხაშურის რაიონი - ვალერი გელაშვილი, პარლამენტარი, ბიზნესმენი; თბილისის დიდუბის რაიონი - ზურაბ ვაშალომიძე, ტურისტული ფირმის ხელმძღვანელი; ზესტაფონის რაიონი - ვახტანგ ძაბირაძე, რესპუბლიკური პარტიის ყოფილი წევრი; თბილისის მთაწმინდის რაიონი - ლამარა ურიდია, საშუალო სკოლის დირექტორი; აბაშის რაიონი - პაატა ქურდოვანიძე, ექიმი; ახალქალაქის რაიონი - მერუჟან მირზოიანი, აგროგაერთიანების ხელმძღვანელი; წალკის რაიონი - აიკ მელიქიანი, სოფელ "ნარდევანის" საკრებულოს თავმჯდომარე; სენაკის რაიონი - კახაბერ რუსია, ბიზნესმენი, " მრეწველთა" კოორდინატორი სამეგრელოს რეგიონში; ლიახვის ხეობა - სალომე ზვიადაძე, ყოფილი უზენაესი საბჭოს დეპუტატი; ხონის რაიონი - სოსო ჩიქოვანი; საჩხერის რაიონი - თემურ ხურციძე, ბოლო ორი მოწვევის პარლამენტის წევრი; ტყიბულის რაიონი - თენგიზ ჭიქაბერიძე, ყოფილი პარლამენტარი; გორის რაიონი - ამირან ბიძინაშვილი, ყოფილი აღმასკომის თავმჯდომარე; ქობულეთის რაიონი - რუსლან ინაიშვილი; ქედის რაიონი - გივი ჯაფარიძე.

გუშინდელ პრეზენტაციაზე გოგი თოფაძემ "ჩაროზად" ლევან პირველი შემოინახა და იგი საგანგებოდ წარუდგინა საზოგადოებას.

"ლევანს პრესა არ სწყალობს და რაღაცეებს აბრალებს. არადა, იგი ერთი ნიჭიერი კაცია და თუ ენერგეტიკაში რამე დარღვევები გამოვლინდა, სწორედ მისი დამსახურებაა. მამამისიც ვაჟკაცი კაცი და ჩვენი მეგობარი იყო", - ასე დაახასიათა "მრეწველთა" ლიდერმა ჩუღურეთის რაიონში დეპუტატობისთვის მებრძოლი ლევან პირველი.

წინასაარჩევნო კამპანიის დროს მომხდარმა გართულებებმა, კერძოდ, ბოლნისის ინციდენტმა, გუშინდელ ღონისძიებაზეც პოვა გამოძახილი. გოგი თოფაძე შეშფოთებას გამოხატავს ვითარების ესკალაციის გამო და, თავის მხრივ, "პირობას დებს", რომ "მრეწველები" სიტუაციის გამწვავებას მოერიდებიან.

იგი სთავაზობს ყველა პოლიტიკურ ძალას, მათ შორის - სახელისუფლებო ბლოკს, რომ სასწრაფოდ შეიკრიბოს და შეიმუშაოს "რაინდული წესი", რომელიც გახდება ბარიერი როგორც ძალადობისთვის, ასევე არჩევნების შედეგების გაყალბების მსურველთათვის.

"გაზპრომის" რეფორმა კვლავ ფერხდება

მაია ურუშაძე

რუსეთის ეკონომიკის განვითარების სამინისტროს მიერ "გაზპრომის" რეფორმის კონცეფციის მიღების მეორე მცდელობა წარუმატებლად დამთავრდა. პრემიერ-მინისტრმა მიხაილ კასიანოვმა ეს საკითხი დღის წესრიგიდან საერთოდ მოხსნა. რეფორმა მაგისტრალური გაზსადენებისა და დისპეტჩერული მართვის, მოგვიანებით კი – გაზის მომპოვებელი საწარმოების "გაზპრომის" სტრუქტურიდან გამოყვანას გულისხმობს და სექტორის დემონოპოლიზებას ემსახურება.

რეფორმის საკითხი რუსეთის მთავრობის წინაშე ჯერ კიდევ გასული წლის დეკემბერში დადგა, თუმცა მაშინ "გაზპრომის" მმართველთა საბჭოს თავმჯდომარემ ალექსეი მილერმა წერილით მიმართა რუსეთის პრეზიდენტ პუტინს და "გააფრთხილა", რომ "ეს რეფორმა ქვეყნის ენერგეტიკულ უსაფრთხოებას ემუქრება." ოფიციალური ვერსიით, კასიანოვმა მაშინ საკითხი დღის წესრიგიდან იმის გამო მოხსნა, რომ "წარმოდგენილი მასალები ყველა დაინტერესებულ უწყებასთან არ იყო შეთანხმებული."

ამჯერად განგაშის წერილი კასიანოვმა მიიღო. კულუარული ინფორმაციით, რომელსაც რუსული "ვედომოსტი" ავრცელებს, მილერმა საკითხის მოხსნა პირადად პუტინს სთხოვა, ამერიკაში ვიზიტით მყოფმა პუტინმა კი კასიანოვს სასწრაფოდ დაურეკა და მილერის თხოვნა დააკმაყოფილა.

მთავრობა ცაიტნოტში

ვირველი გვერდიდან

იმისათვის, რომ ბიუჯეტი რეალურთან ახლოს იყოს, გოცირიძის ინფორმაციით, მთავრობას მინიმუმ ორი საკითხის გარკვევა სჭირდება: უპირველეს ყოვლისა, გასარკვევია, გადაგვივადებენ თუ არა პარიზის კლუბში მიმდინარე და 2004 წლის ვალებს. გარდა ამისა, ჯერჯერობით, დაუდგენელია, გაგვიწევენ თუ არა საერთაშორისო დონორები დახმარებას და თუ გაგვიწევენ, რა თანხებით.

გარდა ამისა, **"ბიუჯეტი უნდა დაგებოდეს ინდიკატური გეგმის მიხედვით, რომელიც ეკონომიკის სამინისტრომ უნდა დაამტკიცოს, მაგრამ საქართველოში ეს გეგმა ყოველთვის ფორმალობა იყო, რადგან სამინისტროს მაკროეკონომიკური მარეგულირებლის ფუნქცია დაკარგული აქვს,"** – მიიჩნევს გოცირიძე.

დაბოლოს, იმისათვის, რომ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მხარდაჭერის უკანასკნელი იმედიც არ დაკარგოს, საქართველომ ბიუჯეტი სავალუტო ფონდთან უნდა შეათანხმოს, რაც ჯერ არ მომხდარა.

"ბიუჯეტის პარამეტრები ოქტომბერში, ფონდის მისიის ვიზიტის შემდეგ დაზუსტდება. ფაქტობრივად, ნოემბერში ამჟამინდელი პროექტის ნაცვლად მის ახალ ვარიანტს წარვადგენთ პარლამენტში," - აცხადებს ფინანსთა მინისტრის მოადგილე ვასილ გიგოლაშვილი.

თუ მთავრობას ვენდობით, უკვე გაბერილ-განადგურებული 2004 წლის ბიუჯეტი ხვალ დილამდე პარლამენტში აუცილებლად მოხვდება. რამდენად გაუძლებს იგი კრიტიკას, მეორე საკითხია. **"თუ მთავრობამ ბიუჯეტის კანონპროექტი ვერ შეიტანა, პრეზიდენტი იძულებული გახდება, დაარღვიოს კონსტიტუცია. ამიტომ მთავრობა იძულებულია, შემოიტანოს ნახევარფაბრიკატი და მერე ნოემბრის ბოლომდე იმუშაოს,"** – ვარაუდობს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელი. ნოემბრის ბოლოს კი 2004 წლის ბიუჯეტის დამტკიცება უკვე ახალ პარლამენტს მოუწევს.

გიგა გელაშვილის საქმის განხილვა გაურკვეველი ვადით გადაიდო

თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოში „მხედრიონის“ ერთ-ერთი ლიდერის, ისრაელში დაპატიმრებული და შემდეგ საქართველოში ექსტრადირებული გიგა გელაშვილის საქმის განხილვა გუშინ უნდა დაწყებულიყო. თუმცა, მოსამართლის განმარტებით, პროცესი სასამართლოსთვის საჭირო დოკუმენტაციის უქონლობის გამო (რისი მიზეზითაც მან საქმის გაცნობა ვერ მოასწრო) გაურკვეველი ვადით გადაიდო. მოსამართლე ტაბატაძემ გელაშვილის საქმესთან დაკავშირებით დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენა მოითხოვა. გუშინ გიგა გელაშვილის ადვოკატმა ვახტანგ თალაკვაძემ სასამართლოს ისრაელში გასამართლებული პატიმრის გათავისუფლების თაობაზე შუამდგომლობით მიმართა. ვახტანგ თალაკვაძის განცხადებით, არ არის გამორიცხული, რომ მოსამართლემ გელაშვილის სასამართლოს დარბაზიდან გათავისუფლების გადაწყვეტილება მიიღოს, რადგან იგი მძიმე მუხლებით არ არის გასამართლებული და სასჯელის უმეტესი ნაწილი უკვე მოხდილი აქვს.

არასამთავრობო ორგანიზაცია “ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის” ხელმძღვანელის ნანა კაკაბაძის განცხადებით, ვაკე-საბურთალოს სასამართლომ გიგა გელაშვილის მიმართ თელ-ავივის სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი ქართულ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში უნდა მოიყვანოს. გიგა გელაშვილისთვის ისრაელის სამართალდამცველების მიერ წაყენებული მუხლი საქართველოს კანონმდებლობით დასჯადი დანაშაული არ არის, ამიტომ იგი პატიმრობიდან დაუყოვნებლივ უნდა გაათავისუფლონ, თუმცა ეს სამართლებრივი პროცედურა მას შემდეგ განხორციელდება, როცა სასამართლო პროცესი შედგება. **“სწორედ ამიტომაც აჭიანურებენ პროცესის ჩატარებას, გელაშვილის სასამართლო დარბაზიდან გათავისუფლების ეშინიათ; უფრო ზუსტად, სასამართლოს ხელისუფლების შიში აქვს. გიგა გელაშვილს პატიმრობის ვადა შვიდ ნოემბერს ეწურება და პროცესს ამ დრომდე არ ჩაატარებენ,”** – ამბობს ნანა კაკაბაძე.

როგორც ცნობილია, გიგა გელაშვილი ისრაელის პოლიციამ მიმდინარე წლის 15 ივნისს დააკავა. მას თელავივის სასამართლომ რვა თვით პატიმრობა მიუსაჯა, აქედან ოთხი თვე საპყრობილეში სანიმუშო ქცევისთვის მოეხსნა, ხოლო დარჩენილი ოთხი თვე შვიდ ნოემბერს იწურება.

თელ-ავივის საპყრობილიდან ორთაჭალის ციხეში ექსტრადირებული გიგა გელაშვილი გუშინდელ პროცესს არ დასწრებია. ადვოკატ ვახტანგ თალაკვაძის განმარტებით, განსასჯელმა თავად განაცხადა უარი და სასამართლოს გადაწყვეტილებას საპყრობილეში ელოდება. **24 საათი**

ორი სიტყვით

თბილისი."დემოკრატიული აღორძინების კავშირის" ვაკის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი, პოპულარული ქართველი მომღერალი დავით ხუჯაძე იქნება, რომელიც საარჩევნო სიის პირველ ათეულშიც მოხვდა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. "დემოკრატიული აღორძინების კავშირის" ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტარი სანდრო ბრეგაძე არ გამორიცხავს, რომ პარტიის საარჩევნო სიის "გამსვლელ ადგილზე" არ აღმოჩნდეს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. რუსეთის მთავრობის მინისტრი ჩეჩნეთის საქმეებში სტანისლავ ილიასოვი და რუსეთის საგანგებო სიტუაციების მინისტრის მოადგილე იური ბრაჟნიკოვი პანკისის ხეობაში ჩავლენ და ჩეჩნეთიდან ლტოლვილებს შეხვდებიან. მინისტრი და მისი თანმხლები პირები რუსეთის საგანგებო სიტუაციების სამინისტროს სპეცრეისით ჩამოვიდნენ და პანკისში მყოფ ლტოლვილებს 20 ტონა ჰუმანიტარულ ტვირთს გადასცემენ.

ამასთან, პირველ ოქტომბერს საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის დეპარტამენტში დაგეგმილია დელეგაციის წევრების შეხვედრა თბილისში მცხოვრებ ჩეჩენ ლტოლვილებთან. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ოფიციალური მიწვევის მიუხედავად, რუსეთის პრეზიდენტის პირადი წარმომადგენელი აფხაზეთის კონფლიქტის საკითხებში ვალერი ლობინინი "აფხაზეთის დამოუკიდებლობის" წლისთავზე დასწრებას არ აპირებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში საქართველოს პარლამენტის დელეგაციის წევრის, სახელისუფლებო ბლოკის "ახალი საქართველოსათვის" ერთი-ერთი ლიდერის არმაზ ახვლედიანის ცნობით, საქართველოს ხელისუფლების თხოვნით, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია და ევროსაბჭო შეძლების ფარგლებში გაზრდის დამკვირვებელთა რაოდენობას საქართველოში 2 ნოემბერს დანიშნულ საპარლამენტო არჩევნებზე. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოში სომხეთის ელჩი გიორგი ხოსროევი მიიჩნევს, რომ ზოგიერთი ქართველი პოლიტიკოსის მიერ სომხური წარმომავლობის უარყოფით კონტექსტში მოხსენიების პრეცედენტთა გაგრძელებამ, რაც ქართული მასმედიით ხშირად ფიქსირდება, შესაძლოა, საქართველოში ეთნიკური დაპირისპირება გამოიწვიოს **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

რუსთავი. ქვემო ქართლში პრეზიდენტის რწმუნებული ზურაბ კობიაშვილი, ჯერჯერობით, მოადგილეების გარეშე მუშაობს. მისი განცხადებით, თანამდებობიდან ყოფილი რწმუნებულის გადადგომის შემდეგ ყველა ვიცეგუბერნატორი ავტომატურად გადამდგარად ითვლება. **მედია-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გელაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

მოკლედ

ირაკლი დოკვაძე რეაბილიტაციას ითხოვს

ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების მომხრე ირაკლი დოკვაძის რეაბილიტაციის საკითხს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საკასაციო პალატა ხვალ განიხილავს. დოკვაძის ადვოკატის ცეზარ ფუტკარაძის თქმით, მისი დაცვის ქვეშ მყოფი გარკვეულ დანაშაულში გამართლებულია და ამის საფუძველზე ითხოვს რეაბილიტაციას. რეაბილიტაციის მოთხოვნაზე დოკვაძეს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ წელს, ივნისში უარი უთხრა. დოკვაძემ კოლეგიის გადაწყვეტილება პალატაში გაასაჩივრა.

როგორც ცნობილია, ირაკლი დოკვაძესა და მის თანამოაზრე პეტრე გელბახიანს 1992 წელს „მხედრიონის“ ლიდერის ჯაბა იოსელიანის მიმართ თბილისში, ჩიქოვანის ქუჩაზე, ტერორისტული აქტის მოწყობის გამო 1995 წლის 6 მარტს უზენაესმა სასამართლომ სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოუტანა. აღნიშნულ ტერორისტულ აქტს ხუთი ადამიანის, მათ შორის - 7 წლის ბიჭის სიცოცხლე შეეწირა.

დოკვაძეს სასიკვდილო განაჩენი სასჯელის ამ ფორმის გაუქმების გამო 20 წლის პატიმრობით შეეცვალა. შარშან, დეკემბერში დოკვაძის საქმე უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ გადასინჯა და მსჯავრდებულს პატიმრობის ვადა 12 წლითა და 6 თვით განუსაზღვრა.

შარშან, 3 სექტემბერს ირაკლი დოკვაძე პატიმრობიდან ვადაზე ადრე გათავისუფლდა. 2 დღის შემდეგ ციხის კედლები პეტრე გელბახიანმაც დატოვა.

მედია-ნიუსი

გივი თარგამაძის პროცესი კვლავ გადაიდო

ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოში "ნაციონალური მოძრაობის" წევრის გივი თარგამაძის და მამა-შვილ დონაძეების პროცესი მოპასუხე მხარის ადვოკატის გამოუცხადებლობის გამო 9 ოქტომბრისთვის გადაიდო.

გივი თარგამაძის თქმით, საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე სასამართლო კიდევ რამდენიმე მოწმეს დაკითხავს.

ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოში "ნაციონალური მოძრაობის" წევრის გივი თარგამაძისა და მამა-შვილ დონაძეების პროცესის არსებითი განხილვა მიმდინარე წლის აგვისტოში დაიწყო. ნოდარ და დავით დონაძეები თარგამაძეს ხულიგნობაში ადანაშაულებენ. კერძოდ, დონაძეების მტკიცებით, შარშან, 8 ივლისს თარგამაძესთან ურთიერთშელაპარაკებისა და შეხლა-შემოხლის დროს თარგამაძემ დავით დონაძეს თავში ბოთლი ჩაარტყა.

თავის მხრივ, გივი თარგამაძე თავს დამნაშავედ არ ცნობს და მის მიმართ წაყენებულ ბრალდებებს პროვოკაციად აფასებს.

დონაძეები კი თარგამაძესა და მის მეგობრებს - ირაკლი აბაშიძესა და ლაშა ბუცხრიკიძესაც სდებენ ბრალს და განსასჯელებისგან 92 ათას ლარს მოითხოვენ მორალური და მატერიალური ზარალის ანაზღაურების სახით.

ინტერ-პრესი

ორი სიტყვით

თბილისი. დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერება – 11.7 გრამი ჰეროინი ჩამოართვეს პოლიციელებმა 50 წლის გევორქ მელქონიანს, რომელიც მეტროსადგურ „ვარკეთილის“ მიმდებარე ტერიტორიაზე 27 სექტემბერს დააკავეს.

იქვე დააკავეს 51 წლის ტარიელ გაზაშვილი, რომელსაც „ჰეროინი“ თბილისში სარეალიზაციოდ ერგნეთის ბაზრობიდან ჩამოეჭონდა. მას 0.52 გრამი ჰეროინი ჩამოართვეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. 47 წლის კარლო აროიანმა საკუთარი სახლის ეზოში თოკით თავი ჩამოიხრჩო. შემთხვევა თბილისში, წყნეთის ხევის დასახლების №21-ში მოხდა.

აროიანის თვითმკვლელობის ფაქტთან დაკავშირებით საქმეს პროკურატურა იძიებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. 23 წლის გიორგი ა. პოლიციელებმა 27 სექტემბერს დააკავეს 16 წლის ს.კ.-ს გაუპატიურების ბრალდებით.გიორგი ა-მ 16 წლის გოგონა მოტყუებით წაიყვანა თბილისში, ბიჭვინთის ქუჩაზე და გააუპატიურა. საქმეს იძიებს თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის პროკურატურა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. გუშინ პოლიციამ საკუთარ სახლში დააკავა დეზერტირობისთვის ძებნილი ბოლნისელი რევაზ სულწაძე, რომელმაც შარშან თვითნებურად მიატოვა თავდაცვის სამინისტროს კრწანისის სასწავლო ცენტრი. ქვემო ქართლის სამხარეო სამხედრო პროკურორის მამუკა ცაავას ინფორმაციით, სულწაძე, დეზერტირობის გარდა, ქურდობის მუხლითაც გასამართლდება, რადგან იგი, მოქალაქე თედიაშვილთან ერთად, ფერადი ლითონებისა და ავტომანქანის სათადარიგო ნაწილების მოპარვაშია ეჭვმიტანილი. თავად თედიაშვილი კი ამჟამად მალვაშია და მას პოლიცია ეძებს. ცაავასვე ინფორმაციით, ბოლო ორ კვირაში პოლიციამ დეზერტირობისთვის ძებნილი 20 პირი დააკავა. **მედია-ნიუსი**

შალვა ნათელაშვილის არაჩვეულებრივი გამოფენა

ᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ექიმმა დავით ჭავჭანიძემ მეგობარ მსახიობს გადეპუტატება, ხოლო შალვა ნათელაშვილს სპიკერატში მოსვლა უწინასწარმეტყველა.

რეზო ჩხიკვიშვილს პარლამენტარი ადა მარშანიაც უჭერს მხარს. მარშანიას რეზო ჩხიკვიშვილის არა მარტო გამარჯვებაში, მის კეთილსინდისიერებაშიც არ ეპარება ეჭვი: **"ბატონო რეზო, დარწმუნებული ვარ, როდესაც პარლამენტი აფხაზეთის საკითხს განიხილავს, თქვენ საქეიფოდ არ წახვალთ, არც ზღვაზე წაბრძანდებით, ბოლომდე დარჩებით დარბაზში და საკითხს გულმოდგინედ მოეკიდებით."** ადა მარშანიას შემთხვევით არ დაუჭერია მხარი რეზო ჩხიკვიშვილისათვის: **"განსაკუთრებით მომწონს თქვენი უბანი და თუ საშუალება მომეცა, აუცილებლად მთაწმინდაზე დავიდებ ბინას,"** - ჩემი ვარაუდით, ახალგაზრდა პარლამენტარი, რომელსაც მთელი ცხოვრება წინ აქვს, მთაწმინდის უბანში ბინის შეძენას აპირებს...

ლევან ხერხეულიძის ფოტო

"ლეიბორისტები" არჩევნებში გამარჯვებას და უნიტაზების გამოფენის მოწყობას აპირებენ.

გუშინ შალვა ნათელაშვილმა თანაპარტიელ მსახიობს გრიბოედოვის სახელობის თეატრში შეცდომით "მთაწმინდის დეპუტატი" უწოდა, თუმცა იგი ისედაც ღრმად არის დარწმუნებული ჩხიკვიშვილის გამარჯვებაში. ლეიბორისტთა ლიდერმა ხელისუფლება, ტრადიციულად, უპასუხისმგებლობაში, გრანტიჭამიობაში, სასახლეების შენებაში დაადანაშაულა. ენერგოკრიზისზე საუბრისას ნათელაშვილმა ბრძანა: **"ხალხი ისე შეეჩვია უსინათლობას, ისე გაიწაფა, რომ ჩაბნელებული გვირაბიდან ნებისმიერ მეტროსადგურამდე გზას რუკის გარეშე იგნებს."**

შალვა ნათელაშვილი მომავალს ოპტიმისტურად უყურებს. ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ იგი აპირებს, ძველი პარლამენტის "ნასახლარი" გაათავისუფლოს "ავი სულებისგან": **"საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს ილია მეორეს უნდა ვთხოვო, ახალი პარლამენტი გვიკურთხოს."** ამის შემდეგ ლეიბორისტთა ლიდერი პრეზიდენტ შევარდნაძეს პენსიაში გაუშვებს: ჯერ დაუნიშნავს პენსიას და შემდეგ გაუყინავს.

მამალაძე შინ და გარეთ საფრთხეებს ხედავს

ᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ქვემო ქართლის ყოფილი გუბერნატორი მზადაა, გულში ჩაიკლას ყველა წყენა და საკუთარ პოლიტიკურ ოპონენტებთან დიალოგზე და ღია დებატებზეც წავიდეს. **"ჟვანიას და სააკაშვილსაც შევხვდები,"** – მეტი დამაჯერებლობისთვის დააკონკრეტა მამალაძემ გუშინდელ პრესკონფერენციაზე.

ბოლნისის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ოპოზიციას მოუწოდებს, ქვემო ქართლში საარჩევნო კამპანიის წარმართვისას მეტი კორექტულობა გამოიჩინონ და ეთნიკური შუღლი არ გააღვივონ. მამალაძეს გულწრფელად სჯერა, რომ თუ აქამდე "რთულ ეთნიკურ რეგიონებში" სამოქალაქო მშვიდობა სუფევს, ეს სწორედ მისი და პრეზიდენტის გონიერი პოლიტიკის დამსახურებაა.

დესტაბილიზაციის მოსურნე ძალებს იგი ქვეყნის საზღვრებს გარეთაც ხედავს: **"არსებობენ გარეშე მტრული ძალებიც, რომელთა მიზანი ქართული სახელმწიფოს დასუსტებაა, მათ შორის რამდენიმე ქვეყანაცაა,"** – მამალაძე "მტერი ქვეყნების" სიას არ ახმოვანებს, თუმცა დარწმუნებულია, რომ ქვეყანაში ნებისმიერი არეულობა მათი ხელშეწყობით ხდება.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

ლევან მამალაძე საფრთხეების წყაროებს არ ასახელებს.

ბატონი ლევანი თხოვნით მიმართავს საერთაშორისო ორგანიზაციებს, საქართველოში აკრედიტებულ საელჩოებს, ეუთო-სა და ევროსაბჭოს დამკვირვებელთა მისიებს, უფრო მეტი ყურადღება და გულისხმიერება გამოიჩინონ ქვემო ქართლის მიმართ, რადგან **"ეს რეგიონი არჩევნებში მონაწილე პარტიებს აშკარად განსაკუთრებულ ინტერესს აღუძრავს".** მამალაძე დამკვირვებლებს არჩევნების პროცესის სრულ გამჭვირვალობასა და ნებისმიერი სახის ინფორმაციის მიწოდებას ჰპირდება.

"ამასთანავე ნათელია, რამდენიც არ უნდა ისაუბრონ ქვემო ქართლში არჩევნების გაყალბებაზე, იმ პირებმა, ვინც ამას ამბობს, კარგად იციან, რომ რეგიონის მოსახლეობის უმრავლესობა მხარს უჭერდა და დაუჭერს სახელმწიფოს ოფიციალურ კურსს და ხელისუფლებას. არ არსებობს არც ერთი მეტ-ნაკლებად კვალიფიციური გამოკვლევა, რომელიც საწინააღმდეგოს დაამტკიცებს," – ასკვნის ლევან მამალაძე. მისი აზრით, საწინააღმდეგოს ვერც 2 ნოემბრის არჩევნები დაამტკიცებს.

აღვირახსნილი კოლონა, უსუსური პოლიცია და ჭამი ძვათა სროლისა

ᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

საქციელი, თუმცა ამას არანაირი გამართლება და პატიება არ აქვს," - ასეთი მკაცრი იყო კობიაშვილი საკუთარი გამგებლისა და პოლიციის მისამართით. მან სამხარეო პოლიციის ხელმძღვანელობას საგზაო პოლიციის იმ თანამშრომელთა დაუყოვნებლივ გათავისუფლებაც მოსთხოვა, რომლებიც იმ დღეს საგუშაგოებზე იდგნენ და ნაციონალების "აღვირახსნილი კოლონა" არ გააჩერეს. **"ასეთ უსუსურობას მე არ დავუშვებ, მით უმეტეს ახლა, როდესაც არჩევნები გვაქვს წინ,"** - განაცხადა გუბერნატორმა.

"ის ბავშვები, რომელიც სატელევიზიო კადრებში ჩანდნენ, ჩვენ გავიკითხეთ და მშობლებს ჰყავდათ იქ მიყვანილი, სკოლას მონანილეობა არ მიუღია," - მოახსენა გუბერნატორს ქვემო ქართლის სასკოლო ოლქის ხელმძღვანელმა დავით კაპანაძემ და მონონებაც დაამსახურა, სამაგიეროდ დაიტუქსა ჯანდაცვის სამმართველოს უფროსი მურჯიკნელი, რომელმაც "დაუფიქრებლად" განაცხადა, ბოლნისში დაზარალებულ ხელისუფლების წარმომადგენლებს მსუბუქი სახის დაზიანებები აქვთო.

"უსუსურმა" ქვემო ქართლის პოლიციამ ბოლნისში მომხდარს მასობრივი არეულობის კლასიფიკაცია მიანიჭა და საქმე 225-ე მუხლით აღძრა. ოფიციალური ინფორმაციით, არეულობის მომწყობები არიან "ნაციონალები": ვანო მერაბიშვილი, გია ხევიაშვილი და მურადხანოვი, დაახლოებით, 200 მოქალაქის თანხლებით, ხოლო დაზარალებულნი - ბოლნისის გამგებელი ჯაფარიძე, ბოლნისის პოლიციის უფროსი ასევე ჯაფარიძე და მარნეულის პოლიციის თანამშრომლები სამაშვილი და ჩიხლაძე.

ბოლნისის ინციდენტი რომ მხოლოდ დასაწყისი იყო დაპირისპირებისა, ამაზე ისიც მიანიშნებს, რომ გუშინ ღამით "ნაციონალური მოძრაობის" რუსთავის ორივე ოფისის ფანჯრები დაუდგენელმა პირებმა ჩაამტვრიეს. "ნაციონალი" ხევიაშვილი ამ ფაქტს "ხელისუფლების მხრიდან ქვების სროლის გაგრძელებას" უწოდებს. რუსთავის პოლიციამ მომხდარზე გამოძიება დაიწყო.

დავით გამყრელიძე ამხელს და ნანობს

ᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

მისი აზრით, როდესაც სახელისუფლებო ბლოკს არანაირი რეიტინგი არა აქვს და მაინც 80-90 მანდატის მოპოვებას გეგმავს, ეს ნიშნავს, რომ იგი ძალაუფლების შენარჩუნებას არჩევნების გაყალბებისა და ძალადობის გზით აპირებს. გამყრელიძის მტკიცებით, სახელისუფლებო გუნდი ბოროტად იყენებს მდგომარეობას და ცდილობს, სახელისუფლებო სახსრები თავისი საარჩევნო მიზნების ხორცშესხმას მოახმაროს.

"ხელისუფლება თავის აქტივისტებს, ანუ თანამდებობის პირებს, არჩევნებში დახმარებისთვის ხელფასს არ უხდის, ამასთან, სახელმწიფო შენობებსა და ტრანსპორტს თავისი საარჩევნო კამპანიისთვის მუქთად იყენებს," - ირწმუნება "ახლების" თავკაცი.

მისივე განცხადებით, დღეს ხელოვნურად ხდება დაძაბულობის ესკალაცია, რათა ხალხს შეექმნას შთაბეჭდილება, თითქოს, ხელისუფლებაცა და ოპოზიციაც ერთნაირად სცოდავენ. არჩევნების დემოკრატიულად ჩატარებაზე, აგრეთვე, წინასაარჩევნო კამპანიის მშვიდობიანად წარმართვაზე მთელ პასუხისმგებლობას გამყრელიძე ხელისუფლებას აკისრებს.

როდესაც ხელისუფლებაზე საუბრობს, მათში "ახალი მემარჯვენეების" ლიდერი, სამთავრობო ბლოკის გარდა, "მრეწველებსა" და "აღორძინებასაც" მოიაზრებს, რომლებიც ერთად საარჩევნო კომისიებში უმრავლესობას შეადგენენ. გამყრელიძის თქმით, ეს გარემოება მათ არჩევნების გაყალბების დიდ შანსს აძლევს. **"ხელისუფლების წარმომადგენლებს, "მრეწველებთან" და "აღორძინებასთან" კავშირში, შეუძლიათ, ოქმებში მათთვის სასურველი შედეგები გააფორმონ და არჩევნებში გამარჯვებას ამ გზით მიაღწიონ,"** - ვარაუდობს გამყრელიძე. მისი თქმით, ამ შემთხვევაში, ოპოზიციას ორი გზა დარჩება: მიმართოს სასამართლოს, რომ ხელახლა მოხდეს ხმების გადათვლა, ან ამომრჩევლებთან ერთად, მშვიდობიანი პროტესტით ქუჩებში გამოვიდეს და ამით ხელისუფლებას თავისი ძალა აჩვენოს.

"ახალი მემარჯვენეების" ლიდერი დღეს უკვე ერთგვარი სინანულით საუბრობს იმაზე, რომ, თავის დროზე, ოპოზიციური ძალების გაერთიანება ვერ მოხერხდა. **"ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია პარტიის სახის შენარჩუნება და სხვებთან მისი აღრევის თავიდან აცილება, მაგრამ როდესაც ხელისუფლებისგან მომდინარე ძალადობას ვუყურებ, გული მწყდება, რომ ოპოზიციამ, თუნდაც დროებით, კონსოლიდაცია ვერ შეძლო,"** - ვერშემდგარი ოპოზიციური კავშირის ნამდვილ ფასს ახლაღა ხვდება "ახლების" ხელმძღვანელი.

ცვლოვნებრ

უსტაბაში
ირაკლი ბერიაშვილი

მეფე ერთობა

- მიშიკო! ნახავ, რასაც წაიღებ ბოლნისიდან!

სინტაქსისა თუ დინამიკის თვალსაზრისით თავისთავად არცთუ ურიგოდ გაწყობილი ეს ფრაზა ქვემო ქართლის ერთ-ერთ მოურავსა თუ მამასახლისს ეკუთვნის. ფრაზა კი კარგია, მაგრამ დანამდვილებით ვერ ვიტყვი, რას გულისხმობდა ეს კაცი. თუ საარჩევნო ხმებს, მაშინ გამოდის, რომ ეს ხმები მისი და მისი უფროსების საკუთრება ყოფილა – ვისაც უნდათ გაატანენ, ვისაც უნდათ – არა. თუ სხვა რამეს – მაშინ, ყველა ნიუანსიანად, თავისთვის და თავისი დამრიგებლებისთვის შეუძლია დაიტოვოს.

და მაინც. მიუხედავად ზემოთქმულისა, გასაგები მიზეზების გამო, ამ კაცთან არავითარი პრეტენზია არა მაქვს.

თორემეტი წელიწადია, ჩვენმა ხელისუფლებამ საშველი არ დააყენა ლუსტრაციის კანონს. სიმართლე გითხრათ, ამის აუცილებლობას ვერც ვხედავ. კვირაში თუ არა, ორ კვირაში ერთხელ მაინც ნებისმიერ ადამიანს საშუალება ეძლევა, სულმოუთქმელად ჩამოარაკრაკოს ეს სია. პრეზიდენტის მიერ გამოცემული ბრძანებულებები, საპარლამენტო უმრავლესობის მიერ მიღებული კანონები, პოლიტიკოსთა გამონათქვამები და საქციელი თვითლუსტრირების შესანიშნავი და, ამასთან, თვალსაჩინო მაგალითებია.

წინა კვირას ბოლნისის ამბები იქცა ლაკმუსის ქაღალდად. გაკეთდა უამრავი განცხადება. ასეთიც, ისეთიც. და, რა თქმა უნდა, ამ ყველაფრის შემყურე კაცს არ შეიძლება, რაღაცის თქმის სურვილი მაინც არ გაგიჩნდეს.

ბოლნისის რაიონის პატრონზე უკვე ვთქვი. მკითხველს შეიძლება გაუკვირდეს, მაგრამ არც მამალაძის მიმართ მაქვს რაიმე პრეტენზია. აქ ყველაფერი ნათელია. ეს თავიდან იყო, ცოტა მაღიზიანებდა ხოლმე, თორემ მერე თანდათან შევეჩვიე ტელეეკრანიდან მაცქერალ შუშის თვალებს. ამ ბოლო დროს კი სიცოცხლეს მოკლებულ მონოტონურ ხმასა და "ძარღვიან ქართულს" რომ მოვკრავ ყურს, საერთოდაც აღარა მაქვს რეაქცია, რადგან ვიცი, რომ ეს ყველაფერი თანდაყოლილია, კორექციას არ ექვემდებარება და, ამდენად, თავის ატკივებადაც არ ღირს.

ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ არც ნათელაშვილის მიმართ გაჩნდება პრეტენზიები. პოლიციის, მამალაძის ან მისნაირების მხრიდან მსგავსი საშიშროება რომ ემუქრებოდეს, ძველ სიმღერებს არ მოჰყვებოდა, პირდაპირ იტყოდა, რა და როგორ. მაგრამ შრომის პარტიის თავმჯდომარესაც უნდა გაუგოთ – სუკის საზედამხედველო სასწავლებელგამოვლილი, ნაპროკურორალი და ნაპარტკომალი კაცი პოლიციის წინააღმდეგ რანაირად უნდა წავიდეს!

და, რა თქმა უნდა, არც კი შეიძლება, რამე პრეტენზია მქონდეს პრეზიდენტისადმი. მის ასაკში ათასი უცნაურობა ემართება ადამიანს, რას ვიზამთ, მართლა ცხვირს ხომ არ ჩავაყოფინებთ საკუთარ ნამოქმედარში?

აი, ამ ზემოჩამოთვლილ "ხალხს" ერთ-ორ პარტიასაც მივაყოლებდი და კიდევ ერთხელ ვიტყოდი, რომ ამათთან არავითარი პრეტენზიები არა მაქვს. მაგალითად, "მრეწველები" და "აღორძინება", რომლებიც, მართალია, უბინო ოპოზიციონერობას თამაშობენ, მაგრამ ოპოზიციონერობა სახელით კი არა, საქმეში – მნიშვნელოვანი კანონების მიღებისას ვლინდება. აი, იქ კი – ბიუჯეტთან, საარჩევნო კანონთან დაკავშირებული საკითხების განხილვისას – ერთიანად პამპერსმომარჯვებულები მოდიან ხოლმე. მოკლედ, ერთად უნდათ ჩაჩიაც და ბაბაც – უბინოებადაც უნდათ დარჩნენ და პარლამენტის სახელისუფლებო ნაწილთან ერთად მინი-იუბკებით სეირნობის სურვილიც ჰკლავთ.

ახლა, ამდენი "უპრეტენზიოობის" შემდეგ, ძალიან არ მინდა, შტერის შთაბეჭდილება დავტოვო, ამიტომ, დროა, პრეტენზიებზეც გადავიდე.

დავიწყებ აი, ამ გაზეთის, ესე იგი, "24 საათის" რედაქტორიდან.

საერთოდ, სიტყვა სამუზეუმო ექსპონატი არ არის, რომ მარტო მოსანახულებლად არსებობდეს. სიტყვა უნდა თქვა და, სხვათა შორის, უნდა დაწერო კიდეც. თავის დროზე ჩემ ძვირფას რედაქტორს ერთი მშვენიერი ლოზუნგი რომ არ დაემახინჯებინა, ახლა მისი გამეორება არ მომიხდებოდა და არც განმეორებით ვატკენდი გულს შალვა ნათელაშვილს. ერთ ოპოზიციურ მიტინგზე გონებაგახსნილ ბიჭებს შალვას პარტიის ერთობ მხიარული და, რაც მთავარია, ზუსტი დახასიათება გაელოზუნგებინათ: "ლეიბორისტული პარტია – ეკალი ოპოზიციის ტრაკში!" აი, ის ბოლო სიტყვა ისე მოაცილეს, თითქოს სასირცხვო იყოს მისი ქონა, ანდა უიმისოდ დადიოდეს ვინმე ამ ქვეყანაზე.

პრეტენზია მაქვს ძალიან ნეიტრალურ ქალბატონ თამარ ჩიქოვანთან და სწორედ ამ ნეიტრალურობის გამო. გასაგებია ორიგინალურობის სურვილი, მაგრამ არ შეიძლება, სატელევიზიო თუ სხვა საჯარო გამოსვლაში ერთ ქვაბში მოხარშო კარგი და ცუდი, ძალიან ცუდი და ნაკლებად ცუდი. ვინც არ უნდა დააშავოს და რაც არ უნდა დააშავოს, ჩვენი პრეზიდენტისა და მთავრობის ფონზე ყველა მამა აბრაამის ბატკანია. ეს პირდაპირ და ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე უნდა ითქვას. მართალია, ქალბატონ თამარს, უხერხული მდგომარეობიდან გამოსვლის მიზნით, იქვე იეღოველთა პრობლემასა და პასპორტში ეროვნების ჩანაწერის თაობაზე რამდენიმე მოდური სიტყვაც დასცდა, მაგრამ ეს კრიტიკული პასაჟიც რომ შარაძის, ესე იგი, ისევ და ისევ ხელისუფლების მისამართით იყო სათქმელი, მაინც დაავიწყდა.

სერიოზული პრეტენზიები მაქვს ქალბატონ ნინო ბურჯანაძესთან და იმ პარტიასთან, რომლისთვისაც ხმის მიცემას მთელი ოჯახით ვაპირებდი, რაც, სხვათა შორის, მხარდამჭერთა სიაში ჩვენი ხელმოწერებითაც დავადასტურეთ. იმაშიც გამოვტყდები, რომ, ტელევიზორთან მჯდარს, პარლამენტის თავმჯდომარისთვის ბევრჯერ დამიძახია "ბრავო", მაგრამ, ცოტა არ იყოს, გამაკვირვა მისმა სატელევიზიო გამოცხადებამ, რომ ეს ინციდენტი აუცილებლად და ბოლომდე უნდა გამოიძონ.

და მეტი არაფერი? ამას ხომ ნებისმიერი ნეიტრალური კაციც მშვენივრად იტყოდა, ისეთი, ვისაც წარმოდგენაც არა აქვს ქართულ ვითარებაზე. მაინც ვინ უნდა გამოიძიოს ბოლნისის ინციდენტი, იმან, ვინც მოაწყო? უნდა გამოიძიოს და მერე საკუთარი თავი დაიჭიროს? სხვათა შორის, ქალბატონ ნინოს შეხსენების გარეშეც უკვე აღძრეს სისხლის სამართლის საქმე, რომელიც, წინდაწინ ვიცი – ან არაფრით დასრულდება, ანდა ნაციონალურ მოძრაობას გაამტყუნებენ.

განსაკუთრებული პრეტენზიები კი იმათ მიმართ მიჩნდება, ვინც ორივე მხარის "ბრალეულობის" შესაძლებლობას არ გამორიცხავენ. ესენი მეტწილად ნეიტრალური, ეგრეთ წოდებული განზე მდგომი ადამიანები არიან. ისინი, ვისთვისაც მთავარია სიმშვიდე, თუნდაც, სამარისებური; ისინი, ვისთვისაც სულ ერთია, ეყოლებათ ბატონი თუ არ ეყოლებათ, ოღონდ იყოს სინათლე, ოღონდ არ შესცივდეთ, ოღონდ იყოს სალაფავი...

და საერთოდ, რუბიკასი არ იყოს, "ტაკიო ნებრიაზნ ისპიტივაიუ", რომ პრეტენზიაც კი აღარა მაქვს. საქართველოში, მართალია, დაგვიანებით, მაგრამ მაინც სრული სვლით მიდის თვითლუსტრაციის პროცესი.

ამ ფონზე, ცოტა არ იყოს, გამაოცა ინტერაქტივების მოყვარულმა ერთ-ერთმა ტელეარხმა.

"ვინ არის დამნაშავე – სააკაშვილი, მამალაძე თუ ორივე ერთად?" კითხულობს არხი და ვიქტორინებისა და სხვადასხვა "ვისრაუნდაში" მონაწილეობის მოყვარულებს ანდობს დამნაშავის გარკვევას.

ლოგიკას საბჭოთა სკოლაში რომ არ ასწავლიდნენ, ეს გარემოება შეიძლება გაითვალისწინო, მაგრამ თუ მაინცდამაინც ჩიტის ტვინი არა გაქვს, ხომ უნდა მიხვდე, რომ კაცი ხალხის გადასაბირებლად, ხმების შესაგროვებლად თუ დასატყუებლად ჩავიდა ქვემო ქართლის სოფლებში და, წინააღმდეგობას თუ არავინ გაუწევდა, რას იზამდა, სახლებში შეუვარდებოდა იქაურებს? მაინც როგორ უნდა მოქცეულიყო საკაშვილი, არ უნდა ჩასულიყო თავის, თუნდაც, როგორც მამალაძიანები ამბობენ, ორას ამომრჩეველთან?

ახლა პრეზიდენტის სავარძლის უსაფრთხოებისთვის თავდადებულებს, ცხადია, საჩუქრები დაურიგებათ. როგორც ჩანს, მამალაძის წილი ქვემო ქართლია, ლამის მთელი სამეფოს ნახევარი. საჩუქარი ნამდვილად ერგება, მაგრამ ცოტა მეტი ხომ არ არის ერთი, თანაც, უნიჭო კაცისთვის?

ამ ამბებმა პერიფერიაში მოტეხილი ჩემი ბიძაშვილი გამახსენა, იმას კი მე გავახსენდი და გუშინ ბოდბისხევიდან მომაწვდინა ხმა:

"კახეთში ვერ გადავწყვიტეთ და იქნებ რომელიმე არხმა ინტერაქტივით გაარკვიოს: მეზრიშვილი ქალია, კაცია თუ ორივე ერთად".

თუ ეს იდეა ჩავარდა, მაშინო, ყელგამოწევით შემეხვეწა, ეს გამოცანა მაინც გაავრცელე გაზეთითო: "წვერები აქვს ვაცივითა, თელავს ხმარობს კაცივითა".

■ ■ ■

მეფე ერთობა. ეს ჰიუგოს ერთ-ერთი მოთხრობის სათაურია. მოგვიანებით ვერდისთან მეფემ ტრანსფორმაცია განიცადა და ოპერის ლიბრეტოში ჰერცოგად იქცა. თვითონ ოპერას კი საერთოდაც "რიგოლეტო" ეწოდა. ამ იძულებითი ცვლილებების მიუხედავად, არ შეცვლილა მთავარი – ჰერცოგის ძირითადი საქმიანობა ნაირ-ნაირი ქალებით გართობა დარჩა.

ერთობა ჩვენი მეფეც. უეჭველია, ამგვარი გართობებისთვის გვარიანად დაგვიანებულია, არც მეფეთა მეორე მთავარი გასართობი – ომები ეხერხება მაინცდამაინც, ამიტომ საკუთარ ხალხთან ომობანას თამაშითღა კაიფობს.

გიგა ბოკერია, მიხეილ საკაშვილი და გივი თარგამაძე წესიერი ადამიანები არიან და, ვფიქრობ, რაინდულად იქცევიან, როცა ამ ორიენტაციადაკარგულ კაცს ჩაუშესკუს მაგალითს ახსენებენ. თუმცა, მაინც მგონია, რომ ცდებიან. თუ ყველაფერი ასე გაგრძელდა, ჩვენს დაუდგრომელ ჰერცოგს ძველი, მამაპაპური წესით მოუწევს უფალთან გამოცხადება – ქვა, ჩამონამტვრევი იქნება თუ რიყისა, ჯერ კიდევ ბევრია საქართველოში.

დღეს ჩვენი გვერდი წერილების, შეკითხვებისა და ადამიანების სიმრავლით არ გამოირჩევა.

მიზეზი არსებობს და, ვფიქრობ, საკმაოდ სერიოზული იმისთვის, რომ გაზეთის გვერდის შინაარსობრივი და ვიზუალური სტანდარტი დაირღვეს. ამას წინათ, ერთერთი სკოლის მეცხრეკლასელებს შევხვდი - ეს კლასი იმ თექვსმეტთაგანია, რომლებმაც შარშან გაიარეს საგანი "კანონიერების კულტურა" და პროექტში მონაწილეობენ.

საინტერესო და ორმხრივად აქტიური საუბრის შემდეგ, ისინი საგაზეთო წერილების დაწერას შემპირდნენ, რაც, გარკვეულად, მათი მოვალეობაც არის, როგორც პროექტის მონაწილეებისა და სურვილიც, როგორც სამოქალაქო განათლების საფუძვლებს ნაზიარები მოზარდებისა. წერილები არ გამოჩნდა და, როგორც მასწავლებელმა მითხრა, მოსწავლეებს უთქვამთ: "რა აზრი აქვს თქმას, მაინც არაფერი შეიცვლებაო" (!!!).

მე ვთხოვე ჩემს კოლეგას, ნოდარ ლადარიას დამხმარებოდა და სწორედ ამ კლასის მოსწავლეებთან გვესაუბრა იმაზე, აქვს თუ არა აზრი მოქალაქისგან შემჩნევას, თქმას და არჩევანის გაკეთებას. კლასიდან რამდენიმე, ჩვენი შეხვედრის დროს ყველაზე აქტიური მოსწავლე მოვიწვიე, მაგრამ ისინი არ მოვიდნენ - უფრო კონკრეტულად კი, არ მოვიდა ხუთი ვაჟი და მოვიდა ერთადერთი ანა ჩაგუნავა. საუბარი შედგა და ვფიქრობ, გაზეთის საშუალებით, ანას თანაკლასელები და თანატოლები დაფიქრდებიან იმ პრობლემაზე, რასაც სამოქალაქო ნიჰილიზმი ჰქვია და რაც იმ სიღრმეზე ჩადის, რომ საზოგადოებისთვის არა მარტო აწმყოში, სამომავლოდაც სავალალოა. მაშ ასე, საუბრობენ "24 საათის" პრესმბუდსმენი **ნოდარ ლადარია** და 43-ე სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლე **ანა ჩაგუნავა**.

მაინც არაფერი შეიცვლება?!

ნ.ლ. - ანა, რატომ ამბობს ადამიანი უარს სიმართლის თქმაზე? შიშის გამო ხომ არა?

ა.ჩ. - შიში - არა მგონია.

ნ.ლ. - შენ დაგიწერია რამე ამ გვერდისთვის?

ა.ჩ. - არა, ჯერ არა, მაგრამ შიშის გამო კი არა.

ნ.ლ. - ანა, როგორ ფიქრობ, როცა ადამიანი სიმართლის თქმას გაურბის, მაინც არის თუ არა ეს შიში?

ა.ჩ. - გააჩნია, რას ეხება და რამდენად სერიოზულია ის, რასაც ეხება.

ნ.ლ. - შიში - იმ შემთხვევაში, თუ შეიძლება ვინმემ შური იძიოს, მაგრამ მეორე მომენტია - სასოწარკვეთილება - მე რატომ გავაკეთო, მაინც არაფერი არ შეიცვლება, მაგრამ მე მაინტერესებს, გკითხო: მერე რა, არაფერი შეიცვალოს. აი, მე ვწერ გაზეთში, ვიცი, რომ ამით არაფერი შეიცვლება, მაგრამ ვწერ - მე მინდა, მართალი ვიყო საკუთარ თავთან. აი, ვინც იბრძვის რაღაც სიმართლისთვის, იმისთვის მართლა მნიშვნელოვანია, ის გაიმარჯვებს თუ არა? ან უნდა იყოს მნიშვნელოვანი?

ა.ჩ. - ჩემი აზრით, უნდა იყოს. თუ ის ენერგიას ხარჯავს, იბრძვის, რა თქმა უნდა, შედეგიც აინტერესებს, მნიშვნელოვანია.

ნ.ლ. - მართალი ხარ, ამით ის კმაყოფილებას მიიღებს. მაგრამ, აი, როგორ გითხრა, არსებობს საკმარისი პირობები და არსებობს შესაძლებელი - გამარჯვება აუცილებელია ბრძოლისთვის?

ა.ჩ. - ხანდახან...

ნ.ლ. - ამ შემთხვევაში?

ა.ჩ. - ამ შემთხვევაში აუცილებელია - მე მინდა შედეგი ჰქონდეს ჩემს მოქმედებას.

ნ.ლ. - აი, ვთქვათ, მასწავლებელი არის კორუმპირებული და ჩვენ ეს ვთქვით, მაგრამ არაფერი შეიცვალა. გამოდის, რომ ჩვენ დავიჩაგრეთ ამის გამო? გამოდის, რომ აღარ უნდა ვთქვათ, თუ ტაქტიკა უნდა შევცვალოთ?...

ა.ჩ. - გააჩნია ადამიანს. შეიძლება, ერთს ბრძოლა გაეგრძელებინა, მეორე შეწყვეტდა. უმრავლესობა, ალბათ, შეწყვეტდა. ალბათ, არა აქვთ რწმენა, რომ რამე შეიცვლება.

ნ.ლ. - და უნდათ კი, რომ შეიცვალოს?

ა.ჩ. - უნდათ, ყველას უნდა.

ნ.ლ. - წარმოვიდგინოთ, რომ შენს კლასში ვიღაც ხმას იმაღლებს. შენი აზრით, რატომ აკეთებს ამას? რა საფუძველი აქვს ამისთვის. აი, მაგალითად, არიან ადამიანები, რომლებიც არჩევენ მოიტანონ საჩუქარი და ისე გააკეთებინონ საქმე. მეორე ტიპის ადამიანები წყნარად არიან და არ არევიან არაფერში. არიან მესამე ტიპისა, რომლებიც აქტიურობენ და ამბობენ. შენი აზრით, ამათგან რომელია კარგი, ცუდი, მართალი და ვინ რატომ აკეთებს ასეთ არჩევანს?

ა.ჩ. - კლასში?

ნ.ლ. - ჰო, კლასში. კლასი ხომ იგივე საზოგადოებაა, პატარა საქართველოა, სადაც ყველას აქვს თავისი არჩევანი. ვინც ცდილობს შეეწინააღმდეგოს რაღაცას, არ გიფიქრია მის საქციელზე, კარგია თუ ცუდია? ის სამართლიანია სხვებზე? რატომ? ხომ შეიძლება, მისი ბრძოლა ამაო იყოს, შედეგს წინასწარ ვერ განსაზღვრავ...

ა.ჩ. - ბევრი არ არის ეგეთი, ვინც ხმას აიმაღლებს.

ნ.ლ. - ე.ი. მათ საფრთხე ელოდებათ და იმიტომ არიან ცოტანი?

ა.ჩ. - ალბათ.

ნ.ლ. - ვისი მხრიდან ელოდებათ საფრთხე, მასწავლებლის მხრიდან? შეიძლება, თქვენი მხრიდან? რომელია უფრო საშიში?

ა.ჩ. - ჩვენ მისი თანაკლასელები ვართ და მას გავუგებთ. მით უმეტეს, რომ ის, შეიძლება, ჩვენს სათქმელს ამბობდეს. რა მაგალითიც თქვენ მოიყვანეთ, ამ შემთხვევაში გამოდის, რომ საფრთხე მასწავლებლის მხრიდან ემუქრება.

ნ.ლ. - ხომ შეიძლება მან იმ მოქმედებით მთელი კლასი დააზიანოს?

ა.ჩ. - როგორ, ვერ ვხვდები

ნ.ლ. - კარგი, ვთქვათ კლასში რაღაც ძალადობასთან გვაქვს საქმე. რა თქმა უნდა, შენს კლასს არ ვგულისხმობ, მაგრამ ვიცი ფაქტები, როცა კლასელები ძალით უმკლავდებიან თანაკლასელებს, აი, ვინც მათი სარწმუნოების არ არის, ანუ ვინც მათნაირი არ არის, რაღაც ნიშნით გამორჩეულია, ასეთი შემთხვევები არის. რატომ ხდება ისინი?

ა.ჩ. - რატომ ხდება, არ ვიცი, მიჭირს პასუხის გაცემა. ისე, მე ვთვლი, რომ ჩემი მართლმადიდებლური რწმენა სხვას თავს არ უნდა მოვახვიო, მიუხედავად იმისა, რომ ეს ჩემთვის უზენაესია და, როცა მცემენ ჩემი სხვანაირობისთვის, ეს არასწორია. მაგრამ რატომ ხდება, არ ვიცი.

ნ.ლ. - ერთი შეკითხვა მაქვს. ალბათ, ეს თემას არ ეხება, მაგრამ მაინტერესებს, გოგოებს შორის კლასში არის ძალადობა, დაჩაგვრა. ცემას არ ვგულისხმობ, დათრგუნვის სხვა საშუალებები.

ა.ჩ. - ცემა ნამდვილად არ არის და ისედაც ვერ წარმომიდგენია, რა უნდა იყოს გოგოებს შორის საძალადო? არ ვიცი. ჩემი აზრით, გოგოებს შორის წვრილმანი მიზეზები არსებობს და, დროსთან ერთად, გაივლის და აღარ გვემახსოვრება.

ნ.ლ. - ადამიანს, რომელსაც კლასში აქტიური პოზიცია უკავია, როგორ უყურებენ თანაკლასელები? ჩემს დროში კლასში არასწორად იყენებდნენ სიტყვა "ინტრიგანს" და, თუმცა, ის სხვა რამეს ნიშნავს, ეძახდნენ იმას, ვინც ხმამაღლა აცხადებდა იმას, რასაც სხვები ურიგდებოდნენ. თქვენი თაობა ესალმება თუ არა ცხოვრებისადმი აქტიურ პოზიციას, როგორ აფასებს ამას: ეს კარგია, ცუდია, თუ თქვენში სხვა კანონებიც არსებობს?

ა.ჩ. - თუ შეიძლება, უფრო რომ მივხვდე, რას მეკითხებით?

ნ.ლ. - აი, მაგალითად, უმაღლესში მისაღებ გამოცდებზე ვარ და მესმის ასეთი დიალოგი: ვიღაცეები ფულითაც აბარებენ. პასუხი: ღმერთმა ხელი მოუმართოს იმასაც და მეც. გასაგებია, ხომ?! შესაბამისად, თქვენ როგორ უყურებთ ადამიანს, რომელიც დინების საწინააღმდეგოდ მიცურავს, წინააღმდეგობას უწევს იმას, რასაც სხვები იღებენ. მას ცხოვრების შეცვლა უნდა. რას ფიქრობთ, რომ ის სულელია, რომ ის ხელს გიშლით მშვიდობიანად ცხოვრებაში? იტალიის უმაღლეს სასწავლებლებში კორუფცია არის, მაგრამ ამას სტუდენტთა მცირე ნაწილი ვერ ურიგდება, დანარჩენები წინააღმდეგობას არ უწევენ, ხელს აძლევთ კიდეც. შენს კლასში, რომ ვინმემ ხმა აიმაღლოს, თანაკლასელებისგან წინააღმდეგობას წააწყდება თუ თანადგომას?

ა.ჩ. - მე გვერდით დავუდგები ადამიანს, რომელიც კორუფციის წინააღმდეგ გამოვა.

ნ.ლ. - კარგი. როგორ გესმის, რა არის კორუფცია? ცხოვრებაში წაწყდომიხარ ამის ფაქტს, ან უამბია ვინმეს?

ა.ჩ. - ყველაზე იოლად, როგორც შემიძლია ავხსნა... კორუფცია ეს არის ქრთამის გადახდა რაღაცის შემძლე ადამიანისთვის, რომ მისი გული მოიგო და საქმე გააკეთო.

ნ.ლ. - დაახლოებით იგივეა, რომ ამბობენ "ხელი ხელს ბანსო", ხომ? მაგრამ ჩვენს ცხოვრებაში ხშირად ვაკეთებთ სიკეთეს, რაც გვინაზღაურდება, სანაცვლოდაც გვიკეთებენ სიკეთეს. შენ მე დაბადების დღეზე საჩუქარი მომიტანე, მერე მეც მოგიტანე რაღაც. ეს არ არის კორუფცია. როგორ ფიქრობ, საჩუქარი კორუფციად როდის იქცევა? დახმარება, ან საჩუქრის მიცემა ყოველთვის კორუფცია ხომ არ არის?

ა.ჩ. - კორუფცია ის არის, რომ შენ აძლევ მას იმიტომ, რომ მან ის გაგიკეთოს, რაც მას შეუძლია და რაც შენ გჭირდება. ეს სიკეთე არ არის. როცა საჩუქარს ჩუქნი, სანაცვლოზე არ ფიქრობ, ეს უანგარობაა. კორუფცია ანგარებაა.

ნ.ლ. - მე არ გეუბნები, რომ შენ ასეთი რამე გინახავს, მაგრამ წარმოიდგინე, რომ მასწავლებელს ნიშნის დასაწერად საჩუქარს აძლევენ. ამ შემთხვევაში ბოროტება სად არის?

ა.ჩ. - რომ არ გეკუთვნის და გიწერენ, საჩუქრის ხათრით.

ნ.ლ. - გეთანხმები, მაგრამ წარმოიდგინე რომ გეკუთვნის...

ა.ჩ. - და მაინც საჩუქარს აძლევ? როცა გეკუთვნის ნიშანს ვინ არ დაგიწერს?!

ნ.ლ. - მესმის, ვერ წარმოგიდგენია, მაგრამ მე წარმომიდგენია. ვთქვათ, ეს პირადი მოთხოვნაა, საჩუქრის გარეშე ვიღაც არ აკეთებს საქმეს. ბოროტებაა ალბათ ისიც, რომ ადამიანი საჩუქარს იღებს თავისი მოვალეობის შესრულებისთვის. შესაბამისად, როგორ ფიქრობ, ასეთ დროს საზოგადოება როგორ ზარალდება? ფიქრობ თუ არა, რომ ამ გზით საზოგადოებაში ადგილს უვიცი ადამიანები იკავებენ. გამოდის, თუ არა, რომ კორუფციასთან შერიგებით საზოგადოება თავს იკლავს?

ა.ჩ. - თუ ურიგდება, ასე გამოდის.

ნ.ლ. - რა გამოდის - საზოგადოება მაინც ცხოვრობს ამ კორუფციით. გამოდის, რომ საზოგადოებას, რომელიც კორუფციას ეგუება, ადამიანი არ სჭირდება - არც მე, არც შენ...

ა.ჩ. - სამწუხაროა, მაგრამ ასე გამოდის. მაშინ ვინ სჭირდება?

ნ.ლ. - ძალიან ცოტა ადამიანი სჭირდება. მაგალითები შეიძლება მოვიყვანო, მაგრამ ახლა ჩვენ საუბარს ვაგრძელებთ. რას ფიქრობ სამომავლოდ, რა სპეციალობას აირჩევ?

ა. ჩ. - სამართალმცოდნეობას ან საერთაშორისო სამართალს.

ნ.ლ. - აი, რომ გაიგო ჭორი, სახელმწიფო უნივერსიტეტში ამ ფაკულტეტზე მოსახვედრად უნდა გადაიხადო 20 ათასი დოლარი, რა რეაქცია გექნება ამაზე, შეაფასე ეს ფაქტი

ა.ჩ. - რომ ჩაირიცხო? მაშინ ვეცდები რომ სხვაგან ჩავაბარო...

ნ.ლ. - არა, ჩვეულებრივად. გამოცდებით ჩარიცხვაც ხდება, მაგრამ ისე, თუ ვინმე ფულს გადაიხდის, მნიშვნელობა არა აქვს მის ცოდნას, ისე ჩაირიცხება. ეს ძალიან დიდი თანხაა, ხომ? როგორ შეაფასებ ამ ფაქტს?

ა.ჩ. - არსად არ ღირს ქრთამის მიცემა. ასეთი რამ რომ არ მოხდეს სახელმწიფოს სიძლიერეა საჭირო. სახელმწიფო უნდა ქმნიდეს იმ პირობას, რომ ასე არ იყოს. ლექტორს უნდა ჰქონდეს იმდენი ხელფასი, რომ ქრთამის აღების შემთხვევაში მისი დასჯა აუცილებელი იყოს. და თუ სახელმწიფო ვერ უქმნის პირობებს, მაშინ ვერც დასჯი, უნდა გავუგოთ და სახელმწიფო დავადანაშაულოთ.

წერილები მთავრობას

ნ.ლ. - მაგალითად, მისაღები გამოცდების გაუქმებაზე რას იტყვი? ყველა, ვინც მოისურვებს, მოხვდება, მაგრამ შემდეგ, სწავლის ხარისხის მიხედვით, დარჩებიან ან არ დარჩებიან.

ა.ჩ. - ძალიან კარგი იქნება. ვისაც შეუძლია, ისწავლის და დარჩება, ვინც არა და წავა, არ დატოვებენ.

ნ.ლ. - შემდგომში, დატოვებაში არ აიღებენ ქრთამს?!

ა.ჩ. - !!!

ნ.ლ. - რატომ სჩადის ასეთ უჭკუობას ქრთამის მიმცემი? ამ ფასად წავიდეს და უცხოეთში ისწავლოს. რატომ არჩევს საქართველოში ამ თანხის ქრთამად მიცემას უცხოეთში კანონიერ სწავლას?

ა.ჩ. - ნამდვილად უჭკუო საქციელია, რატომ?

ნ.ლ. - იმიტომ, რომ ის ვინც ქრთამს აძლევს, ის ამ ქვეყანას სჭირდება იმიტომ, რომ ის თამაშის წესებს იცავს. აი, კიდევ ერთი მაგალითი. თბილისში იშენებენ უძვირფასეს სახლებს, როცა ამ ფულის მეხუთედით სადმე საზღვარგარეთ შეიძლება აშენება, თუნდაც სამხრეთ აფრიკაში, სადაც იდეალური ტემპერეტურაა.

ა.ჩ. - ალბათ იმიტომ, რომ ისევ იმ კორუმპირებულ წრეში იყვნენ, რომ მეტი იშოვონ და მერე უფრო ძვირფასი სახლები აიშენონ.

ნ.ლ. - მე სხვაგვარად ვფიქრობ. საზოგადოების თვალში აქ აშენებულზე მეტად იქ აშენებული ითვლება თავხედობად.

ა.ჩ. - მე ვფიქრობ, რომ ის უფრო დიდი თავხედობაა, რომ აქ, მშიერი ადამიანების თვალწინ, ააშენო ასეთი სახლი. ვიღაცას ერთი პურის ყიდვაც არ შეუძლია.

ნ.ლ. - შენი აზრით, ვინც დღეში ერთ პურს ძლივს ყიდულობს, ის ყოველთვის უფრო მართალია იმაზე, ვინც ძვირფას სახლს იშენებს?

ა.ჩ. - არა, ყოველთვის არა. არის კატეგორია ადამიანებისა, რომლებიც განათლებულები არიან, ცოდნა აქვთ, მაგრამ გარემოებას ალღო ვერ აუღეს და ღირსების შელახვად მიაჩნიათ, ზოგიერთ სამუშაოზე წასვლა. ადამიანი, რომელიც არ მოქმედებს, ალბათ, ღირსიცაა დღეში ერთი პურის მეტი არაფერი ჰქონდეს, მიდგეს, მოდგეს...

ნ. ლ. - საქმე ისაა, რომ კორუფცია ხელს უშლის ადამიანს, იმოქმედოს. შენ თქვი, რომ ბევრი ღირსების შელახვად თვლის რაღაც სამუშაოზე დათანხმებას. მეტად მნიშვნელოვან საკითხს მივადექით - ღირსების გრძნობა, რომელიც ადამიანებს ოდითგან მოსდგამთ, გამოდის, რომ დღეს მათ სასარგებლოდ არ მუშაობს და დაბრკოლებად ექცევათ. ჩვენში დამკვიდრებული ტრადიციები ხელს ხომ არ გვიშლის?

ა.ჩ. - მე მგონი, არა. სჯობს, რომ წარსულზე არ ვიფიქროთ, მომავალზე ვიფიქროთ და იმაზე, რაც შეიძლება გავაკეთოთ, რომ ხვალინდელი დღე გვექნეს.

ნ.ლ. - ხომ არ გამოდის, რომ დღეს, თამაშის წესების მისაღებად, სწორედ ეს ღირსება გვიშლის ხელს წინსვლაში, იქნებ ეს ხელს იმაშიც გვიშლის, რომ ხმა ამოვიღოთ ცხოვრების უკუღმართი მხარეების წინააღმდეგ. შენ ხომ თქვი, რომ ერთ შენს ნაცნობს არ ეთაკილება სამ ადგილზე დამლაგებლად მუშაობა, მაგრამ დიდი ნაწილი ამას თაკილობს. შენ ის გაამართლე და სხვები გაამტყუნე. ხომ არ არის რამე ისეთი, რაც ხელს უშლის ადამიანებს ბოროტების წინააღმდეგ? მაგალითად, ცხოვრებისთვის ხელისშემშლელ პირობებთან წინააღმდეგობის გაწევაში? იქნებ იმაში, რომ არ იყვნენ შემრიგებელნი, სწორედ წარსულზე ფიქრი უშლით ხელს? საიდან მოდის შემრიგებლობა?

ა.ჩ. -გეთანხმებით, უმოქმედობა ცუდია და ბოროტებაა, მაგრამ ერთეულებს ვინც არ ურიგდება თანადგომა სჭირდებათ და ადამიანების უმეტესობა ფიქრობს, რატომ მე და არა ის, თუ ბევრნი იქნებიან, მეც შევუერთდებიო. ასეა, ჩემი აზრით.

ნ.ლ. - ე.ი. ერთეულებს სჭირდებათ საზოგადოების მხარდაჭერა?

ა.ჩ. - თანადგომა სჭირდებათ თვითონ ადამიანებს, საერთო კარგ აზრში თანადგომა.

ნ.ლ. - შენ უყურებ ტელევიზორს, გესმის რომ არჩევნები უნდა ჩატარდეს. მაინტერესებს, რას ფიქრობ, თუმცა ჯერ ასაკით ამომრჩეველი არ ხარ, მაგრამ შენი აზრით, არჩევნებზე მისვლა-არმისვლას რა აზრი აქვს?

ა.ჩ. -როცა არ მიდიან, ეს პროტესტის გამოხატვაა და ვფიქრობ, მიზეზიც აქვთ -არავის ენდობიან. მაგრამ, ამომრჩეველი უნდა მივიდეს და თუნდაც მათ შორის გააკეთოს არჩევანი, ვინც არ მოსწონს. ღმერთმა ქნას, რომ გაამართლოს და თუ არა, რამდენიმე ხნის შემდეგ, აღარ აირჩევს.

ნ.ლ. - ე.ი. შენ მხარს უჭერ იმას, რომ ადამიანმა აქტიური პოზიცია უნდა დაიკავოს. პროტესტი - შინ დარჩენა უარესია.

ა.ჩ. -დიახ, სჯობია მიხვიდე, სახლში დარჩენა საშველი არ არის. თუნდაც იმიტომ, რომ შენი ხმა ვინმემ არ გააყალბოს. მაინც აირჩიე და იქნებ, გასჭრას.

ნ.ლ. - ეს ნიშნავს თუ არა იმას, რომ შენ მიგაჩნია, რომ ადამიანს ცხოვრების შეცვლა შეუძლია.?

ა.ჩ. -შეუძლია, მაგრამ გავლენა რომ მოახდინო და შეცვალო, ერთი ადამიანი არ არის საკმარისი, ბევრნი უნდა იყვნენ.

დიდი მადლობა ნორჩ პოლიტიკოსს

ყურადღებით გავეცანი მე-8 კლასის მოსწავლის ნინო კვაჭაძის წერილს, რომელიც ეხება საქართველოს სახელმწიფო დროშას და ე.წ. ხუთჯვრიან დროშას.

დიდი მადლობა უნდა ვუთხრა ნორჩ ავტორს წერილში გატარებული პოზიციისთვის და პირდაპირ ვიტყვი, საკითხისადმი ასეთი სახელმწიფოებრივი მიდგომისათვის.

საყოველთაო სახალხო რეფერენდუმის და შესაბამისი იურიდიული პროცედურის ჩატარებამდე, საქართველოს სახელმწიფო სამფეროვანი დროშა უნდა დარჩეს ჩვენი სამშობლოს სიმბოლოდ.

პარლამენტარი
გურამ შარაძე

პროგრამა " კანონიერების კულტურა" საქართველოს განათლების სამინისტროსთან თანამშრომლობით მიმდინარეობს.

დაგვირეკეთ: 20-24-24 ; ელ. ფოსტა: dkuprava@24hours.ge
მოგვწერეთ: თბილისი ვაჟა ფშაველას 45, გაზეთი "24 საათი" - დალი კუპრავა
დანართის შემდეგი ნომერი გამოვა 14 ოქტომბერს

მოკლედ

"იტერა" სერბიაში მკვიდრდება

სერბიულმა "ასტრა"-ჯგუფმა ხელი მოაწერა ოქმს "იტერასთან" ერთობლივი საწარმოს შექმნის თაობაზე. "იტერა" სერბიის ენერგოსექტორში 1 მილიარდი დოლარის ჩადებას აპირებს. **"ახალი კომპანია ორიენტაციას აიღებს სერბიის ნავთობქიმიური კომპლექსის რესტრუქტურიზაციაზე, გაზიფიკაციასა და ელექტროსადგურების მშენებლობაზე,"** - აცხადებს "ასტრა"-ჯგუფის წარმომადგენელი ვერა პოტაპიჩი.

24 საათი

ორი სიტყვით

თბილისი. ენგურის ჰიდროელექტროსადგურზე აფხაზური მხარის მიერ დაწესებული შეზღუდვების გამო, რაც წყლის დაზოგვის აუცილებლობით არის ნაკარნახევი, თბილისს ელექტროენერგია შეზღუდვებით მიეწოდება. "თელასის" საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების ინფორმაციით, გუშინ გამორთული იყო კომპანიის 6 ქვესადგური, რის გამოც დედაქალაქის მეხუთედი ელექტროენერგიით არ მარაგდებოდა. დაბალია დენის სიხშირეც. ამ ვითარებაში "თელასი" "სახელმწიფო ელექტროსისტემას" საბაზრო წესების დარღვევაში ადანაშაულებს და აცხადებს, რომ თბილისის შეზღუდული ელექტრომომარაგება არგადამხდელი აბონენტებისთვის ელექტროენერგიის მიწოდებითაა განპირობებული, რაც ყოვლად დაუშვებელია და მოქმედი საბაზრო წესების დარღვევას წარმოადგენს. **24 საათი**

■ ■ ■

რუსთავი. გუშინ რუსთავის მოსახლეობა კვლავ სასმელი წყლის გარეშე დარჩა, რისი მიზეზიც სათავე ნაგებობაზე ელექტროენერგიის დაბალი ძაბვით მოწიდება გახდა. "რუსთავწყალი" სასმელი წყლით მარნეულისა და გარდაბნის რაიონების ნაწილსაც ამარაგებს. ამ რაიონებს წყლის გადასახადის საკმაოდ დიდი ვალი აქვს. თუ 10 ოქტომბრამდე დავალიანება არ დაიფარა, რუსთავის მერის მერაბ ტყეშელაშვილის დავალებით, "რუსთავწყალის" ხელმძღვანელობა ამ რაიონებს სასმელი წყლის მილებს ჩაუჭრის. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. დღეს "ამხანაგობა ახალ მენეჯმენტს" "თბილგაზი" 10-წლიანი მართვის უფლებით ოფიციალურად გადაეცემა. დღევსვე სააქციო საზოგადოების აქციონერთა კრებაზე აირჩევენ კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს ახალ შემადგენლობას, რომელიც "თბილგაზის" ახალ დირექტორებს დანიშნავს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. "მიუხედავად პრეზიდენტის განკარგულებისა, რომლითაც ფინანსთა სამინისტროს წლევანდელი პენსიების დროულად დაფინანსება ევალება, მდგომარეობა ამ სფეროში მაინც მძიმე რჩება," - განაცხადა სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ხელმძღვანელმა ირაკლი კოპლატაძემ. იანვარ-აგვისტოს პერიოდში პენსიების დაფინანსებაში გარღვევა 32 მილიონი ლარია. აგვისტოს თვის ჩათვლით სრულად დაფინანსებულია მხოლოდ ძალოვანი სტრუქტურების პენსიონერთა პენსიები და საოჯახო დახმარება. ქვეყნის მასშტაბით კი მხოლოდ აპრილის თვის პენსიების გაცემა დასრულდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. იმ პენსიონერთა რიცხვი, რომლებიც ბანკების მომსახურებაზე გადავიდნენ, შარშანდელთან შედარებით გაორმაგდა და 250 ათასს მიაღწია. ჯერჯერობით, საპენსიო მომსახურებაზე ხელშეკრულება მხოლოდ ორ ბანკს - „სახალხო ბანკს“ და „ინტელექტბანკს“ აქვს გაფორმებული. დღეისთვის „სახალხო ბანკს“ 200 ათასამდე მეანაბრე პენსიონერი ჰყავს. 50 ათას პენსიონერს კი „ინტელექტბანკი“ ემსახურება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ენერგოგენერაციის გენერალური დირექტორი გიგა ჩოგოვაძე "ლაჯანურჰესზე" მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების ტემპით უკმაყოფილოა და აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შეხვედრას აპირებს სამუშაოებზე პასუხისმგებელ ფრანგულ ფირმა "ალსტომის" წარმომადგენლებთან. მისი თქმით, ფრანგები სარეაბილიტაციო სამუშაოების ნელ ტემპს "ლაჯანურჰესზე" თანამშრომელთა გაფიცვებით ხსნიან. "მართალია ისიც, რომ ჰესის თანამშრომლებმა ფრანგები თავიდან ჰესზე არ შეუშვეს, მაგრამ მათ უნდა სცოდნოდათ, სად მოდიოდნენ," - განაცხადა ჩოგოვაძემ. "ლაჯანურჰესზე" სარეაბილიტაციო სამუშაოები იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის ბანკის მიერ 1998 წელს გამოყოფილი კრედიტის ფარგლებში მიმდინარეობს. აღდგენითი სამუშაოები, გეგმის მიხედვით, 2004 წლის ოქტომბერში უნდა დამთავრდეს, თუმცა, როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, ამ ვადებში სარეაბილიტაციო პროცესი ვერ დასრულდება. სარეაბილიტაციო სამუშაოების შემდეგ ჰესის სამი აგრეგატი 110 მეგავატ სიმძლავრეს გამოიმუშავებს. **ინტერ-პრესი**

ლორა ბუშმა ევროპასთან ხიდი უნდა აღადგინოს

გუშინ ევროპაში აშშ-ს პირველი ლედის ლორა ბუშის ტურნე დაიწყო. საინფორმაციო სააგენტოების თქმით, მას ევროპასა და ამერიკას შორის იმ ჩატეხილი ხიდის აღდგენის მისია ეკისრება, რომელიც ერაყის ომმა გამოიწვია. გუშინ ლორა ბუში პარიზს ეწვია, საიდანაც დღეს უკვე მოსკოვს გაემგზავრება.

საფრანგეთის დედაქალაქში ლორა ბუში იუნესკოს შტაბ-ბინაში გამართულ ცერემონიალს დაესწრო, რომელიც გაერო-ს ამ კულტურულ, სამეცნიერო და საგანმანათლებლო თანამშრომლობის საერთაშორისო სტრუქტურაში აშშ-ს დაბრუნებას მიეძღვნა. აშშ-მ იუნესკოს რიგები 1984 წელს დატოვა, როდესაც ვაშინგტონმა ეს ორგანიზაცია კორუფციასა და ანტიდასავლურ მოღვაწეობაში დაადანაშაულა.

ამჯერად, იუნესკოში დაბრუნებით, აშშ იმ ბრალდების განეიტრალებას ცდილობს, რომელსაც ევროპელები პრეზიდენტ ბუშს უყენებენ. ევროპა მას საერთაშორისო თანამეგობრობის იგნორირებაში სდებს ბრალს.

პარიზში ლორა ბუში საფრანგეთის პრეზიდენტს ჟაკ შირაკს

ლორა ბუშს ჟაკ შირაკი შეეგება

შეხვდა, რის შემდეგაც მას იუნესკოს გენერალურმა დირექტორმა კოიჩირო მაცუროიმ საპატიო სადილი გაუმართა.

ჟურნალისტების წინაშე გამოსვლისას, ლორა ბუშმა განაცხადა, რომ მისი მოგზაურობის მიზანია - გააგებინოს მსოფლიოს, რომ აშშ არც ისე ცუდი ქვეყანაა, როგორც ჰგონიათ. **"ჩვენ გვსურს იუნესკოს წვერ ქვეყნებთან ერთობლივად ვიმუშაოთ საერთო მიზნების მისაღწევად. მე ვფიქრობ, რომ თუკი ჩვენ ერთად ვიმუშავებთ, ჩვენ შევძლებთ ვუჩვენოთ მსოფლიოს ხალხებს, რომ არც თუ ისე ცუდები ვართ,"** - განაცხადა ლორა ბუშმა. ამასთანავე მან დასძინა, რომ იუნესკოს მიზნები და ფასეულობები მთლიანად შეესაბამება იმ ღირებულებებს, რითაც თავად ის ხელმძღვანელობს ცხოვრებაში.

მისი ვოიაჟი ევროპაში ხუთ დღეს გაგრძელდება. დღეს ლორა ბუში მოსკოვს ეწვევა, სადაც მისი "კოლეგის" ლუდმილა პუტინას ორგანიზატორობით გახსნილ "წიგნის ფესტივალს" დაესწრება.

თავისი წინამორბედისგან, ჰილარი კლინტონისგან განსხვავებით, ლორა ბუში აქამდე ჩრდილში დგომას არჩევდა. ამჯერად, როგორც ჩანს, მან უკვე ღია არენაზე გამოსვლა გადაწყვიტა. როგორც იუწყებიან, ის აპირებს თავისი მეუღლის საარჩევნო კამპანიაშიც აქტიური მონაწილეობა მიიღოს.

ვაშინგტონში სკანდალი მწიფდება

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

როგორც ცნობილია, ერაყში მასობრივი განადგურების იარაღი დღემდე არ არის ნაპოვნი. ასევე არ არის დამტკიცებული ჰუსეინსა და "ალ-ქაიდას" შორის არსებული კავშირი. თუმცა, აშშ-ს სახელმწიფო მდივანი კოლინ პაუელი კვლავ დარწმუნებულია, რომ ერაყი მასობრივი განადგურების იარაღს ფლობდა. **"მე არ ვფიქრობ, რომ ჩვენ რაიმე სანანებელი გვაქვს,"** - აცხადებს პაუელი.

ამავდროულად, აშშ-ს იუსტიციის სამინისტრომ დაიწყო ცენტრალური სადაზვერვო კომიტეტის საჩივრის გამოძიება იმასთან დაკავშირებით, რომ თეთრმა სახლმა ცსს-ს თანამშრომლის ვინაობა გაამჟღავნა და ამით ცდილობდა მისი ქმრის დასჯას და ერაყის ომთან დაკავშირებით მწვავე კრიტიკის შესუსტებას.

დაზვერვის ოფიცრის და აგენტის მეუღლე კი ერაყში აშშ-ს ყოფილი ელჩი ჯოზეფ ვილსონი იყო, რომელსაც ივნისში ბუშის ადმინისტრაციის რისხვა დაატყდა თავს. კერძოდ, როდესაც ბუშმა ერაყის მიერ აფრიკაში ურანის შესყიდვის მცდელობის შესახებ გააკეთა განცხადება, ვილსონმა აღნიშნა, რომ ეს ფაქტი ეჭვს იწვევს. ამის შემდეგ კი, გაზეთ "ვაშინგტონ პოსტის" ჟურნალისტმა რობერტ ნოვალმა თეთრი სახლის ანონიმ წყაროზე დაყრდნობით გამოაქვეყნა მასალა, სადაც მითითებული იყო, რომ ვილსონის ცოლი ვალეი პლეიმი ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ოფიცერი იყო. ასევე ცნობილი გახდა, რომ ვილსონი ნიგერიაში მისი მეუღლის რეკომენდაციით ცსს-მ გააგზავნა, სადაც ვილსონს ერაყის მიერ ურანის შესყიდვის მცდელობის ფაქტი უნდა შეემოწმებინა.

ამ პუბლიკაციას ლენგლის – ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს შტაბ-ბინის მკვეთრი რეაქცია მოჰყვა. **"მე არ მესმის, თუ რისი მიღწევა სურდა იმ ხალხს, ვინც ჩვენი ოფიცრის ვინაობა გაამჟღავნა,"** - განაცხადა ცსს-ს ანონიმმა მაღალჩინოსანმა. ცსს-ს პრეს-მდივანმა ბილ ჰარლოუმ კი კომენტარისგან თავი შეიკავა. მან მხოლოდ ის აღნიშნა, რომ საქმე საკმაოდ სერიოზულია. **"ხალხი წლებს ხარჯავს საზღვარგარეთ კონტაქტების შექმნისათვის, რომლებიც შემდეგ საფრთხის ქვეშ დგება,"** - განაცხადა ჰარლოუმ. გამოცემა "USA Today" იხსენებს 1975 წელს, როდესაც ცსს-ს ოფიცერი ათენში რიჩარდ უელში მას შემდეგ მოკლეს, რაც მისმა ყოფილმა კოლეგამ ფილიპ ეიჯმა თავის წიგნში მისი ვინაობა გაამჟღავნა. ეიჯი კუბაში გაიქცა, სადაც დღემდე ცხოვრობს.

ამდენად, არ არის გამორიცხული, რომ აშშ-ში არანაკლები სკანდალის მოწმენი გავხდეთ, ვიდრე ეს დიდ ბრიტანეთში იყო. ამისი ნიშნები უკვე სახეზეა.

სიურპრიზი არ შედგა

მოსკოვს კიოტოს შეთანხმების არ სჭერა

ვლადიმირ პუტინი საერთაშორისო კონფერენციაზე მოსკოვში.

ᲚᲔᲕᲐᲜ ᲦᲘᲠᲡᲘᲐᲛᲕᲘᲚᲘ

მოსკოვში გლობალური დათბობის საკითხებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია მიმდინარეობს, რომლის მუშაობაში პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი იღებს მონაწილეობას. მისი თქმით, რუსეთის მიერ კიოტოს საერთაშორისო შეთანხმების რატიფიცირების საკითხი რუსეთის ფედერაციის ნაციონალური ინტერესების შესაბამისად მოხდება. ამასთანავე, მას რატიფიცირების ზუსტი თარიღი არ დაუკონკრეტებია.

"მთავრობა ყურადღებით სწავლობს ამ საკითხს და ამ მნიშვნელოვან პრობლემას კომპლექსურად განიხილავს, - განაცხადა ვლადიმირ პუტინმა, - **გადაწყვეტილება მუშაობის დასრულების შემდეგ იქნება მიღებული."**

მოსკოვში გამართულ საერთაშორისო კონფერენციას ესწრება გაერო-ს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი და გაერო-ს გარემოსდაცვითი პროგრამების დირექტორი კლაუს ტოპფერი. მან განაცხადა, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა რუსეთისგან კიოტოს შეთანხმების რატიფიცირებას მოუთმენლად ელის.

კიოტოს პროტოკოლი, რომელსაც 1997 წელს იაპონიაში მოეწერა ხელი, მიზნად ისახავს ატმოსფეროში "სათბური გაზების" გაჟონვის მოცულობის შემცირებას. ძირითადი მოთხოვნები განვითარებული ქვეყნებისკენ არის მიმართული. პროტოკოლი მათგან მოითხოვს, რომ "სათბური გაზების" ატმოსფეროში გატყორცნა 2012 წლისათვის 8 პროცენტით უნდა შემცირდეს. ამასთანავე, კიოტოს შეთანხმება რუსეთისგან მოითხოვს, რომ "სათბური გაზების" გამოყოფა 1990 წლის დონით განისაზღვროს. რუსეთი პროტოკოლთან მიერთებას არ ჩქარობს და საკუთარი კვოტების გაყიდვიდან მილიარდი ამერიკული დოლარის მოგების საერთაშორისო გარანტიას ითხოვს. ეს კი ევროკავშირის მხრიდან მკვეთრად უარყოფით რეაქციას იწვევს, რადგანაც ევროპის ქვეყნებს უკვე მომზადებული აქვთ "სათბური გაზების" შემცირების გეგმა 2005 წლისათვის. რუსეთის პოზიცია აღიზიანებს კანადასა და იაპონიას, რომელთაც ამ დოკუმენტის რატიფიცირება უკვე მოახდინეს.

მოსკოვის გაჯიუტება მართლაც დიდ გაკვირვებას და სამართლიან გაღიზიანებას იწვევს, რადგან რუსეთის ფედერაცია კიოტოს პროტოკოლის რატიფიცირებით საკმაოდ დიდ ფინანსურ მოგებას მიიღებს.

გარდა ამისა, საყურადღებოა ერთი ფაქტიც. მაშინ, როდესაც ინდუსტრიულად განვითარებულმა ქვეყნებმა 2012 წლისთვის "სათბური გაზების" ჰაერში გატყორცნა 8 პროცენტით უნდა შეამცირონ, რუსეთმა მხოლოდ 1990 წლის დონეზე უნდა დაიყვანოს ამ მავნე ნივთიერების რაოდენობა. როგორც ირკვევა, რუსეთს შესამცირებელი არაფერი აქვს, რადგან მისი "სათბური გაზების" მოცულობა 1990 წლის დონეზე ბევრად ნაკლებია, რადგან რუსეთის ფედერაციის ქარხნებში წარმოება გეგმური ეკონომიკის მოშლასთან ერთად მკვეთრად დაცემულია. ამდენად, თუ რუსეთი კიოტოს პროტოკოლს ხელს მოაწერს, მას საშუალება ექნება "სათბური გაზის" ატმოსფეროში გატყორცნის კვოტები მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებს სარფიან ფასად მიჰყიდოს. ეს კი რუსეთს თავისი მოძველებული ენერგეტიკული სისტემის განახლებისათვის დამატებითი ფინანსების მოპოვების რეალურ შანსს აძლევს.

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ კიოტოს შეთანხმების რატიფიცირება არც აშშ-ს მოუხდენია. თუმცა, აქ საქმე სხვაგვარად არის. აშშ არის ქვეყანა, რომელიც ატმოსფეროში ყველაზე მეტ "სათბურ აირს" უშვებს, ვიდრე სხვა რომელიმე ქვეყანა. ამდენად, ვაშინგტონი პროტოკოლთან მიერთებას ეკონომიკურად წამგებიანად მიიჩნევს.

ცხადია, აშშ პროტოკოლის წევრი ქვეყანა რომ იყოს, რუსეთი თავისი კვოტების გაყიდვით უფრო დიდ ფინანსურ მოგებას ნახავდა, მაგრამ ექსპერტები მიიჩნევენ, რომ მოსკოვს არც ახლა აქვს საწუწუნო რამე, რადგან შეთანხმების წევრი ქვეყნები რუსეთის მიერ გამოუყენებელ კვოტებს სიამოვნებით შეისყიდიან.

საერთაშორისო კონფერენცია კლიმატის საკითხზე თავად პრეზიდენტ პუტინის ინიციატივით ტარდება. ამდენად, მსოფლიოს თანამეგობრობა იმედოვნებდა, რომ პუტინი კონფერენციაზე კიოტოს პროტოკოლთან მიერთების შესახებ რუსეთის მზადყოფნაზე განაცხადებდა. თუმცა, სიურპრიზი არ შედგა. სააგენტო "ბიბისის" ცნობით, გამოცდილ სპეციალისტებსაც კი ვერ გაუგიათ, თუ რა მოტივები ამოძრავებს მოსკოვს. შესაძლოა, რუსეთი უფრო მომგებიან ფინანსურ წინადადებას ელის დასავლელი პარტნიორებისგან. არც ის არის გამორიცხული, რომ მოსკოვი ვაშინგტონის სასარგებლოდ აპირებს თამაშს, რომელსაც კიოტოს პროტოკოლის ჩავარდნა აშკარად სურს. ამდენად, უმჯობესია კონფერენციის დასრულებას დაველოდოთ, სადაც შესაძლოა რუსეთმა თავისი მიზნების შესახებ ღიად ან შეფარვით მაინც განაცხადოს.

"ლევი შტრაუსი" ამერიკას ტოვებს

მსოფლიოში ყველაზე ცნობილი ჯინსების მწარმოებელი კომპანია "ლევი შტრაუსი" ამერიკასა და კანადაში მუშაობას წყვეტს. მისი ფაბრიკების დახურვის შედეგად 2 ათასი ადამიანი უმუშევარი დარჩება. კომპანიის სან-ანტონიოს (ტეხასის შტატი) ფაბრიკა 2003 წლის ბოლოს დაიხურება, ხოლო კანადაში მდებარე სამი ფაბრიკა – 2004 წლის მარტამდე. "ლევი შტრაუსის" დახურვაში ამერიკის პროფკავშირებმა აშშ-ის სავაჭრო პოლიტიკა დაადანაშაულა. კომპანია, რომელმაც სულ ცოტა ხნის წინ 150 წლის იუბილე აღნიშნა, ცდილობს შეზღუდოს ხარჯები და იაფი მუშახელი ეძიოს. ამიერიდან "ლევი შტრაუსი" თავის ცნობილ ჯინსებს განვითარებად ქვეყნებში შეკერავს. რუსეთში ამ მიზნით როსტოვის ფაბრიკაა შერჩეული. ამასთან, კომპანია ყურადღებას გაამახვილებს ჯინსების დიზაინზე, გაყიდვის სისტემაზე, მარკეტინგსა და კლიენტურის მომსახურებაზე.

უფასო იურიდიული კონსულტაციები გავშვთა უფლებების შესახებ. ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი. მისამართი: აღმაშენებლის 89/24, "თბილქალაქპროექტის" მაღლივი შენობა, 12-ე სართული. ტელეფონი: 95-10-03

თუ გსურთ, რომ ჩვენი მორაგბეთა ნაკრები გაემგზავროს ავსტრალიაში, მსოფლიო თასის ფინალურ ეტაპზე

დარეკეთ 5221

ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანია "მაგთი" საქართველოს რაგბის ნაკრების დახმარების ინიციატივით გამოდის. შეიქმნა სპეციალური სატელეფონო ნომერი – 5221. ამ ნომერზე დარეკვით, "მაგთის" აბონენტებს შეუძლიათ, ერთი ლარი ავტომატურად გადაურიცხონ ჩვენს მორაგბეებს, ანუ 5221-ზე თითოეული დარეკვა საქართველოს მორაგბეთა ნაკრების ყულაბას თითო ლარით გაამდიდრებს.

ფეხბურთი

კემპბელი ისევ ჭირისუფალია

აშვეთია შესუსტებული "არსენალის" წინააღმდეგ

დღეს ჩემპიონთა ლიგის მეორე ტური გაიმართება. A, B, C და D ჯგუფებში შედგება რვა მატჩი, რომელთაგან ცენტრალური შეხვედრის გამოყოფა ძალიან ძნელია. ჩვენთვის ყველაზე საინტერესო, ალბათ, მაინც "ლოკომოტივ"-"არსენალის" მატჩი უნდა იყოს. საინტერესოა, შეძლებს თუ არა აშვეთია "არსენალის" კარში თავისი პირველი საჩემპიონთალიგო გოლის გატანას?

A ჯგუფი

ანდერლეხტი – ბაიერნი
სელტიკი – ლიონი

A ჯგუფში მიუნხენის "ბაიერნი" "ანდერლეხტს" ესტუმრება. თანდათანობით ოპტიმალურ ფორმაში შედის მიუნხენელთა ახალი შენაძენი მაკააი, რომლისგანაც ბრიუსელშიც ელიან გოლებს. "ანდერლეხტის" შემადგენლობაში დღეს, ალბათ, ვერ ითამაშებს კრისტიან ვილჰელმსონი, რომელმაც პარასკევს, ბელგიის ლიგის უკანასკნელ მატჩში, მუხლის ტრავმა მიიღო.

"სელტიკ"-"ლიონის" მატჩში წინასწარ რაიმეს განჭვრეტა, ალბათ, ძნელი იქნება. გუნდები დაახლოებით თანაბარი ძალის არიან. "სელტიკს" ლარსონის იმედი აქვს, "ლიონი" კი ჯოვანი ელბერის გოლებს ელის.

B ჯგუფი

ინტერი – დინამო
ლოკომოტივი – არსენალი

მილანის "ინტერს" "დინამოსთან" მატჩში მარკო მატერაცი დააკლდება. ეს ფეხბურთელი "უდინეზეს" წინააღმდეგ სერია A-ს მატჩში დაშავდა და ექიმებმა ათდღიანი შესვენება გამოუწერეს. ჯერ კიდევ გაურკვეველია, შეძლებს თუ არა თამაშს კრისტიან ვიერი. ამ დანაკლისის მიუხედავად, "არსენალთან" მოპოვებული გამარჯვების შემდეგ, "ინტერი" ნებისმიერი მოწინააღმდეგისთვის მაინც მრისხანე მეტოქედ უნდა მივიჩნიოთ. კიევის "დინამოს" კი ანდრეი გუსინის გარეშე მოუწევს თამაში. მას კუნთის ოპერაცია გაუკეთეს, რის გამოც სამ თვეს დაისვენებს.

მოსკოვის "ლოკომოტივისა" და ლონდონის "არსენალის" მატჩში, ცხადია, ფავორიტად სტუმრები ითვლებიან, თუმცა, ლონდონელები საკმაოდ შესუსტებული შემადგენლობით ითამაშებენ, ასე რომ, შანსი "ლოკომოტივსაც" აქვს. მამის გარდაცვალების გამო მოსკოვში არ ჩასულა "არსენალის" მცველი სოლ კემპბელი. არსენ ვენგერმა მას დასვენების უფლება მისცა. სავარაუდოდ, ვერ ითამაშებენ პატრიკ ვიეირა და ფრედრიკ ლიუნგბერგი, რომელსაც ტერფის ტრავმა აქვს.

C ჯგუფი

დეპორტივო – ეინდჰოვენი
მონაკო – აეკი

ესპანეთის ჩემპიონატის უკანასკნელ მატჩში "ოსასუნას" წინააღმდეგ განცდილმა მარცხმა (2:3) "დეპორტივოს" მოტივაცია უნდა შემატოს. მიმდინარე სეზონში არ ყოფილა მატჩი, რომ მარკო პანდიანის გოლი არ გაეტანოს. გალიციელებს "ეინდჰოვენთანაც" ექნებათ პანდიანის გოლების იმედი.

"მონაკო"-"აეკის" შეხვედრაში ფავორიტი "მონაკოა", თუმცა, ბერძენთა დამარცხება არც ისე იოლი იქნება. მწყობრშია "მონაკოს" ახალშენაძენი მორიენტესი, რომელიც "რეალზე" შურისძიებას დღევანდელ მატჩშიც შეეცდება.

D ჯგუფი

გალათასარაი – სოსიედადი
ოლიმპიაკოსი – იუვენტუსი

"რომას" წინააღმდეგ სერია A-ს მატჩში ალესანდრო დელ პიერომ იდაყვის ტრავმა მიიღო და ექვსი კვირით გამოეთიშა ფეხბურთს. ეს იმას ნიშნავს, რომ დელ პიერო ვერც დღევანდელ მატჩში, "ოლიმპიაკოსის" წინააღმდეგ შეძლებს მოედანზე გამოსვლას. სამაგიეროდ, გუნდს დაუბრუნდება დავიდ ტრეზეგე, რომელმაც ტრავმა მოირჩინა.

ესპანური "რეალ სოსიედადი" თურქულ "გალათასარაის" სტუმრობს. ამ მატჩის პროგნოზირებისგან, ალბათ, თავი უნდა შეივიკავოთ. "სოსიედადს" დაუბრუნდა გუნდის თურქი ლიდერი ნიჰათი, რომელიც დღევანდელ მატჩშიც მიიღებს მონაწილეობას და, ალბათ, თანამემამულეებს დიდ პრობლემებს შეუქმნის. როგორც ჩანს, "გალათასარაის" შემადგენლობაში კვლავ გამოჩნდება ბრაზილიელი ჟოაო ბატისტა, რომელიც ფათიხ თერიმმა თურქეთის ჩემპიონატის უკანასკნელ მატჩში დაასვენა.

TV-სპორტი

სამშაბათი. 30 სექტემბერი

NTV + ФУТБОЛ
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 ბრაზილიის ჩემპიონატი. "ჟუვენტუდე" – "კორინთიანსი"
14:55 "ტოტალიზატორი". რუსეთის ჩემპიონატი. 27-ე ტური
15:10 საფეხბურთო უიკ-ენდი
15:55 ინგლისის ჩემპიონატი. მიმოხილვა
16:50 თავისუფალი დარტყმა
17:05 რუსეთის ჩემპიონატი. მიმოხილვა
18:05 ესპანეთის ჩემპიონატი. მიმოხილვა
19:00 "პოსტსკრიპტუმი"
19:30 "ცხრიანი"
19:45 სახვალიო ტელეპროგრამა
19:50 თავისუფალი დარტყმა
20:05 იტალიის ჩემპიონატი. მიმოხილვა
21:00 ჩემპიონთა ლიგა. "ლოკომოტივი" (რუსეთი) – "არსენალი" (ინგლისი). პირდაპირი ტრანსლაცია
23:25 ჩემპიონთა ლიგა. "ინტერი" (იტალია) – "დინამო" (უკრაინა). პირდაპირი ტრანსლაცია
01:35 ჩემპიონთა ლიგა. "ოლიმპიაკოსი" (საბერძნეთი) – "იუვენტუსი" (იტალია)

NTV + СПОРТ
11:00, 14:00, 17:00, 19:15 პრესცენტრი
11:15, 23:25 "ოლიმპის შვილები"
11:20, 14:15 აერობიკა
11:45 ამერიკული ფეხბურთი. NFL-ის ჩემპიონატი
14:40 "კვირის თემა"
15:40 მხატვრული ტანვარჯიში. მსოფლიო ჩემპიონატი უნგრეთში
17:15 "რკინის ფაქტორი"
17:45 მხატვრული ტანვარჯიში. მსოფლიო ჩემპიონატი უნგრეთში
19:30 "ბილიარდის მეუფენი"
20:00 "ვარსკვლავური სამშაბათი"
21:00 ამერიკული ფეხბურთი. NFL-ის ჩემპიონატი. შესვენებისას (22:00) პრესცენტრი
23:30 სახვალიო ტელეპროგრამა
23:35 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. "გალათასარაი" – "რეალ სოსიედადი". პირდაპირი ტრანსლაცია
01:30 ახალი ამბები

EUROSPORT
11:30 მულტისპორტი
12:00 ჩოგბურთი. WTA ტურნირი. "კრემლის თასი"
13:30 მხატვრული ტანვარჯიში. უნგრეთში
15:00 ფეხბურთი. ტელეჟურნალი
16:30 ჩოგბურთი. WTA ტურნირი. "კრემლის თასი"
19:30 ფეხბურთი. ტელეჟურნალი
21:00 სპიდვეი. პოლონეთის გრან-პრი
22:00 ფეხბურთი. მსოფლიო თასის ლეგენდები. შვედეთი 1970-1986
23:00 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა
02:00 ახალი ამბები
02:15 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა
03:15 ნასკარის ავტორბოლები. ვინსტონის თასი აშშ
04:15 ახალი ამბები

ფორმულა 1

ერთი ნაბიჯიც და...

უკანასკნელ რბოლაში მიხაელ შუმახერს მე-8 ადგილიც ყოფნის

აკა ტონია

REUTERS
მიხაელ შუმახერი უმაღლეს მწვერვალზეა

კვირას ინდიანაპოლისის გრან-პრი მიხაელ შუმახერის ტრიუმფით დასრულდა. მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონმა პირველი ადგილი დაიკავა და მსოფლიო ჩემპიონის მორიგი ტიტულის მოსაპოვებლად წინ კიდევ ერთი დიდი ნაბიჯი გადადგა.

რბოლა, რომლის პირველი ნახევარი მეტისმეტად ქაოსურ ვითარებაში წარიმართა (ამინდი ელვის სისწრაფით იცვლებოდა), შუმახერმა მეშვიდე პოზიციიდან დაიწყო, თუმცა, გამარჯვებით დაასრულა და თავისი კარიერის 70-ე გამარჯვება მოიპოვა. "შესანიშნავი და მნიშვნელოვანი გამარჯვებაა!" - ამბობდა შუმახერი რბოლის შემდეგ.

გამარჯვებებით განებივრებული შუმახერისთვის ინდიანაპოლისში მოპოვებული პირველი ადგილი არ იყო უბრალო, მორიგი წარმატება. მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონისთვის აშშ-ს დიდი პრიზის მოგება მსოფლიო ჩემპიონის მეექვსე ტიტულის დაუფლების შანსებს ერთიორად ზრდის. "დიდი ხანია, ის ასეთი გახარებული არ მინახავს", - განაცხადა შუმახერზე Ferrari-ს ტექნიკურმა დირექტორმა როს ბრაუნმა, რომელმაც გერმანელ პილოტს პირველმა მიულოცა გამარჯვება. შუმახერის მსოფლიო ჩემპიონობის შანსები, მართლაც, უდიდესია. კიმი რაიკონენმა მეორე ადგილი დაიკავა, რაც იმას ნიშნავს, რომ ფინელი პილოტი ერთადერთია, ვისაც შუმახერის გასწრების თეორიული შანსი დარჩა. თუმცა, ამისთვის სეზონის უკანასკნელ გრან-პრიში, სუძუკაში, რაიკონენმა აუცილებლად უნდა გაიმარჯვოს, შუმახერი კი უქულოდ დარჩეს. საერთო ჩათვლაში შუმახერი ცხრა ქულით უსწრებს რაიკონენს. ეს იმას ნიშნავს, რომ გერმანელ პილოტს სუძუკაში მე-8 ადგილი, ანუ ერთი ქულაც ყოფნის. თუმცა, რაიკონენი იმედს არ კარგავს. "რბოლა იმიტომ წავაგეთ, რომ ამინდმა შეგვიშალა ხელი. გამარჯვებისთვის ყველაფერი გავაკეთე, თუმცა, უკეთესი შედეგის მიღწევა შეუძლებელი იყო. მიუხედავად ამისა, ჩემპიონობის შანსი კიდევ მაქვს. არავინ იცის, რა მოხდება უკანასკნელ რბოლაში", - განაცხადა ფინელმა.

საჩემპიონო ბრძოლას საბოლოოდ ჩამოშორდა ხუან პაბლო მონტოია. საბურავების გამოცვლისას მას პრობლემები გაუჩნდა, ხოლო რუბენს ბარიკელოს წინააღმდეგ სახიფათოდ მანევრირებისთვის ის დააჯარიმეს. ყოველივე ამის გამო ინდიანაპოლისში მონტოიამ მხოლოდ მეექვსე ადგილი დაიკავა. კოლუმბიელი პილოტი შუმახერს უკვე ათი ქულით ჩამორჩება.

BMW-Williams-მა ნამდვილი კრახი განიცადა. მონტოიას წარუმატებლობასთან ერთად, 21-ე წრეზე რბოლას გამოეთიშა გუნდის მეორე პილოტი რალფ შუმახერი. ეს იმას ნიშნავს, რომ BMW-Williams-მა კონსტრუქტორთა დავაშიც დათმო პოზიციები და პირველი ადგილი Ferrari-ს დაუთმო.

საფინალო გრან-პრი 12 ოქტომბერს სუძუკაში ჩატარდება. სწორედ ამ დღეს გაირკვევა მსოფლიო ჩემპიონის ბედი როგორც პილოტებს, ისე კონსტრუქტორებს შორის.

რბოლის შედეგები

1.	მიხაელ შუმახერი	1:33:35,997
2.	კიმი რაიკონენი	+ 18.258
3.	ჰაინც-ჰარალდ ფრენტცენი	+ 37,964
4.	იარნო ტრული	+ 48,329
5.	ნიკ ჰაიდფელდი	+ 56,403
6.	ხუან პაბლო მონტოია	+ 1 წრე
7.	ჯანკარლო ფიზიკელა	+ 1 წრე
8.	ჯასტინ უილსონი	+ 2 წრე
9.	კრისტიანო და მატა	+ 2 წრე
10.	იოს ვერსტაპენი	+ 4 წრე
11.	ნიკოლას კიესა	+ 4 წრე
	ჟაკ ვილნევი	(დეფექტი 66-ე წრეზე)
	რალფ ფირმანი	(დეფექტი 52-ე წრეზე)
	დევიდ კულჰარდი	(დეფექტი 50-ე წრეზე)
	ფერნანდო ალონსო	(დეფექტი 45-ე წრეზე)
	ჯენსონ ბატონი	(დეფექტი 42-ე წრეზე)
	ოლივიე პანი	(ავარია 30-ე წრეზე)
	მარკ ვებერი	(ავარია 22-ე წრეზე)
	რალფ შუმახერი	(ავარია 22-ე წრეზე)
	რუბენს ბარიკელო	(ავარია მე-3 წრეზე)

საერთო ჩათვლა

1.	მიხაელ შუმახერი	92
2.	კიმი რაიკონენი	83
3.	ხუან პაბლო მონტოია	82
4.	რალფ შუმახერი	58
5.	რუბენს ბარიკელო	55
	ფერნანდო ალონსო	55
7.	დევიდ კულჰარდი	45
8.	იარნო ტრული	29
9.	მარკ ვებერი	17
10.	ჰაინც-ჰარალდ ფრენტცენი	13
11.	ჯენსონ ბატონი	12
	ჯანკარლო ფიზიკელა	12
13.	კრისტიანო და მატა	8
14.	ჟაკ ვილნევი	6
	ნიკ ჰაიდფელდი	6
	ოლივიე პანი	6
17.	მარკ ჟენე	4
18.	რალფ ფირმანი	1
	ჯასტინ უილსონი	1
20.	ნიკოლას კიესა	0
	ანტონიო პიცონია	0
	ზოლტ ბაუმგარტნერი	0
	იოს ვერსტაპენი	0

კონსტრუქტორთა დავა

1.	Ferrari	147
2.	BMW-Williams	144
3.	McLaren-Mercedes	128
4.	Renault	84
5.	Sauber-Petronas	19
6.	Jaguar	18
	BAR-Honda	18
8.	Toyota	14
9.	Jordan-Ford	13
10.	Minardi	0

კრივი

სანდერსი კრივის


REUTERS
კორი სანდერსი რკინის ქალამნებით სასამართლოში წავიდა

სამხრეთაფრიკელი კორი სანდერსი WBO-ის ვერსიით მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს ფლობს. გადამწყვეტ ბრძოლაში მან უკრაინელი ვლადიმირ კლიჩკო გალახა. არავინ ელოდა, მაგრამ სანდერსმა უკრაინელს ამპარტავნების გრძნობა დაუკარგაო, - აცხადებდნენ კრივის სპეციალისტები, მაგრამ ეს ყველაფერი წარსულს ჩაბარდა. ამჟამად სამხრეთაფრიკელ ჩემპიონს ლამონ ბრიუსტერთან ჭიდილში მოუწევს ტიტულის დაცვა. ეს ლამონ ბრიუსტერი WBO-მ ჩემპიონობის ოფიციალურ პრეტენდენტად წარადგინა. ბრძოლა 18 ოქტომბერს ჰამბურგის "Color Line Arena"-ზე უნდა გამართულიყო, მაგრამ სანდერსი ჩხუბზე უარს ამბობს.

სამხრეთ აფრიკის მასობრივი საინფორმაციო საშუალებები იტყობინებიან, რომ სანდერსი ჩხუბზე უარს აცხადებს და, ბევრი იფიქრა თუ ცოტა, თავისი სიმართლის დასამტკიცებლად სასამართლოში წავიდაო.

თავის უარს სამხრეთაფრიკელი იმ მოტივით ამაგრებს, რომ ბრძოლის გენერალურმა პრომოუტერმა კლაუს-პიტერ კოლმა უარი განაცხადა, სანდერსისთვის ის ჰონორარი გადაეხადა, რომელიც კონტრაქტის მიხედვით ეკუთვნის. აგვისტოს დასაწყისში გენერალურმა პრომოუტერულმა კომპანიამ "Universum Box-Promotion", დაასწრო რა დონ კინგს, სანდერს-ბრიუსტერის ბრძოლა შეისყიდა. იმავე გამოცემების ცნობით, სანდერსმა კომპანიის წინააღმდეგ სარჩელი უკვე გადასცა სასამართლო ორგანოებს. ჯერჯერობით ოფიციალური განცხადება არც სანდერსისა და არც "Universum Box-Promotion"-ის ხელმძღვანელთა მხრიდან არ ჩანს.

"სამწუხაროდ, ამ საკითხის ირგვლივ არავითარი კონკრეტული ინფორმაცია არა მაქვს და, შესაბამისად, ვერც კომენტარს გავაკეთებ. თუ მართლაც შეიქმნა ასეთი მდგომარეობა, მაშინ ამ საქმის გარკვევა მოუწევს ჩემს პრომოუტერს, რომლის მხრებზეც გადადის ჩემი ბრძოლების ორგანიზება, - ამბობს კლაუს-პიტერ კოლის უკრაინელი კლიენტი ვლადიმირ კლიჩკო, - რაც შეეხება პირადად ჩემს მოსაზრებას, უკვე ვთქვი, რომ სანდერსი არ მაინტერესებს. მე მაინტერესებს მსოფლიო ჩემპიონის ტიტული. ხოლო ის, თუ ვის ხელში იქნება ეს ტიტული, - სანდერსის თუ ბრიუსტერის, - ამას ჩემთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა არა აქვს".

ინფოთეკა

ფეხბურთი. იტალიის "ინტერი" კიევის "დინამოს" წინააღმდეგ ჩემპიონთა ლიგის მატჩს მარკო მატერაცის გარეშე ჩაატარებს. "უდინეზეს" წინააღმდეგ ქვეყნის ჩემპიონატის მეოთხე ტურის შეხვედრაში მატერაცმა ბარძაყის ტრავმა მიიღო და ფეხბურთს 10 დღით დაემშვიდობა. ეს ნიშნავს, რომ, კიევის "დინამოს" გარდა, მატერაცი გუნდს ვერც "მილანის" წინააღმდეგ დაეხმარება. ჯერჯერობით გაურკვეველია ვიერის მდგომარეობაც. "არსენალთან" მატჩში მას მონაწილეობა არ მიუღია, მაგრამ გუნდმა მაინც მოიგო - 3:0.

■ ■ ■

ფეხბურთი. ნორვეგიის ჩემპიონი ზედიზედ მეთორმეტედ გახდა "როსენბორგი". კვირას ქვეყნის ჩემპიონმა "ბოდო გლიმტი" დაამარცხა (5:4).

■ ■ ■

ფეხბურთი. იტალიის "რეჯინამ" უარყო ხმები იმის თაობაზე, რომ ლონდონის "ჩელსისთან" მოლაპარაკებას აწარმოებდა კლუბის იაპონელი ლეგიონერის შუნსუკე ნაკამურას გადაბირების მიზნით. სეზონის დაწყების წინ იტალიური პრესა იუწყებოდა, რომ ეს გარიგება უნდა შემდგარიყო.

■ ■ ■

ფეხბურთი. კვირას "ბაზელმა" 2:0 დაამარცხა "იანგ ბოიზი" და ქვეყნის ჩემპიონატის მატჩებში ზედიზედ 11 გამარჯვება მოიპოვა. ამით "ბაზელმა" გაიმეორა 22 წლის წინანდელი რეკორდი, რომელიც "სერვეტს" ეკუთვნოდა. მომდევნო ტურში "ბაზელი" ქსამაქსს" ეთამაშება და ყველა შანსი აქვს იმისთვის, რომ შვეიცარიის ახალი რეკორდი დაამყაროს. "გამარჯვებათა ასეთი სერია ფანტასტიკური მიღწევაა", - განაცხადა "ბაზელის" მწვრთნელმა კრისტიან გროსმა. დღეისთვის "ბაზელი" გათამაშების ცხრილში პირველ ადგილზეა და 12 ქულით უსწრებს მეორე ადგილზე მყოფ სერვეტს. მესამე საფეხურზე "იანგ ბოიზია", რომელიც ლიდერს 14 ქულით ჩამორჩება.

■ ■ ■

სკანდალი. ინგლისის პრემიერლიგის 8 ფეხბურთელს 17 წლის გოგონას გაუპატიურებაში ედება ბრალი. ამის შესახებ იტყობინება გაზეთი "სანი". გოგონა დათანხმდა ერთერთ სასტუმროში მხოლოდ ერთ ფეხბურთელთან ინტიმურ ურთიერთობაზე, მაგრამ ის ამ გუნდის სხვა ფეხბურთელებმაც გააუპატიურეს. "ლონდონის პოლიციამ 17 წლის გოგონას გაუპატიურების შესახებ ინფორმაცია მიიღო. სხვა კომენტარი ამასთან დაკავშირებით უადგილო იქნებოდა", - განაცხადა სკოტლანდიარდის წარმომადგენელმა. ფეხბურთელთა ვინაობა ჯერჯერობით არ სახელდება. ცნობილია მხოლოდ ის, რომ ყველა მათგანი ბრიტანელია, ერთ-ერთი კი ინგლისის ნაკრების ღირსებას იცავს.

■ ■ ■

კალათბურთი. "სიეტლმა" როქი განახორციელა. მან "ლოს ანჯელეს კლიპერსს" ცენტრი პრედრაგ დრობნიაკი დაუთმო. სამაგიეროდ, "კლიპერსისგან" უფლება მიიღო, დრაფტის მეორე რაუნდში არჩევანი გააკეთოს. შეგახსენებთ, რომ შარშანდელ სეზონში დრობნიაკი მოედანზე ხშირად გამოდიოდა, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელობამ წლეულს მასთან განშორება გადაწყვიტა.

■ ■ ■

ჩოგბურთი. პალერმოს ტურნირი მოიგო ჩილელმა ნიკოლას მასუმ, რომელმაც ფინალურ შეხვედრაში სამ სეტში დაამარცხა ფრანგი პოლ ანრი მატიე - 1:6, 6:2, 7:6.

■ ■ ■

ჩოგბურთი. კვირას 76 წლის ასაკში გარდაიცვალა ლეგენდარული ჩოგბურთელი ალთეა გიბსონი. ის პირველი შავკანიანი იყო, რომელმაც უიმბლდონის ტურნირი (1957-1958 წწ.) და აშშ-ის ღია ჩემპიონატი მოიგო. გარდაცვალების მიზეზი მწვავე რესპირატორული დაავადება გახდა. 50-იან წლებში გიბსონი მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელი იყო. მისი სახელი ჩაწერილია ჩოგბურთის საერთაშორისო დიდების დარბაზში. სპორტული კარიერის განმავლობაში გიბსონმა უმაღლესი კატეგორიის 11 ტურნირი მოიგო.

■ ■ ■

ველოსპორტი. ესპანური "ვუელტას" უკანასკნელი ეტაპი მოიგო იტალიელმა ალესანდრო პეტაკიმ, რომელმაც მადრიდში ფინიშის სწორზე მოუგო გერმანელ ერიკ ცაბელს. საერთო ჩათვლაში გამარჯვება მოიპოვა რობერტო ერასმა, რომელმაც 28 წამით გაუსწრო თანამემამულე ისიდორო ნოსალს.

ცოცხალი კლასიკოსი სამშობლოში

ფესტივალს ოთარ იოსელიანის ფილმი გახსნის

პირველი გვერდიდან

"ორშაბათის დილა". იოსელიანი, როგორც მსახიობი

"ორშაბათის დილა". იოსელიანი, როგორც რეჟისორი

- დიახ, ამჯერად სწორედ ამის გამო ვარ ჩამოსული. იმედი მაქვს, რომ ჩემი კოლეგების მიერ ისეთი ფილმებია შერჩეული, რაც ფესტივალს ნამდვილ კინოხელოვნების ზეიმად აქცევს, ნამდვილი კინოხელოვნებისკენ ააღებინებს გეზს.

- ანუ გეზი არ უნდა იყოს მიმართული "კომერციულ კინოსკენ", რომელმაც მთლიანად დაიპყრო კინემატოგრაფი. თქვენ ბევრს მოგზაურობთ, მრავალ ფესტივალს სტუმრობთ. თქვენი აზრით, რა ხდება დღევანდელ მსოფლიო კინემატოგრაფში?

- იცით, დღევანდელ კინოში მასიურადაა შეჭრილი ტექნიკა, რაც, თავისთავად, კინოენის დაკარგვის მომასწავებელია. კინოპროცესი გართულდა იმით, რომ ხდება მისი კომერციულ ლიანდაგებზე გადაყვანა, რასაც ძალზედ ძლიერი ფინანსური სტრუქტურები უდგას უკან, სახელდობრ - ჰოლივუდი. თუმცა, მაგალითად ინდური კინოს მოყვანაც შეიძლება, რომელმაც დაახრჩო ადგილობრივი საავტორო კინო. მათ დღეს აღარ ჰყავთ სატიაჯიდ რეი, აქვთ სუსტი, მაგრამ დამოუკიდებელი კალკუტის კინოსკოლა, რომელსაც მთელი ინდოეთის, ამ დიდი ფინანსური მანქანის წინააღმდეგ უხდება ბრძოლა. დღევანდელი მაყურებელი აღზრდილია სხვა ფილმებზე; ის საავტორო კინოს უკვე ირონიულად იხსენებს - როგორც გამონაკლისს, პიროვნების კაპრიზს. ისეთი რეჟისორები, როგორებიც იყვნენ დევიდ გრიფიტი, ორსონ უელსი, გერმანიაში – ფრიც ლანგი, ფრიდრიხ მურნაუ, მოგვიანებით ფრანგები - რენე კლერი, ჟან რენუარი, თუ "ნეორეალიზმის" და "ახალი ტალღის" მიმდინარეობების წარმომადგენლები, სწორედ იმის იმედს იძლეოდნენ, რომ კინო საერთო კულტურულ საგანძურში თავის ადგილს დაიკავებდა, დაფუძნებული იქნებოდა პიროვნებების არსებობასა და მათ ცხოვრებისეულ შეხედულებებზე, ჩვენი საერთო ფიქრების წრეში ჩაერთვებოდა. ვენეცია, სან სებასტიანი, სან ფრანცისკო, ლოკარნო – აი, ის ფესტივალები, სადაც ნამდვილ კინემატოგრაფს მოწყურებული ხალხი დადის.

- თქვენ მაყურებელი ახსენეთ, მომავალი თაობა, რომელიც ჩვენ თვითონვე აღვზარდეთ "კომერციულ კინოზე"; კინოდარბაზების მფლობელებს შემოსავალი სჭირდებათ, რაც ჰოლივუდურ ფილმებს მოაქვს.

- სწორედ ამას ვამბობ. ჩვენ დავკარგეთ "გოსკინოს" ხაზი, რომელსაც ანტონიონის, ფელინის, გოდარის ფილმები ჩამოჰქონდა. სამარცხვინოა, ამდენი კინოდარბაზის მქონე თბილისს დღეს სამი-ოთხი თუ დარჩა. ისე ვზრდით თაობას, რომ დიდ ეკრანზე ფილმი არ უნახავთ. ვწამლავთ იმ გლობალური, კომერციული კინოთი, ვუნერგავთ იმ საზომებს, რომელსაც კინოსთან არანაირი კავშირი არა აქვს. ამიტომაც ვუკრძალავ ახლობლებს ჩემი ფილმების კასეტაზე ნახვას, რადგანაც ამ დროს ხილვისა და აღქმის 50 პროცენტი იკარგება.

- თქვენს ფილმებს შევეხეთ. თუ ნებას მომცემთ, კონკრეტულად თქვენზე, თქვენს ფილმებზე გაგესაუბრებით. მე, ანუ ადამიანი, რომელიც არასდროს არ დასწრებია გადაღებას და ამ საკითხში ცოტა ზედაპირული ცოდნა აქვს, კინოს შექმნის პროცესს ოთხ ძირითად ეტაპად ვყოფ: სცენარი, გადასაღები მოედანი, მონტაჟი და პრემიერა. რომელია უფრო რთული ან საინტერესო?

- მე ასე არ დავყოფდი. ეს მთლიანი პროცესია, რომელიც ნელ-ნელა გადადის ერთმანეთში და ის, რასაც შენ ამბობ, ტიპური ჰოლივუდური, ქარხნული პროცესია: ვიღაც სცენარს წერს, ვიღაც ფილმს იღებს, პროდიუსერი შოულობს მსახიობებს - ანუ ერთი ხორბალს მკის, მეორე ფქვავს, მესამე აცხობს. ფილმი ხელიდან ხელში გადადის, ჩემთვის ეს წარმოუდგენელია.

- ერთგან წავიკითხე, რომ თქვენ სამი ძირითადი პრინციპით მუშაობთ: არანაირი ეკრანიზაცია; მინიმუმამდე დაყვანილი დიალოგები; არაპროფესიონალი მსახიობები.

- მე არ მესმის, რა საჭიროა ეკრანიზაცია, რადგან თუ ლიტერატურული მასალა კარგია, მას გადაღება არ სჭირდება. რატომ უნდა თქვა სხვისი სათქმელი? დიალოგებს რაც შეეხება, ვიტყვი, თუ ფილმი ისეთი გაუგებარია, რომ თარგმანი სჭირდება, ეს ნიშნავს, რომ ბოლომდე ვერ გამოვიყენეთ ის შესაძლებლობები, რაც გვაქვს ხმა და გამოსახულება, და არავითარ შემთხვევაში სიტყვა, რადგან იგი თეატრს ეკუთვნის. ხოლო მსახიობებზე ერთ მაგალითს მოვიყვან: "მთვარის ფავორიტებში" თამაშობდა ვინმე მატიო მალერიკი, რომელიც გარკვეული დროის შემდეგ პოპულარული გახდა, მაყურებელი კი ფილმის ნახვისას აღარ უყურებდა თვითონ ფილმს, ამბობდნენ, – ნახე, ახალგაზრდა მატიო. ჩემთვის ეს ფილმის სტრუქტურას შლის, მსახიობი გაჭედილი ხდება, როგორც ხელის შემშლელი ელემენტი. მე არ ვათამაშებ "ვარსკვლავებს", არ შემყავს ისინი ჩემი ფილმის სამყაროში.

- გამიგია, რომ თქვენ სადმე გაგონილ, საინტერესო ისტორიებს ფურცლებზე წერთ და უჯრაში ინახავთ. სცენარის შექმნისას ზოგი მაგიდის ზედაპირზე ამოდის, ზოგი კი იქვე რჩება...

- ამაში არაფერია ახალი. მე ერთადერთი არა ვარ, ვინც ასე მუშაობს. მაგალითად, ალექსანდრე დიუმას ნაჯღაბნი ხელსახოცების მთელი დასტა ჰქონდა, სადაც სხვადასხვა ისტორიებს იწერდა.

დაბოლოს, მომავალ გეგმებზე გკითხავთ...

- ჯერ ვერაფერს გეტყვით, მაქვს რამდენიმე პროექტი, თუმცა, იმდენად გამოკვეთილი არ არის, რომ რაიმე გითხრათ. არ ვიცი, ვნახოთ.

* * *

ამ დღეებში ბატონ ოთარს ფრანგი სტუმრები - ლილიან ლავინა და მისი მეუღლე ეწვივნენ - უბრალოდ, თბილისის დასათვალიერებლად. წითური ქალბატონი ლილიანი, რომელიც ოთარ იოსელიანის ფილმში "მშვიდობით ბოსელო" ან In Vino Veritas (როგორც უწოდებენ) მთავარ როლში ბიზნეს-ლედის ასახიერებს, "ორშაბათის დილაში" უკვე ბოშა ქალია.

- ქალბატონო ლილი, სად გაიცანით ბატონი ოთარი?

- ჩემს თეატრში. მე და ჩემს მეუღლეს მოხეტიალე თეატრი გვაქვს, Dromesko, რომელიც აგერ უკვე 10 წელია, მთელ ევროპაში მოგზაურობს. თეატრში არა მარტო მსახიობები, არამედ უამრავი ჯიშის ფრინველი და ცხოველია, რომელთაც არანაკლები ფუნქცია აკისრიათ. ალბათ, გახსოვთ მარაბუ ფილმში, ის ჩემი ფავორიტია.

- როგორია ბატონი ოთარი გადასაღებ მოედანზე; ბრაზობს?

- არა, რას ამბობთ, არასოდეს მინახავს გაბრაზებული გადაღებაზე. ძალიან გაწონასწორებულია, წყნარი. ზუსტად იცის, რა უნდა და ზუსტ დავალებას გაძლევს. მე კინოში პირველად ვიმუშავე და აღფრთოვანებული დავრჩი.

- რაიმე შეიძინეთ მასთან მუშაობით?

- ძალიან ბევრი. მასთან ურთიერთობისას შეგიძლია, საკუთარ თავად დარჩე უბრალოდ, მარტივად. ეს კი ყველაზე მთავარია.

გერმანული "ოქტობერფესტის" ვარიაცია "შერატონში"

ლუდი, ფეხბურთი, ავტომობილი... აქვთ თუ არა მათ "საერთო ძირი"? სულაც არ არის საჭირო იყო გერმანისტი, რომ ამ კითხვაზე დაუფიქრებლად უპასუხო: "რა თქმა უნდა, აქვთ და ეს არის ბავარია!". მართლაც, ვამბობთ "გერმანულ ფეხბურთს" და "ვგულისხმობთ" მიუნხენის "ბაიერნს", ვამბობთ "მაგარ" ავტომობილს" და ოცნებაში "ბეემვეს" საჭეს ვატრიალებთ, ვამბობთ "ლუდს" და...ვინც სასმელის ფასი იცის, დავას არ დაგიწყებთ იმაზე, რომ "ჩემპიონი" ლუდი გერმანულია, "ჩემპიონთა ჩემპიონი" კი - ბავარიული.

"რკინის ფარდა" უკვე დიდი ხანია, წარსულს ჩაბარდა და... ბავარიული ლუდის მოყვარულთ ყველა გზა ხსნილი აქვთ. ამ დღეებში ეს გზები მხოლოდ "შერატონ-მეტეხი-პალასში" მიდის. აქ, ფაბ "სლემერსში", 20 სექტემბერს დაიწყო და 5 ოქტომბრამდე გასტანს გერმანული ლუდის დღესასწაული "ოქტობერფესტი".

სპორტულ სტილში გადაწყვეტილ, ამერიკული დეკორაციებით დამშვენებულ "სლემერსს" ორ კვირაზე მეტ ხანს გერმანული "სული" დაეპატრონება: შეუკვეთეთ "ერდინგერი" ან "კრომბახერი", შნაპსი "დუ იაქისთვის" გამოიყენეთ და ბავარიული კერძებიც მოითხოვეთ: ნიურნბერგული თეთრი სოსისი, "შვაინებრატენ", ღორის კანჭები, "ზაუერკრაუტი", "აპფელშტრუდელი" და... დიდია შანსი, რომ "სლემერსის" მუდმივი კლიენტი გახდეთ.

მთელი ამ სიამოვნების (იგი გერმანული მუსიკის თანხლებით) მაღალ ხარისხს უზრუნველყოფს აღმასრულებელი შეფ-მზარეული მეთიუ კუპერი, რომელსაც გამოცდილება ნამდვილად არ დაეწუნება: "ამ საქმეზე" უმუშავია ინგლისში, საფრანგეთში, იამაიკაზე, ჩინეთში, შუა აღმოსავლეთში.

კუპერს დამხმარე მზარეულებად ქართველები ჰყავს, "ოქტობერფესტისთვის" საკვები პროდუქტები კი გერმანიიდან აქვს გამოწერილი.

თუ "შერატონ-მეტეხი-პალასში" კარგად მოილხენთ, მეთიუ კუპერის გარდა მადლობა ბავარიის პრინც ლუდვიგსაც უნდა შეაწიოთ: "ოქტობერფესტს", ანუ ლუდის დღესასწაულს 1810 წელს, სწორედ მან, თავის ქორწილში ჩაუყარა საფუძველი.

ასე რომ, თუ თავი თანამედროვე ადამიანად მიგაჩნიათ, იფიქრეთ: გერმანული "ლუდი, ფეხბურთი, მანქანა" ქართული "ღვინო, დუდუკი, ქალების" შესანიშნავი ალტერნატივაა.

80-იანების გმირი

"რობერტ პალმერი – კაცი, ვისთვისაც გაცილებით უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მუსიკას, ვიდრე ცხოვრების სტილს" – ასე დაახასიათა "ბი ბი სის" მიმომხილველმა დევიდ სტილიტომ ბრიტანელი მუსიკოსი, რომელიც პარასკევს გულის შეტევით პარიზში გარდაიცვალა. ის იქ თავის მეგობარ ქალთან მერი ემბროზისთან ერთად იმყოფებოდა. პარიზიდან ის პირდაპირ ლუგანოში უნდა გადაფრენილიყო, სადაც 16 წელი ცხოვრობდა. შაბათს ის ლუგანოში გადაასვენეს. დაკრძალვის ცერემონიის მოსამზადებლად შვეიცარიაში ბრიტანეთიდან პალმერის მშობლები და 22 წლის ქალიშვილი ჩაფრინდნენ

წარმოშობით იორკშირელმა მუსიკოსმა ბავშვობის წლები მალტაზე გაატარა. როგორც თავად იგონებდა, ინგლისში დაბრუნების შემდეგ თავი ძალიან უცხოდ იგრძნო, სწავლა მიატოვა და მუსიკალური ჯგუფი ჩამოაყალიბა. თუმცა, 1974 წელს სოლო კარიერა დაიწყო. მას პირველი წარმატება 1978 წელს სიმღერამ Every Kinda People მოუტანა. ჩანაწერი ბრიტანულ ჩარტებში 53-ე ადგილზე მოხვდა, ამერიკაში კი მე-15 ადგილი დაიმსახურა. შემდეგ პალმერმა კიდევ ორიოდე პოპულარული სიმღერა ჩაწერა, 1986 წელს კი მისი ალბომიდან Riptide იშვა ყველა დროის საუკეთესო ჰიტი Addictied to Love. სიმღერაზე გადაღებული ვიდეო MTV-ის უკონკურენტო ჰიტი გახდა. მანვე მოუტანა პალმერს "გრემის" ჯილდოც.

პალმერი მალე 80-იანი წლების მუსიკალური სცენის მთავარ მოქმედ გმირად ჩამოყალიბდა. მის გამორჩეულ სტილსაც მრავალი თაყვანისმცემელი გამოუჩნდა, პალმერი ხომ ჰარმონიულად უზავებდა ერთმანეთს როკს, რიტმ-ენ-ბლუზსა და რეგის ჰანგებს.

შაბათს პალმერის გარდაცვალებას მისი მეგობრები და კოლეგები გამოეხმაურნენ. "საშინელი ამბავი მოხდა. ძალიან დამწუხრებულები ვართ", - აცხადებდნენ UB40-ის წევრები. მათთან ერთად პალმერი 1990 წლის ჰიტზე I'll Be Your Baby Tonight-ზე მუშაობდა.

გავრცელდა Duran Duran-ის ყოფილი წევრების ჯონ და ენდი ტეილორების კომენტარიც, რომლებთან ერთადაც პალმერმა 1985 წელს ჯგუფი Power Station ჩამოაყალიბა და სამი ამერიკული ჰიტი ჩაწერა: "რობერტი ჩვენი უახლოესი მეგობარი და შესანიშნავი მუსიკოსი იყო. მისი გარდაცვალება ბრიტანული მუსიკის ინდუსტრიისთვის მძიმე დანაკარგია". ჯონმა და ენდიმ პალმერი უკანასკნელად ივლისში, იაპონიაში ნახეს, სადაც მუსიკოსი თავისი ბოლო ალბომის Drive-ის პრეზენტაციისთვის იყო ჩასული.

კულტურის ტერიტორია საზღვრების გარეშე

რა აკავშირებს რუსულ და თბილისურ შემოდგომას

მადი სერებრიაკოვა

საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი "შემოდგომის თბილისი" წელს, შეიძლება ითქვას, ქართულ-რუსული მუსიკალური კავშირების აღდგენა-დემონსტრირებას მიეძღვნა. **"ფესტივალი შესანიშნავი მიზეზია იმისთვის, რომ შევინარჩუნოთ კულტურის ერთიანი და განუყოფელი ტერიტორია,"** – აღნიშნავენ ფესტივალის სტუმრის, ანსამბლ Бабье Лето-ს წევრები. ეს, თავისთავად, ცუდი სულაც არ არის: როჟდესტვენსკეების მუსიკალური ოჯახის შემდეგ (ფესტივალის გახსნაზე თბილისის სიმფონიურ ორკესტრს გენადი როჟდესტვენსკი დირიჟორობდა, ხოლო სოლისტები მისი ვაჟი ალექსანდრე და მეუღლე – ვიქტორია პოსტნიკოვა გახლდნენ), "შემოდგომის თბილისის" ბოლო ორი კონცერტიც რუსმა გასტროლიორებმა გამართეს. "მოსკოვის ვირტუოზების" სექსტეტის და მიხაილ ლიდსკის მიერ შექმნილი უაღრესად აკადემიური ატმოსფერო გუშინ კვინტეტმა Бабье Лето-მ სულ მთლიანად შეცვალა.

***Бабье Лето** სიმფონიურ ცენტრში*

"მოსკოვის ვირტუოზები" თბილისში არაერთხელ გაუმართავთ კონცერტი. "შემოდგომის თბილისის" ფესტივალში მათ უკვე სამჯერ მიიღეს მონაწილეობა. თუმცა, წელს შედარებით არატრადიციული შემადგენლობით - სექსტეტით აპირებდნენ ჩამოსვლას. საბოლოოდ სცენაზე მხოლოდ კვინტეტი ვიხილეთ: მათ მეორე ვიოლინო – ევგენი შულკოვი აკლდათ. პირველ განყოფილებაში მოცარტისა და ჰაიდნის კამერული ანსამბლებით შედგენილი პროგრამა პირველმა ვიოლინომ ალექსეი ლუნდინმა, ალტისტმა იური იუროვმა, ჩელისტმა გიორგი გორიუნოვმა, კონტრაბასისტმა გრიგორი კოვალევსკიმ და ჰობოისტმა ალექსეი უტკინმა შეასრულეს.

"მოსკოვის ვირტუოზების" აღნიშნული შემადგენლობა ორკესტრის სხვადასხვა თაობის წევრებს აერთიანებდა: ფაქტობრივად, კამერული ორკესტრის დაარსების დღიდან ერთად არიან კონტრაბასების ჯგუფის კონცერტმეისტერი გრიგორი კოვალევსკი და ალტების ჯგუფის კონცერტმეისტერი იური იუროვი; "მოსკოვის ვირტუოზების" წამყვანი სოლისტია, აგრეთვე, რუსეთის ჰობოისტების ეროვნული კონკურსის გრან-პრის მფლობელი ალექსეი უტკინიც. შედარებით ახალ თაობას წარმოადგენდნენ გიორგი გორიუნოვი და ორკესტრის ახლანდელი კონცერტმეისტერი ალექსეი ლუნდინი. ეს უკანასკნელი მარინე იაშვილის სტუდენტი იყო. **"ერთადერთი, რასაც მარინე იაშვილი ჩვენგან ითხოვდა, თავისუფლება და ჟღერადობა იყო – თუმცა, ეს უკვე ძალიან ბევრია,"** – იხსენებს ლუნდინი.

კონცერტის პირველი ნაწილის პროგრამას, სტილური ერთიანობის გარდა, "ვირტუოზების" უბრწყინვალესი ჟღერადობა და ეპოქისა და სტილის უკიდურესად გამძაფრებული შეგრძნება აერთიანებდა. ანსამბლის შემადგენლობამ კი კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, თუ როგორ შეიძლება მუსიკოსი ერთბაშად დიდებული სოლისტიც იყოს და სერიოზული, დახვეწილი ანსამბლიც შექმნას. მეორე განყოფილებაში შუბერტის "კალმახით" "ვირტუოზებს" თბილისელებისთვის უკვე კარგად ნაცნობი პიანისტი მიხაილ ლიდსკიც შეუერთდა. უკანასკნელად იგი გასულ ზაფხულს იყო თბილისის სტუმარი და, შესანიშნავი სოლო-კონცერტის გარდა, კონსერვატორიის სახელმწიფო გამოცდაც მიიღო ფორტეპიანოში. ლიდსკი 1996 წლიდან მოსკოვის კონსერვატორიაში ელისო ვირსალაძის ასისტენტია: **"ელისო იმდენად ფართო გაქანების პიროვნებაა, რომ ჩემნაირ პიროვნებასაც კი უძლებს,** – იუმორით აღნიშნავს ლიდსკი, **– ყველამ იცის, რომ საქართველოში ძალიან მუსიკალური ხალხი და დიდებული სკოლაა. ამის გამეორება ბანალურია და, ალბათ, სულ ასე იქნება."**

"ძალიან მუსიკალური" ქართველი მსმენელი, მართალია, სიმფონიური ცენტრის დარბაზს ბოლომდე ვერ ავსებდა, მაგრამ კონცერტით კმაყოფილებას, უდავოდ, ამჟღავნებდა. "კალმახის" ფრაგმენტი "ვირტუოზებმა" ბისზეც გაიმეორეს. "მოსკოვის ვირტუოზების" სექსტეტისა (ფაქტობრივად, კვინტეტის) და მიხაილ ლიდსკის კონცერტი წლევანდელი "შემოდგომის თბილისის" ჯერჯერობით ყველაზე კამერული, დახვეწილი და აკადემიური ნაწილი იყო: **"ისინი ყოველ ჯერზე გენიალურად უკრავენ,** – აღნიშნა ვახტანგ კახიძემ, **– მაგრამ - ყოველთვის სრულიად განსხვავებულად გენიალურად. სწორედ ასეთი მუსიკოსების წყალობით ინარჩუნებს ფესტივალი თავის დონეს."**

სამართლიანობა და ობიექტურობა მოითხოვს, რომ სრულიად სხვაგვარად შევაფასოთ ფესტივალის შემდეგი სტუმრის, კვინტეტ Бабье Лето-ს კონცერტი – არა იმიტომ, რომ ისინი სრულიად განსხვავებული მუსიკის შემსრულებლები არიან და, შესაბამისად, შეფასების სხვა კრიტერიუმებს საჭიროებენ; არც იმიტომ, რომ "შემოდგომის თბილისის" მსმენელი მხოლოდ კლასიკური მუსიკით ინტერესდება - ფესტივალის არსებობის მანძილზე არაერთი წარმატებული კონცერტი გაუმართავთ ეთნო და იმპროვიზაციული მუსიკის წარმომადგენლებს. სამწუხაროდ, აქ უფრო მუსიკალური გემოვნების დეფიციტსა და დროისა და თანამედროვე ტენდენციების არცთუ ადეკვატურ შეგრძნებასთან გვქონდა საქმე.

Бабье Лето თბილისში ჯერ კიდევ 27 წლის წინათ არის ნამყოფი – მაშინ, როდესაც ანსამბლი Русская Песня–ს სახელით გამოდიოდა. მართალია, მაშინ მათ კონცერტს ვერაფრით დავესწრებოდი, მაგრამ ანსამბლის "თანამედროვე" რეპერტუარს, ვშიშობ, მას მერე დიდი პროგრესი არც განუცდია (სტილის და მუსიკალური დიაპაზონის მიხედვით). მათ მიმართ, ხალხური მუსიკის პროფესიონალურად შესრულების თვალსაზრისით, სასაყვედურო არაფერი გვაქვს. მათი პროგრამის ხალხური ნაწილი, მართლაც, უმაღლეს დონეზე შესრულებული და ძალზედ ამაღელვებელიც იყო. მაგრამ, როგორც კი საქმე გადამუშავებასა და არანჟირებაზე მიდგებოდა (მუსიკალური ბექგრაუნდი დარბაზში ფონოგრამის სახით ჟღერდა, რაც სიმფონიური ცენტრის ატმოსფეროს ნამდვილად არ უხდებოდა), საკმაოდ პრიმიტიული და უშინაარსო მუსიკის ამარა ვრჩებოდით - მიუზიკლის საკმაოდ დრომოჭმული ვარიანტისა და მოტკბო-სენტიმენტალური განწყობილებების მიჯნაზე.

მართლაც, Бабье Лето-ს რეპერტუარის წმინდა ხალხურ მხარეს დასაწუნი არაფერი აქვს - ისინი არაერთი, ძალზედ სოლიდური ფესტივალის მონაწილეები არიან ("რუსული შობა" შვეიცარიაში, როსტროპოვიჩის ფესტივალი საფრანგეთში, საგუნდო ფესტივალი კიორკში (ირლანდია), მონტრეს ჯაზ-ფესტივალში და ა.შ..). როსტროპოვიჩთან მათ საკმაოდ ძველი მეგობრობა აკავშირებთ. მათვე სხვა ვარსკვლავებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს გამოჩენილი მუსიკოსისთვის დიდი რუსული ჯილდოს "დიდების" გადაცემის ცერემონიალში. გუშინდელ კონცერტზე Бабье Лето-მ როსტროპოვიჩის საყვარელი სიმღერაც შეასრულა (ბუნებრივია, ეს მათი ხალხური რეპერტუარის ნაწილი გახლდათ).

როგორც ანსამბლის მესვეურებმა აღნიშნეს, ეკლექტური პროგრამა მათ შეგნებულად შეადგინეს, რათა მთელი შემოქმედება ერთ კონცერტში ჩაეტიათ. თუმცა, თავად ფესტივალის სპეციფიკიდან გამომდინარე, ალბათ, აჯობებდა, წმინდა ხალხური რეპერტუარი წარმოედგინათ. მათ რეტრო რეპერტუარს კი მსმენელი სხვაგანაც ეყოლებოდა. აღსანიშნავია, რომ მსმენელი მაინც ძალიან თბილად რეაგირებდა და ტაშსაც აყოლებდა ანსამბლის ცალკეულ სიმღერებს.

ეთნოგრაფიული მოტივი "შემოდგომის თბილისის" შემდეგ კონცერტზე (1 ოქტომბერს) ქართული საგუნდო მუსიკით გაგრძელდება. 5 ოქტმბრიდან კი ფესტივალი კვლავ პროფესიულ მუსიკას უბრუნდება: თბილისის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად ძალზედ ახალგაზრდა პიანისტი გიორგი ვაჩნაძე წარდგება რაველისა და დებიუსის იმპრესიონისტული პროგრამით.

კაზანის რამდენიმე სიცოცხლე

მის შესახებ ყოველთვის არსებობდა განსხვავებული აზრი. თუმცა ოპონენტებიც ხელებს მაღლა წევდნენ და აცხადებდნენ, რომ ელია კაზანი საოცარი პიროვნებაა. ის ერთდროულად არის სცენისა და კინოს დიდი რეჟისორი და ძალზე საინტერესო ავტორი. გუშინ პრესა იძულებული იყო, კაზანის ბიოგრაფიიდან ყველა ეს მნიშვნელოვანი დეტალი გაეხსენებინა. 94 წლის ხელოვანი მანჰეტენზე, საკუთარ სახლში კვირას გარდაიცვალა.

ბერძენი ვაჭრის შვილი შტატებში ბავშვობიდან წაიყვანეს. ნიუ იორკის თეატრალურ ჯგუფში მისვლამდე ის იელის უნივერსიტეტის დრამის სკოლაში სწავლობდა. ეიზენშტეინის "პოტიომკინის" ნახვის შემდეგ კი საბოლოოდ გააკეთა არჩევანი რეჟისორობასა და მსახიობობას შორის.

მისი სურათები Waterfront (1954 წ. მარლონ ბრანდო) და "ჯენტლმენების შეთანხმება" (1947 წ. გრეგორი პეკი) "ოსკარით" დაჯილდოდა. არტურ მილერის "მეზღვაურის დაღუპვისა" და "ყოველი ჩემი შვილის" ბროდვეიზე დადგმისთვის კი "ტონის" ჯილდოც მიიღო. კაზანი ყოველთვის ცნობილი ავტორების პიესებს ეჭიდებოდა და ფილმებშიც თავისი დროის საუკეთესო მსახიობებს იწვევდა: მარლონ ბრანდოს, გრეგორი პეკს, ჯეიმს დინს...

მანვე დადგა შემდეგ რეჟისორების ერთ-ერთ ყველაზე საყვარელ პიესად ქცეული "ტრამვაი სახელად სურვილი", რომელშიც მარლონ ბრანდო თამაშობდა. საერთოდ ტენესი ვილიამსი მისი საყვარელი ავტორი იყო... თუმცა, რეჟისორი თვითონაც წერდა. ის ექვსი რომანის ავტორიც გახლავთ. მათგან ორი ფილმადაც აქცია.

რაც შეეხება კაზანის პიროვნების გარშემო არსებულ აზრთა სხვადასხვაობას, ამის მიზეზი ერთი უსიამოვნო დეტალი გახლდათ. რეჟისორი წარმომადგენელთა სახლის კომისიის წინაშე წარდგა და გათქვა იმ მსახიობების გვარები, რომლებიც 1930-ანი წლების შუა ხანებში კომუნისტური პარტიის წევრები იყვნენ. ცხადია, კაზანს მრავალი მსახიობი აღუდგა. ბევრმა დაასკვნა, რომ ეს კაზანის მხრიდან ღალატი იყო. თუმცა, თვითონ რეჟისორი თავს დამნაშავედ არასდროს თვლიდა. ის ამტკიცებდა, რომ ამ მსახიობთა გვარები მთავრობამ უმისოდაც იცოდა... ასეა თუ ისე, მიიჩნევენ, რომ კაზანმა თავისი სიმართლის დამტკიცება ფილმით Waterfront-ით სცადა, რომელშიც მარლონ ბრანდოს გმირი არღვევს დუმილის ფიცს და სატელევიზიო მოსმენებში მექრთამე ხელმძღვანელს გასცემს.

1999 წლის "ოსკარის" ცერემონიალზე მარტინ სკორსეზემ და რობერტ დე ნირომ მას კინოში შეტანილი წვლილისთვის საპატიო "ოსკარი" გადასცეს.

კაზანი ყოველთვის ამბობდა: "ბავშვობიდან მინდოდა სამი ან ოთხი სიცოცხლე მქონოდა". თავისი მრავალფეროვანი შემოქმედებით კაზანმა ეს ოცნება აისრულა.

TV პროგრამა
30 სექტემბერი

რუსთავი - 2

07.00 დილა მშვიდობისა **07.10** სერიალი „პანაწინა ონავრები“ **09.40** სერიალი „ასულ ტეკილა“ **10.20** დოკ. ფილმი „გურმანთა მეგზური“ **11.00** სერიალი „ჯაშუში“ **12.00, 15.00** კურიერი **12.15** სერიალი „სასტიკი ანგელოზი“ **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.00** სერიალი „ასულ ტეკილა“ **17.30** სერიალი „პანაწინა ონავრები“ **18.00, 21.00, 01.50** კურიერი **18.20** ბუნება **18.50** პერეკროსტოკი **19.10** „საქართველო-უახლესი ისტორია“ **19.50** სერიალი „სასტიკი ანგელოზი“ **22.00** ღამის შოუ დ.გოგიჩაიშვილთან ერთად **22.50** ღამის კურიერი **23.45** ჩემპიონთა ლიგა. „ოლიმპიკი“-“იუვენტუსი“ **02.00** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა ..

პირველი არხი

07.30 ალიონი **09.40** მულტსერიალი „კიტუ“ **10.10** მხ. ფილმი“ექსპერიმენტი ფილადელფია 2“ **11.45** დოკ.სერიალი „ბუნების სამყაროში“ **12.00, 15.00, 20.00** მოამბე“კორდიების ოჯახი“ **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ინგლ. ენაზე **14.05** ლერერის შოუ **15.15** მხ. ფილმი „ღამის ცისკრონი“ **16.40** დოკ. სერიალი „პოლიტიკური მკვლელობები“ **17.40** მულტსერიალი „კიტუ“ **18.00** ვესტნიკი **18.25** ტელესერიალი „კორდიების ოჯახი“ **19.15** და არს მუსიკა **19.40** ბასტი-ბუბუ **21.00** ტელეთამაში „იმღერე რამე“ **21.30** ავიაშოუ **21.45** „სათავეებთან“ **22.30** რა ხდება **00.00** მხ. ფილმი „არლეტი“.

პირველი სტერეო

08.00 მუსიკა **09.00** ტოროლა **12.00** ფილმი **14.00** მუსიკა **16.00** ფილმი „თოვლიანი დღე“ მთ.რ-ში ჩვენი ჩეიზი, პემ გრირი. **18.00, 19.15** ქართული მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **20.50** ათი ლექსი **21.15** უცხ. მუსათეული **22.35** მუსიკა **23.00** სველი ხაზი **00.00** „ბრავო“ „სიზმრების დამჭერი“ მთ.რ-ში ტომას ჯეინი, მორგან ფრიმენი. **01.40** „ღამურა“ „მკვლელობანი ჩერი ფოლოში“ მთ.რ-ში ბრიტან მერფი, მაიკლ ბინი. **03.00** პაუზის გარეშე.

მეორე არხი

19.00, 22.00 „მოამბე“ მეორე არხზე **19.10** მულტფილმი **19.30** კინოსიანსი „გადამჭრელი“ **21.00** ისტორიანი **21.30** ასპარეზი **22.10** მხ. ფილმი „ჭიამაიები“ .

კავკასია

12.00 მხ. ფილმი „სახლი თურქეთის ქუჩაზე“ **13.30** მხ. ფილმი „პონეტი“ **15.00** მხ. ფილმი „უკან მომავალში“ **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა „დღეს“ **17.15** მხ.ფილმი „ტაქსი-2“ **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი „მამაცი გული“ .

იბერია

08.00 ანონსი, აღსავალი **08.05** დიალოგი **10.35, 14.50, 19.30, 20.30, 23.30** მუსიკა **11.00** სერიალი „სახლეარო პოლიცია“ **13.10, 17.30** მულტსერიალი „კაპიტანი სიმიანი და კოსმიური მაიმუნები“ **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.30** დოკ. ფილმი **15.15** მხ. ფილმი „უბრალო ისტორია“ **18.00** დოკ. ფილმი **20.00** ბურთი და მოედანი **21.00** მხ. ფილმი „სახეარო პოლიცია“ **22.15, 23.00** დიალოგი **23.45** მხ.ფ.“კოდი ომეგა“ **00.55** მუსიკა .

მეცხრე არხი

08.00 პროგრამა „დილა“ **10.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **10.10, 14.15, 15.10, 16.20, 17.50, 22.10** მუსიკა **10.20** მულტსერიალი „კონკია“ **10.35** სერიალი „პატარა აინშტაინები“ **11.05** სერიალი „ინდიგოს მიწა“ **12.10** მხ. ფილმი „მუმია ბრუნდება“ **14.50** „ოსტატი“ - ბაზელი **15.30** მხ. სერიალი „ფორმულა-1“ **16.30** დოკ. სერიალი „ზღვარზე“ 21-ე ს. **17.00** მხ. სერიალი „სამოდელო სკოლა“ **18.00** მულტსერიალი „კონკია“ **18.30** სერიალი „პატარა აინშტაინები“ **19.00** სერიალი „ღამის ექიმები“ 1-ლი ს. **20.00** „ევროპის სტადიონებზე“ **21.15** სერიალი „ფორმულა-1“ **22.25** „ტელემეტრი“-თმის მოვლა, ყავა **23.00** მოკლ. მხ. ფილმი „სლაკინი“ **23.20** „ცხელი ცხრიანი“ **00.30** მხ. ფილმი „ხუთი კუთხე“.

იმედი

07.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00 ქრონიკა **07.15, 09.10, 13.15, 17.20, 01.00** იმედის მელოდიები **07.45** „იმედის“ დილა **09.30** სერიალი „სიყვარული უდაბნოში **10.30** სპორტ. პროგრამა „გოლი“ **11.05** გოლი: სერია ა **12.10** სერიალი „ჩამსხვრეული ლამპიონების ქუჩები“ **13.30** სერიალი „უკიდურესი ზღვარი“ **14.05** სერიალი „გაიხსენო ყველაფერი“ **15.15** მხ. ფილმი „მარკოხელა“ **17.00, 18.00, 19.00, 22.00** ქრონიკა **17.30** დოკ. სერიალი „ისტორიის ერთი კვირა“ **18.05** სერიალი „სიყვარული უდაბნოში“ **19.20** სერიალი „ჩამსხვრეული ლამპიონების ქუჩები“ **20.15** ლარის მახე **20.40** დროებითი ზღვარი **23.15** მძაფრსიუჟეტიანი კინო „სამყაროთა გზაჯვარედინები“ **00.45** ქრონიკა.

აჭარა

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი **08.40** მუსიკა **09.00, 12.00, 16.00** საინფორმაციო გამოშვება „დღეს“ **09.20, 12.10, 16.10** საინფორმაციო გამოშვება „ნოვოსტი“ **09.20** საბავშვო კომედია „ვოვოჩკა“ **10.55, 13.55, 14.05** მუსიკა **11.10** დოკუმენტური ფილმი **12.20** მხატვრული ფილმი „სახელმწიფო მეთაური“ **14.00, 18.00** საინფორმაციო დაიჯესტი **14.25** ფილმი-კატასტროფა „რვაფეხა“ **16.20** მულტფილმი **17.25** კომედია „საოჯახო გეგმა“ **19.00, 22.00, 00.00** საინფორმაციო გამოშვება „დღეს“ **19.15, 22.30, 00.20** საინფორმაციო გამოშვება „ნოვოსტი“ **19.30** დოკუმენტური ფილმი **20.30** სათავგადასავლო ფილმი „წინაპართა ძახილი“ **21.55** „გალერეა“ **23.00** „Пресс-папье“ **23.05** „რა არ ხდება“ **23.15** დოკუმენტური ფილმი **00.45** საინფორმაციო გამოშვება უცხო ენებზე **01.00** კომედია „შეშლილი პროფესორი“ **02.45** მუსიკა **03.40** დოკუმენტური ფილმი **04.15** მხატვრული ფილმი „მკვლელობა „გროს-პოინტში“.

VII არხი

09.10 მელოდია **09.15** „აჩიკუდა“ **09.35** „ბედნიერი ერი“ **09.30** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **10.00** მელოდია **10.10** მობილურები **10.55** სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი“ - საფრანგეთის ჩემპიონატის მიმოხილვა (განმეორებით) **11.25** აუდიო-ვიდეო-ტელე **12.15** ტელესერიალი - „გრაფინია დე მონსორო“ - მე-2 სერია **12.55** დისნეი და მისი მეგობრები **13.15** მელოდია. **13.40** კომპიუტერული თამაშები **18.20** აუდიო -ვიდეო- ტელე **18.55** მოკლედ... უცხოეთი **19.00** „აჩიკუდა“ **19.25** მელოდია - მოკლე შეტყობინებები **20.10** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **20.35** სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი“ - ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა **21.05** კომპიუტერული თამაშები **21.15** „ავტოტრეკინგი“ **22.15** მობილურები **23.00** „კინოკლუბი“ - „ქალური ერთგულება“. -1 სერია. მელოდრამა. რეჟ: კარენ არტური. როლებში: ანჰელინა ჰოლი, მაიკლ იორკი. **00.25** მელოდია **00.30** ტელესერიალი - „ვარსკვლავური კარიბჭე“- მე-10 სერია **01.30** კომპიუტერული ტექნიკა.

ОРТ

07.00 „Доброе утро!“ **09.00, 10.00, 13.00, 16.00, 19.00** Новости **09.10, 20.00 Сериал „Земля любви, земля надежды“ 10.20 Худ.фильм „Две судьбы“ 11.20 Худ.фильм „300 спартанцев“, 1 с. 12.40** Дисней-клуб: „Ким Пять-с-плюсом“ **13.20** „Город женщин“ **14.10** „Шутка за шуткой“ **14.40 Детектив „Роман без окончания“ 16.20, 01.50** „Фабрика звезд 3“ **16.40** „Ералаш“ **17.00 Сериал „Берег мечты“ 18.00** „Большая стирка“ **19.30** „Кумиры“ **20.50 Сериал „Убойная сила. Золотая обойма“ 22.00, 00.30** „Время“ **22.30 Худ.фильм „Две судьбы“ 23.30** Док.фильм „Спецназ ВДВ. Спасти любой ценой“. Фильм 1 **00.50** „На футболе“ **01.20** „Сканер“ **02.10 Комедия „Камуфляж“ 04.05 Боевик „Тропы славы“.**

РТР

06.00 „Доброе утро. Россия!“ **09.45 Сериал „Каменская 3. Иллюзия греха“, 1 с. 10.50** „Не скуЧАЙ!“ с М.Евдокимовым **11.45, 14.50, 17.25, 01.15** „Вести. Дежурная часть“ **12.00, 15.00, 18.00, 21.00** „Вести“ **12.30, 15.10, 17.40, 21.30** „Местное время. Вести - Москва“ **12.50** „Короткое замыкание“ **13.50, 23.00 Детектив „Марш турецкого. Новое назначение“ 15.30** „Что хочет женщина“ **16.30 Сериал „Леди бомж“ 18.10 Сериал „Бандитский Петербург“ 19.10 Мелодрама „Ундина“ 20.00 Сериал „Комиссар Рекс“ 21.50** „Спокойной ночи, малыши!“ **21.55 Сериал „Каменская 3. Иллюзия греха“ 00.00** „Вести+“ **00.20** „Мятеж 93-го“. Фильм 2 **01.30** Народный артист **01.40 Триллер „Нарушительница“ 03.40** Дневник Межд. турнира по теннису „Кубок Кремля-2003“ **04.05** „Дорожный патруль“ **04.20 Сериал „Ангелы Чарли“ 05.15 Сериал „Команда спасения 77“.**

НТВ

07.00 „Утро на НТВ“ **09.45 Сериал „Черный ворон“ 11.00** „Сегодня утром“ **11.25** „Намедни“ **13.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.05** „Сегодня“ **13.30** „Красная стрела“ **13.40** Ток-шоу „Страна советов“ **14.40 Сериал „Улицы разбитых фонарей 4“ 15.45** По праву **16.35** Ток-шоу „Принцип домино“. „Секс по-русски“ **18.30 Сериал „Супершпионки“ 19.25** „Территория выживания“ **20.25 Сериал „Улицы разбитых фонарей 4“ 21.20 Футбол. Лига чемпионов. „Локомотив“ (Россия) - „Арсенал“ (Англия) 23.30** „Страна и мир“ **00.00** Док.фильм „Черный октябрь Белого дома“, 1 серия **01.30** „Гордон“ **02.35** „Кома: это правда“ **03.05** „Дневник Лиги чемпионов“.

ვნებათა ალღუმი "აჭარა მიუზიკ ჰოლში"

Виа-гра-ს კავკასიური ექსპანსია

ალბათ, ძნელად თუ მოიძებნება მუსიკალური ჯგუფი, რომელიც ისე ამართლებდეს სახელწოდებას, როგორც უკრაინელი გოგონების ტრიო – რამდენადაც ეს წამალია მუსიკისგან შორს, ასევე, ამ გოგონების მოღვაწეობაა დაშორებული ხელოვნებას, მაგრამ - არა შოუ-ბიზნესს. ამიტომაც არ გასჭირვებიათ მათ იოლად გაერღვიათ უკრაინის საზღვრები და დიდ რუსეთში სახელი გაეთქვათ; შემდეგ კი წარმატებით გაეგრძელებინათ ამიერკავკასიის დაპყრობა. ამ უკანასკნელი მისწრაფების განსახორციელებლად მათ ქართული პროდუსერული კომპანია 5 Lines Production-ის სახით დიდი მხარდამჭერი შეიძინეს. გუშინ სპორტის სასახლეში Виа-гра-ს კავკასიური ექსპანსია დროებით დასრულდა.

ვერა ნეფარიძე

Виа-гра მსენელს ართობს

"ბოდი არტი" ქართულად

"კონცერტი თქვენი თხოვნით", - არ ვიცი, თავის გასამართლებლად გამოიყენეს კონცერტის ორგანიზატორებმა ეს ფრაზა სარეკლამო რგოლებში, თუ უფრო ნდობის მოსაპოვებლად, მაგრამ იმაში კი ნამდვილად ეჭვი მეპარება, რომ მსმენელმა Виа-гра-ს ჩამოყვანის მოთხოვნებით შეაწუხა პროდუსერული კომპანიის თანამშრომლები. ასეც რომ იყოს, მარტივი შეკითხვაა - რატომ არ ჩანან თბილისში ის მომღერლები, თუნდაც იგივე მეზობელი ქვეყნებიდან, რომელთა ჩამოყვანის სურვილი, მართლაც, საკმაოდ დიდია? პასუხი ასეთია: იმიტომ, რომ ესაა საკმაოდ იაფი პროექტი, რომელსაც მოგება გაცილებით მეტი აქვს, ვიდრე ხარჯი. ყველას კარგად ესმის, Виа-гра-სა და მსგავსი შემსრულებლების მოწვევა რაზეა გათვლილი. ისე, დამწყებ კომპანიას ნამდვილად არ ვურჩევდი ასეთი დონის კონცერტებით საქმის დაწყებას. თუმცა, ერევნის სტადიონზე, "აჭარა მიუზიკ ჰოლსა" და სპორტის სასახლეში გამართულ კონცერტებს მსმენელი არ აკლდა.

არასასიამოვნო რეალობაა – მოსკოვში 60 ლარად უსმენენ Blur-ს (ბრიტ-პოპის ამ ცნობილი წარმომადგენლების კონცერტები სულ რამდენიმე დღის წინათ გაიმართა რუსეთის დედაქალაქში), ჩვენთან კი რუსულ-უკრაინული პროდუქტი $40-50-ად (ადგილები მაგიდასთან "მიუზიკ ჰოლში" სწორედ ამდენი ღირდა) და $25-ად (ბილეთის ღირებულება ფეხზე მდგომთათვის) გაიყიდა. რაც მთავარია, არა მგონია კონცერტის შემდეგ, ვინმეს ეს თანხა დანანებოდა – სანახაობა გოგონებმა მოწოდების სიმაღლეზე უზრუნველყვეს. ყოველ შემთხვევაში, ვეჭვობ, კლუბში ვინმე ყოფილიყო ისეთი გულუბრყვილო, რომ სტუმრებისგან, მაღალი თუ არა, საშუალო დონის ოსტატობის იმედი მაინც ჰქონოდა. თუმცა, წინსვლა ტრიოს პირველ თბილისურ კონცერტთან შედარებით მაინც შეიმჩნეოდა – ამჯერად გოგონები გაცილებით შილიფად შემოსილები იდგნენ სცენაზე, ვიდრე პაპანაქება ზაფხულის საღამოს "16 რაუნდის" ღია სცენაზე... დარბაზში მყოფთაგან, ბევრისთვის კონცერტს სწორედ ეს უპირატესობა აღმოაჩნდა.

კვირა საღამოს ნაკლებად გაუმართლათ Виа-гра-ს ჩვენებურ ფანებს. თბილისის მეგა-კლუბის ხელმძღვანელობამ ჯერაც ვერ მოაგვარა პრობლემა, რომელიც ხალხმრავლობისას ჩნდება ხოლმე შესასვლელში. სტუმრების კლუბში ნაწილ-ნაწილ შეშვება განსაკუთრებით მძიმედ ასატანია უამინდობისას. შემოდგომის წვიმიან კვირა საღამოსაც, სწორედ ამ მიზეზის გამო, კარგა ხნის ლოდინი მოუწიათ საკმაოდ ძვირადღირებული ბილეთების მფლობელებს. იმედია, ზამთრის მოახლოებასთან დაკავშირებით მეტად იზრუნებენ ამ პრობლემაზე, თორემ, რიგში დგომის გამო, მსმენელის დაკარგვა კლუბს სასიამოვნო პერსპექტივას არ უქადის.

კვირა ღამე "აჭარა მიუზიკ ჰოლში" საკმაოდ ეროტიკული გამოდგა. თუკი ერევანში Виа-гра-ს მეორე რუსული პოპ-ჯგუფი Отпетые машенники ჩაჰყვა, "მიუზიკ ჰოლში" გოგონების გამოსვლას წინ უძღოდა 5 Lines Production-თან არსებული "ბოდი არტ" სტუდიის, თითქმის, ერთსაათიანი სანახაობა. სხეულის მოხატვის კულტურაზე განსაკუთრებულად მაღალი წარმოდგენის არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ, ალბათ, ფოტოებზე მაინც ბევრს გვინახავს, როგორ ესმით სხვაგან "ბოდი არტი". ის, რაც "აჭარა მიუზიკ ჰოლში" ვნახე, ბევრად განსხვავდება ამ ყველაფრისგან,სამწუხაროდ, ძირითადად - უგემოვნობით. ვინც ამ მძიმე სანახაობას გაუძლო, "საჩუქრად" "ყველაზე სექსუალური და სკანდალური გოგონების" (დი-ჯეი კაბუმ ასე წარადგინა უკრაინული ტრიო) გამოსვლა ერგო. Виа-гра თბილისში ორი მუსიკოსის – გიტარისტისა და კლავიშებიანი ინსტრუმენტალისტის თანხლებით ჩამოვიდა. აქედან გამომდინარე, თქვენთვის მომინდვია თავსატეხი – იყო თუ არა კონცერტი ცოცხალი ("პლუსი" თუ "მინუსი", ამას არა მგონია, დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს). კონცერტზე გოგონებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ უბადლოები არიან სხეულის სხვადასხვა ნაწილის აქტიურ მოძრაობაში. შიგადაშიგ (ეტყობა, მომღერლები სკანდალურობის იარლიყის გამართლებას ლამობდნენ) გოგონები საკმაოდ უშნოდ ცდილობდნენ ლესბოსური მოძრაობების იმიტირებასაც. ხშირად მოუწოდებდნენ მამაკაცებს, რომლებიც, ძირითადად, გაშეშებულები იდგნენ სცენასთან, რაც შეიძლება ახლოს მისულიყვნენ; გოგონების ნაწილი ცეკვავდა, ნაწილი კი ვარსკვლავების სილიკონების ზომაზე მსჯელობდა. ამ ყველაფრის შემდეგ ვერ გავარკვიე, Виа-гра, საკონცერტო სცენის ნაცვლად, სტრიპტიზ-ბარებში რატომ არ ამჯობინებს გამოსვლას? რა საჭიროა საესტრადო შემსრულებლის ნიღბის ტარება, როდესაც შესაძლებელია, გამოხვიდე შესაბამის სცენაზე. მით უმეტეს, რომ მსგავსი სანახაობები საკმაოდ წარმატებულია და არ მოითხოვს ზედმეტი ფუნქციების შეთავსებას.

რაც შეეხება კონცერტის ორგანიზატორ კომპანიას, 5 Lines Production უახლოეს მომავალში, თურმე, კიდევ აპირებს "გრანდიოზული სანახაობის" მოწყობას. ვინ იქნება მათი მორიგი რჩეული, ამას, ალბათ, მოგვიანებით შეგვატყობინებენ.

ESM-თბილისის სკოლა-ლიცეუმი აგრძელებს მოსწავლეთა მიღებას II, III, IV და V კლასებში. დანარჩენ კლასებში კონტიგენტი შევსებულია მისამართი: ნუცუბიძის ქ. N223. ტელ: 32 97 83

მოსწავლეთა საყურადღებოდ!
განათლების სამინისტროს კომპიუტერული ცენტრი "შიდური" აცხადებს მოსწავლეთა და სტუდენტთა მიღებას
პერსონალური კომპიუტერის შესწავლელ ჯგუფებში.
მიიღებიან IV-XI კლასების მოსწავლეები
მისამართი: დ. უზნაძის (ყოფილი კამოს) №70
ტელ: 29 48 61, 95 45 75, 91 03 17


ასოციაცია "თანამედროვე ქართული ხელოვნების განვითარებისა და პოპულარიზაციის ცენტრი", გალერეა "შარდენისა" და სამხატვრო სალონის "შარდენი 15" მხარდაჭერით, 2003 წლის დეკემბერში აცხადებს მინანქრის I საერთაშორისო გამოფენას.
საგამოფენო ნამუშევრები შეირჩევა ჟიურის წესით, საერთაშორისო ჟიურის მიერ.
კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ, როგორც ქართველ, ასევე უცხოელ მხატვრებს.
კონკურსი ითვალისწინებს სხვადასხვა სახის პრიზებს:
- პრიზი რელიგიურ თემაზე შექმნილი საუკეთესო ნამუშევრისათვის დაწესებული ღონისძიების გენერალური სპონსორის მიერ - 1000 $
- პრიზი საუკეთესო მინანქრული კომპოზიციისათვის 1000 $
- პრიზი საუკეთესო დიზაინისათვის 800 $
- პრიზი საუკეთესო სამკაულისათვის 500 $
- მაყურებლის სიმპათიის პრიზი 200 $
ნამუშევრების წარდგენის ბოლო ვადაა 2003 წლის 10 ნოემბერი.
გამოფენის გახსნა და პრიზებით დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი გაიმართება 2003 წლის 7 დეკემბერს, გალერეა "შარდენში".
მონაწილეობის მსურველებს, დაწვრილებითი ინფორმაციისათვის შეუძლიათ მიმართონ მისამართზე:
შარდენის ქ. 15, სამხატვრო სალონი "შარდენი 15", ტელ: 92 32 38



წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.